# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 ოქტომბერი **ხუთშაბათი** 2009

№ 237 (12916) ფასი 60 თეთრი




## ესეც სათასო ინტრიგა

მერვედფინალის წილისყრა » გვერდი 4

## 17 15 10




## შენგელიამ ვალენსიას მოაგებინა

ესპანური ლეგიონი » გვერდი 11



## მარადონა არგენტინას ტოვებს

მსოფლიო ფეხბურთი » გვერდი 6-9

## ბრავისიმო!



მოსალოდნელი და საჭირო შეხვედრა

ეროვნული ნაკრები. მზადების მეორე დღე

## რაზე შეთანხმდებიან კუპერი და სიჭინავა ოქტომბრის ბოლოს?

» გვერდი 2,3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# ბრავისიმო კალა! კაშო!

შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩებისთვის ეროვნულ ნაკრებს გუშინ მზადების მეორე დღე ჰქონდა. **ჰექტორ კუპერმა** გუნდი ორჯერ, დილით და საღამოს ავარჯიშა. დილის წვრთნა უმთავრესად ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე იყო გათვლილი, საღამოს კი საქმეში ბურთიც „ჩაერთო". 16:30 საათზე ეროვნულ ნაკრებს თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის სპორტკომპლექსმა უმასპინძლა. წვრთნას, რომელიც საათსა და 20 წუთს გაგრძელდა, 50-მდე გულშემატკივარი დაესწრო. გუშინწინდელისგან განსხვავებით, გუშინ გუნდს „კარლსრუეს" ფორვარდი **ალექსანდრე იაშვილი** დაემატა. ის გამთენიისას შეუერთდა გუნდს და ამიტომაც იყო, მწვრთნელმა სრულად რომ არ დატვირთა.

მოთელვის შემდეგ კუპერმა ფეხბურთელები გრძელ პასებზე ავარჯიშა. ამ დროს, **ზურაბ ხიზანიშვილი**, რომელიც ნიუკასლიდან ტრავმით ჩამოვიდა, იაშვილთან ერთად მოედნის გარშემო ძუნძულით იყო დაკავებული. მოგვიანებით, ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელმა **ალფრედო პუებლამ** მათ გაწელვითი ვარჯიშები ჩაუტარა, **გიორგი ლომაია, გია ბედიაშვილი** და **ზურაბ მამალაძე** კი მეკარეების მწვრთნელ **მამუკა აბუსერიძეს** ჩააბარა.

დავუბრუნდეთ ხიზანიშვილს და „ნიუკასლის" მცველის მდგომარეობის თაობაზე ნაკრების ექიმის **დიმიტრი ზაალიშვილს** კომენტარს გავეცნოთ:

*„ზურაბ ხიზანიშვილს კუნთი მსუბუქად აქვს დაჭიმული და წესით, არ უნდა გართულდეს მდგომარეობა. უკვე ორი დღეა, რაც პროცედურებს ვუტარებთ. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ხუთშაბათს უკვე სრული დატვირთვით ივარჯიშებს".*

ამასობაში კუპერმა გუნდი სამ ნაწილად დაყო. „ნარინჯისფრებში" **ცქიტიშვილი-ხმალაძე-მჭედლიძე-კაშია-ლობჟანიძის** ხუთეული მოხვდა. „მწვანეებში" **კვახაძე, გელაშვილი, ოდიკაძე, კობიაშვილი** და **მერებაშვილი** გამწესდნენ, ხოლო „ლურჯებში" **დვალიშვილი, რაზმაძე, სანაია, ფოფხაძე** და ნაკრების ახალწვეული **ლიპარტია**. ამ სამმა გუნდმა მოედნის 2/3-ზე გააჩაღა თამაში. ყველა გუნდი რიგრიგობით უტევდა ერთს. თუ დააკვირდებით, ამ 15 ფეხბურთელში არ არის **კახა კალაძე**. კუპერმა ნაკრების კაპიტანს წითელი გადასაცმელი მოარგო და მონაცვლეობით სამივე გუნდში ათამაშა. დაცვითი ოპერაციების გარდა, კალაძეს უკანა ხაზიდან ბურთის ამოტანა და შეტევების ორგანიზება ევალებოდა. ჩანდა, რომ კალაძე კარგ ფორმაშია. ამის დასტურად, კუპერის შეძახილებიც გამოდგება - ბრავისიმო კალა! სხვათა შორის, ამ ბურთაობაში პირველი გოლი სწორედ კალაძემ გაიტანა.









კაპიტნის გარდა, კომპლიმენტები დაიმსახურა „დინამოს" მცველმა **გურამ კაშიამაც**, რომელმაც ბურთი ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა. უნდა აღინიშნოს ნაკრების დებიუტანტ **ჯაბა ლიპარტიას** მონდომებაც. „ვიტ ჯორჯიას" შემტევი პრივატულ საუბარში ნაკრების თავკაცმაც შეაქო.

რაც შეეხება გოლებს, კალაძის გარდა, თითო ბურთი **იაშვილმა** (რომელიც მოგვიანებით ჩაერთო თამაშში **ცქიტიშვილის** ნაცვლად), **ხიზანიშვილმა, მჭედლიძემ, ხმალაძემ** და **კობიაშვილმაც** გაიტანეს.

თამაშის შემდეგ კუპერმა კვლავ გაწელვითი ვარჯიში ჩაატარა და გუშინდელი დღეც ამით დასრულდა. წვრთნის შემდეგ რამდენიმე ფეხბურთელს გავესაუბრეთ.

**ლევან მჭედლიძე:** - საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო მატჩები გველის და თითქოს მოტივაციაც არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის - იმ განწყობით ვემზადებით, რომ ეს ციკლი მოგების გარეშე არ უნდა დავამთავროთ. ასეთია პირადად ჩემი განწყობა და იგივე მოტივაცია ამოძრავებს ნაკრების ყველა წევრსაც. ფეხბურთი გუნდური თამაშია და თუ ყველა მოტივირებულები ვიქნებით და მწვრთნელის დავალებებს შევასრულებთ, სასურველი შედეგიც გვექნება.

**ზურაბ ხიზანიშვილი:** - ნაკრები უკვე სრულად შეიკრიბა. „ნიუკასლში" ბოლო მატჩში კუნთი დამეჭიმა. ღმერთის წყალობით, სერიოზული არაფერია. ვფიქრობ, ხუთშაბათიდან უკვე სრული დატვირთვით ვივარჯიშებ და თამაშსაც მომზადებული შევხვდები.

**ალექსანდრე იაშვილი:** - ნაკრების წინა მატჩები დისკვალიფიკაციის გამო გამოვტოვე. ჯერ ჩერნოგორიას ვეთამაშებით და ამიტომ ბულგარეთზე მე პირადად, ახლა ნამდვილად არ ვფიქრობ, მხოლოდ პოდგორიცას მატჩზე ვარ კონცენტრირებული. თქვენი გაზეთით შევიტყვე, რომ ორივე მეტოქეს ტრავმირებული ფეხბურთელი გამოაკლდნენ. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ჩერნოგორიასთან მაინც მოსაგებად უნდა გავიდეთ.

დღეს ეროვნულ გუნდს მზადების მესამე დღე აქვს. კუპერი ბიჭებს კვლავ ორჯერ, დილით და საღამოს ავარჯიშებს. წვრთნები ამჯერადაც თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის სპორტკომპლექსში ჩატარდება. ეს თბილისში მომზადების ბოლო დღე იქნება. ხვალ დილით ეროვნული გუნდი ჩარტერული ავიარეისით თბილისიდან პოდგორიცაში გადაფრინდება და მზადებას ადგილზე გააგრძელებს.

**დავით ცაბაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ფედერაციული ამბები

# სიჭინავა კუპერს შეხვდა



ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** გუშინ ეროვნული ნაკრების თავკაც **ექტორ კუპერს** შეხვდა. ალბათ, ეს შეხვედრა მოსალოდნელიც იყო და საჭიროც. ინფორმაცია არგენტინელის სამწვრთნელო შტაბშიც დაგვიდასტურეს და ფეხბურთის ფედერაციაშიც. გაცნობა-საუბრის ინიციატორი სიჭინავა გახლდათ. 14 საათისთვის ის **რევაზ არველაძის** თანხლებით მივიდა ტექნიკურ ცენტრ ბასაში", სადაც ახლა ეროვნული გუნდია დაბინავებული. არველაძემ სიჭინავას ნაკრების მთავარი მწვრთნელი და მასთან ერთად მყოფი ეროვნულის კაპიტანი **კახა კალაძე** გააცნო. საუბარი თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა.

ბუნებრივია, ჯერ თავად სიჭინავას კომენტარის მოპოვება ვცადეთ, მაგრამ პრეზიდენტი საქმიან შეხვედრაზე ბრძანდებოდა და მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ხმა მივაწვდინეთ არველაძეს, რომელმაც გუშინდელ ამბავზე მოკლედ გვიამბო:

*„გაცნობითი ხასიათის შეხვედრა იყო. ახალ პრეზიდენტს არჩევის დღიდან სურდა ნაკრების თავკაცთან საუბარი და კარგია, რომ ეს მოხერხდა. ფედერაციის თავკაცი დაინტერესდა, ჩერნოგორიაში გამგზავრების წინ ნაკრებს რაიმე პრობლემა ხომ არ აქვს, დახმარება ხომ არ ესაჭიროება. სიჭინავამ კუპერსა და ნაკრებს გზა დაულოცა და წარმატებები უსურვა. შეხვედრით ორივე კმაყოფილი დარჩა“,* - გვითხრა არველაძემ.

გარდა ამისა, სანდო წყარომ გვაცნობა, რომ არგენტინელმა მწვრთნელმა და ფედერაციის პრეზიდენტმა უკვე მოილაპარაკეს, რომ მათი მომდევნო შეხვედრა ოქტომბრის ბოლოსთვის შედგება. ბულგარეთთან მატჩის (14 ოქტომბერი) შემდეგ კუპერი რამდენიმე დღით სამშობლოში გაემგზავრება და თბილისში სწორედ ოქტომბრის ბოლოს (სავარაუდოდ, 28-29-ში) დაბრუნდება. როგორც ჩანს, კუპერსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის მომავალ თანამშრომლობასა თუ განშორებაზე მეორე შეხვედრისას უფრო დეტალური მსჯელობა იქნება.

შევიტყვეთ ისიც, რომ ფედერაციის ხელმძღვანელობა ნოემბერში ეროვნული ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩის ორგანიზებაზე მუშაობს. საქმე ისაა, რომ 14 და 18 ნოემბერი ფიფას მიერ საერთაშორისო მატჩების ჩატარებისთვის დადგენილი დღეებია და კარგი იქნება, თუ ამას ჩვენი ნაკრებიც გამოიყენებს. სხვადასხვა ქვეყნის ფედერაციებთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტული ამხანაგური მატჩის კონტური არ გამოკვეთილა.

საინტერესოა, რას გადაწყვეტს ოქტომბრის ბოლოსთვის დაგეგმილი შეხვედრა. შეგახსენებთ, რომ 30 დეკემბერს კუპერსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის შარშან აგვისტოში გაფორმებული კონტრაქტის ვადა იწურება. შესაბამისად, ამ ვადის ამოწურვამდე 2 თვით ადრე მხარეები განვლილ პერიოდს შეაჯამებენ და ჩამოყალიბდებიან, გაგრძელდება თანამშრომლობა თუ შეწყდება...

**დავით ცაბაძე**

მეტოქე



ნიკოლა ვუკჩევიჩი

# ვუკჩევიჩი პავიჩევიჩის ნაცვლად

**ზორან ფილიპოვიჩის** ჩერნოგორია საქართველოს ნაკრებთან შესახვედრად ემზადება. უკვე ვწერდით, რომ 10 ოქტომბრის მატჩისთვის ბალკანელებს რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდათ. იქაურ ვებგვერდებზე თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ მეტოქის ბანაკში სიმშვიდე არ არის. დაშავებულ **მირკო ვუჩინიჩს** („რომა“) გუშინ ბერძნული „კავალას“ მცველი **სავო პავიჩევიჩიც** დაემატა. მის ნაცვლად ფილიპოვიჩმა ადგილობრივი „ბუდუჩნოსტის“ მარჯვენა ნახევარმცველ **ნიკოლა ვუკჩევიჩს** უხმო.

ვუკჩევიჩი ეროვნულ გუნდში აქამდე ერთხელ, 2008 წლის მარტში ნორვეგიასთან მატჩისთვის იყო გამოძახებული, თუმცა არ უთამაშია. ჩერნოგორიის მიმდინარე ჩემპიონატში მას 2 გოლი (6 მატჩი) აქვს გატანილი.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

## დავით ოდიკაძე
# ჯგუფურ რაუნდს მოგების გარეშე არ დავასრულებთ

**ექვსთვიანი** პაუზის შემდეგ, ეროვნულ ნაკრებს დავით ოდიკაძე დაუბრუნდა. ეროვნულ გუნდში მის ამ პაუზას გარკვეული ახსნაც აქვს. საქმე ისაა, რომ უნგრულ „დიორ ეტოსთან“ გამოთხოვების შემდეგ, ოდიკაძე უკლუბოდ იყო. შემოდგომიდან კი „ინტერის“ მაისურა მოირგო და კახა ცხადაძის გუნდში ასპარეზობს. საინტერესოა, რას ფიქრობს ნაკრების მარჯვენაფლანგელი უახლოეს სანაკრებო მატჩებზე, რომელიც მიმდინარე შესარჩევ ციკლში ბოლო თამაშებია, როგორ ფორმაში ხვდება ამ მატჩებს, რა აზრისაა საკლუბო კარიერასა და აზერბაიჯანის ჩემპიონატზე. ამ და სხვა საინტერესო თემებზე სასაუბროდ დავით ოდიკაძეს მივმართეთ.

- ნაკრებში ბოლოს ჩერნოგორიასთან, მიმდინარე წლის 1 აპრილს ვითამაშე. მას მერე ეროვნულ გუნდში გამოძახებული არ ვყოფილვარ... ახლა კლუბში ვარ და ნორმალურ ფორმაში ვარ. უკვე დავიწყეთ ოქტომბრის მატჩისთვის მზადება და იმედი მაქვს, წარმატებით ვიასპარეზებთ.

**- კი მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ საკვალიფიკაციო ციკლს ნაკრები პირველად ამთავრებს მოგების გარეშე...**

- არა მგონია, ასე მოხდეს... ასე არასდროს მომხდარა, იმედი მაქვს ამ ორიდან ერთ მატჩს მაინც მოვიგებთ.

**- თქვენი ეს ოპტიმიზმი რას ეფუძნება?**

- ყოველთვის ასე იყო, ჩვენი ნაკრები შესარჩევი ციკლის ბოლოს „კუდს მოიქნევდა“ ხოლმე და ვფიქრობ, ამჯერადაც ასე იქნება.

**- ერთი სიტყვით, ჩერნოგორიაში ვიგებთ?**

- ამ მატჩში სამი ქულა ნამდვილად არ გვაწყენდა.

**- კი, მაგრამ, შევძლებთ?**

- ამაში შეუძლებელსა და არარეალურს ვერაფერს ვხედავ. მით უმეტეს, ჩერნოგორიის ნაკრები გრანდებს ნამდვილად არ განეკუთვნება.

**- კი, მაგრამ ამ მეტოქესაც ჰყავს გამორჩეული ფეხბურთელები, რომლებსაც ევროპაში იცნობენ და ნებისმიერი მეტოქისთვის ხიფათს წარმოადგენენ...**

- „რომას“ ფორვარდი მირკო ვუჩინიჩი მართლაც მაღალი დონის ფორვარდია, მაგრამ ტრავმირებული ყოფილა და ჩვენ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

**- ბულგარეთთან მატჩზე რას ფიქრობთ?**

- ტრავმები მათაც აწუხებთ, მაგრამ მხოლოდ მეტოქეების ტრავმების იმედად ნამდვილად არ ვართ. ჩვენ მოსაგებად მივდივართ და იმედი მაქვს, ამ მატჩებს სასურველი შედეგით დავასრულებთ.

**- ახლა საკლუბო თემაზე გადავიდეთ. „ინტერში“ როგორ მიდის თქვენი საქმეები?**

- ამ გუნდში სულ რამდენიმე კვირის გადასული ვარ და სამ შეხვედრაში ვითამაშე. ბურთი ჯერ არ გამიტანია, მაგრამ ერთი საგოლე პასი კი გავაკეთე. ამ სამიდან ორი მატჩი მოვიგეთ და ერთიც ფრედ ვითამაშეთ. ასე რომ, „ინტერში“ ჩემი კარიერა აქამდე წაუგებლად მიდის და იმედია, ეს წარმატებული სერია დიდხანს გაგრძელდება.

**- თუმცა ეს მატჩები შეცვლაზე ითამაშეთ. როგორ ფიქრობთ, სასტარტოში მალე დაიმკვიდრებთ ადგილს?**

- საამისოდ ყველაფერს ვაკეთებ და ალბათ, ამას მოკლე ხანში შევძლებ.

**- თქვენ გარდა, „ინტერში“ კიდევ ორი ქართველია - მეკარე გიორგი ლომაია და მცველი კახა მჟავანაძე. მათზე რას გვეტყოდით?**

- ორივე წამყვანი ფიგურაა და სასტარტო შემადგენლობაში სტაბილურად თამაშობენ. მჟავანაძე ჩვენი გუნდის დაცვის საიმედოობას მნიშვნელოვნად განაპირობებს, ლომაია და კარს საიმედოდ იცავს და ბოლო მატჩებშიც ბევრი რთული ბურთი აილო.



**- „ინტერის“ თავკაც კახა ცხადაძეზეც ვთქვათ...**

- კლუბის ხელმძღვანელობამ კარგად იცის მისი ფასი და ენდობა კიდეც. კახასთან ერთად ეს იმედები ჩვენც უნდა გავამართლოთ.

**- ჩემპიონობისთვის იბრძვით. თქვენს შანსებს როგორ შეაფასებდით?**

- დიახ, ჩვენს დარად „სიმურგს“, „ყარაბახსა“ და „მურგანსაც“ 10-10 ქულა აქვთ. აზერბაიჯანის ჩემპიონატში აქამდე არასდროს მითამაშია, მაგრამ როგორც ჩანს და ამას თანაგუნდელებიც ამბობენ, ამ სეზონში უფრო რთული იქნება ოქროსთვის ბრძოლა.

**- ესე იგი, ამ სეზონში უკეთესი დონის პირველობაა?**

- დიახ, აზერბაიჯანის ჩემპიონატის დონე ყოველწლიურად მატულობს. 5-6 წლის წინ ლეგიონერები რომ ჩაყავდათ, ახლა იმ დონის ფეხბურთელებს იწუნებენ. თანხაც მეტი ჩაიდო და, რაც მთავარია, ინფრასტრუქტურა თითქმის სრულად განაახლეს, მოედნებისა და ბაზების მოწესრიგების შემდეგ კი კლუბებმა მაღალი დონის ლეგიონერები ჩამოიყვანეს და ჩემპიონატის დონეს ეს უკვე საგრძნობლად დაეტყო.

**დავით ცაბაძე**

U 19

## ევროპის ჩემპიონატის წინ
# შეყილაძეც ადგილზეა

**მოგეხსენებათ,** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა შვედეთში ჩასვლამდე ავსტრიაში გაიარა სამზადისი. შუა ევროპაში **გელა შეყილაძის** გუნდმა 2 ამხანაგური მატჩი გამართა. ბადბლიუბერგელთა და კერნტენელთა წინააღმდეგ გამართულ შეხვედრებში ნაკრებში გამოძახებული 18 ფეხბურთელიდან მხოლოდ ერთს არ მიუღია მონაწილეობა. საქმე ის იყო, რომ „ემპოლის“ ფორვარდი **ირაკლი შეყილაძე** მოგვიანებით შეუერთდა 19-წლამდელებს. შეყილაძე ჩვენს დელეგაციას შვედეთში დახვდა. ბუნებრივია, ამით დავინტერესდით და ჭაბუკთა ნაკრების თავკაც გელა შეყილაძეს სკანდინავიაზე განმარტებისთვის დავუკავშირდით.

*„ჯერ კიდევ თბილისიდან გამგზავრებამდე გვქონდა საუბარი თავად ირაკლისთანაც და მისი კლუბის მწვრთნელთანაც. ჩვენ იტალიელებს ვთხოვეთ, რომ ვადაზე ადრე დაეთმოთ ჩვენთვის ეს ფეხბურთელი, მაგრამ არ გამოვიდა. მათ გვითხრეს, რომ ირაკლიმ ამ ბოლო ხანს საკმაო პროგრესი განიცადა. ის დუბლებში გადაიყვანეს და ეს სეზონი მთავარი გუნდისთვის მოსამზადებლად უნდა გამოიყენოს. ერთი სიტყვით, მაშინვე შევთანხმდით, რომ ირაკლი შეყილაძე პირდაპირ შვედეთში შემოგვიერთდებოდა. ასეც მოხდა, ირაკლი სკანდინავიაზე ჩვენზე ნახევარი საათით ადრე ჩაფრინდა, აეროპორტში დაგველოდა და იქიდან ერთად გავემგზავრეთ სასტუმროში. ასე რომ, ახლა უკვე სრული შემადგენლობა გვყავს. ქალაქ უდევალაში ვართ დაბინავებული და საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ვემზადებით. სასტარტო ტურში პარასკევს უკრაინას ვეთამაშებით და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჯგუფური ეტაპი წარმატებით დავიწყოთ“,* - გვითხრა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა გელა შეყილაძემ.

**დავით ცაბაძე**

### საქართველოს ჩემპიონატი
### მეორე ლიგა

**აღმოსავლეთი. VI ტური**

| | |
|---|---|
| თიანეთი-დუშეთი | 3:2 |
| ივერია-35-ე სკ. 2 | 0:2 |
| აბული-დილა | 0:0 |
| გვარდია-ზოოვეტი | 3:0 |
| სპარტაკი 2-ალგეთი | 3:1 |
| ლიდერი-ავაზა | 1:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი 2 | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| 2. ავაზა | 6 | 4 | 0 | 2 | 17-5 | 12 |
| 3. 35-ე სკ. 2 | 6 | 4 | 0 | 2 | 10-11 | 12 |
| 4. დილა | 6 | 3 | 2 | 1 | 14-7 | 11 |
| 5. ზოოვეტი | 6 | 3 | 1 | 2 | 17-8 | 10 |
| 6. გვარდია | 6 | 3 | 1 | 2 | 8-4 | 10 |
| 7. თიანეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-11 | 10 |
| 8. ალგეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10-12 | 7 |
| 9. დუშეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 11-14 | 6 |
| 10. ლიდერი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 11. ივერია | 6 | 1 | 1 | 4 | 5-15 | 4 |
| 12. აბული | 6 | 0 | 2 | 4 | 3-20 | 2 |

### ჭაბუკთა ლიგა

**1992-93**

დინამო-ვიტ ჯორჯია 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 5 | 3 | 2 | 0 | 18-11 | 11 |
| 2. ბაია | 5 | 3 | 2 | 0 | 13-8 | 11 |
| 3. ზესტაფონი | 5 | 3 | 1 | 1 | 14-12 | 10 |
| 4. ოლიმპი | 5 | 3 | 0 | 2 | 15-9 | 9 |
| 5. გაგრა | 5 | 3 | 0 | 2 | 9-11 | 9 |
| 6. სამტრედია | 5 | 2 | 2 | 1 | 14-9 | 8 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 8. სიონი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-12 | 3 |
| 9. სპარტაკი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-10 | 3 |
| 10. ლოკომოტივი | 5 | 0 | 2 | 3 | 7-11 | 2 |

**1994-95**

დინამო-ვიტ ჯორჯია 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 5 | 4 | 1 | 0 | 16-2 | 13 |
| 2. ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 0 | 14-4 | 13 |
| 3. სამტრედია | 5 | 3 | 0 | 2 | 7-5 | 9 |
| 4. ლოკომოტივი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-6 | 7 |
| 5. სპარტაკი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-11 | 6 |
| 6. დინამო | 5 | 1 | 3 | 1 | 7-9 | 6 |
| 7. ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| 8. სიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-7 | 5 |
| 9. გაგრა | 5 | 0 | 2 | 3 | 3-9 | 2 |
| 10. ზესტაფონი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-13 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



U 21

# მათე ვაწაძე

# ძალა აღარ გვაქვს, მთელი გუნდი გამოფიტულია

## ვაწაძე ფეხბურთიდან მიდიოდა...



თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი ირლანდიასთან მომავალი მატჩისა და საკლუბო ამბებზე გვესაუბრება. წინა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი განიცდის იმ ფაქტს, რომ „დინამოს“ რთული დროება უდგას...

**- ნაკრებში კარგი განწყობით ვერ გამოცხადდი. ჩემპიონატის ბოლო ტურმაც დაადასტურა, რომ „დინამოს“ პრობლემები აქვს...**

- ევროპის ლიგაზე გამოსვლის გამო, სეზონისთვის მზადება ნაადრევად დავიწყეთ და ეტყობა, ამის გამო მცირე ჩავარდნა გვაქვს. სხვა გუნდებთან შედარებით, მოსამზადებელი ეტაპი გაგვიგრძელდა, შესაბამისად, სხვებზე ნაკლებიც დავისვენეთ და ჩავარდნა ამის ბრალიც უნდა იყოს. ძველებური მონდომებით ვთამაშობთ, მაგრამ ერთია მონდომება და რა შეგვიძლია - ეს კიდევ მეორე. ძალა აღარ გვაქვს, მთელი გუნდი გამოფიტულია, აშკარად რაღაც გვჭირს...

**- ამის გამო, ბოლო ტურებში მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეთ...**

- ეს ვის არ მოსვლია, მაგრამ მე უფრო ის მადარდებს, ამ დაკარგული ქულების გამო, მთლად ჩემპიონობაც არ დავკარგოთ. არადა, ეს ჩვენი უმთავრესი მიზანია.

**- წლევანდელი ჩემპიონატი საკმაოდ არაპროგნოზირებადია. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „დინამოს“ მეტოქეებიც ბევრ ქულას დაკარგავენ...**

- მეც სწორედ ამის იმედი მაქვს, მაგრამ „დინამო“ ის გუნდია, სხვის იმედზე არ უნდა იყოს. ისე, ჩემპიონატს რაც შეეხება, მართლაც საინტერესოდ მიმდინარეობს, ვინ ვის უგებს, ვერ გაიგებ. ეს იმანაც განაპირობა, რომ ბევრი კარგი გუნდია, ამან დაძაბა პირველობა.

**- ყველაზე კარგი შთაბეჭდილება რომელმა გუნდმა დატოვა?**

- „ზესტაფონი“ მომეწონა, ყველაზე დალაგებულ ფეხბურთს თამაშობს. ჩემი აზრით, ეს გუნდი დღეისთვის დამსახურებულადაა პირველ ადგილზე.

**- „ზესტაფონთან“ 1:4-ზე წაგებულ შეხვედრაში თავი არაფრით გამოგიჩენიათ, რუსთავის „ოლიმპთან“ კი საოცარი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეთ. „დინამოსა“ და რუსთაული გუნდის დაპირისპირება ასეთი პრინციპული რატომ გახდა?**

- ჩვენი მატჩები თავიდანვე პრინციპული იყო. შარშანდელმა ფაქტორმაც იმოქმედა, ჩემპიონობის შანსი „ოლიმპთან“ დაკარგული ქულების გამო გავუშვით ხელიდან. აქედან გამომდინარე, რუსთაველებს წელს ორმაგი მოტივაციით ვეთამაშეთ.

**- შარშან მეკარეებს შენი დანახვისაც ეშინოდათ, წელს კი სასურველ ფორმაში არ ხარ. ამდენი ხანი ფორმა რატომ ვერ აღიდგინე?**

- მიზეზი სხვა რამაა. შარშანდელივით თავდაჯერებული აღარ ვარ და ეს ტრავმების ბრალია. ბოლო წლებში იმდენჯერ დავშავდი, სიმართლე გითხრათ, ზოგჯერ ბრძოლაში შესვლისაც მეშინია. თქვენ არ იცით, ეს რა საშინელი გრძნობაა, მაგრამ დროთა განმავლობაში შიში გაივლის. ბოლო ორ წელიწადში ოთხჯერ მქონდა ტრავმა. ლავიწის ძვალი მეორედ რომ მოვიტეხე, მაშინ ვიფიქრე, ოპერაციას აღარ გავიკეთებ, დამთავრდა ჩემი ფეხბურთი-მეთქი. საშინელ ხასიათზე ვიყავი, შეგუებულიც ვიყავი იმ აზრს, რომ ფეხბურთიდან მივდიოდი. მცირე დროში ამდენ ტრავმას რომ მიიღებ, ძნელია, ხასიათი არ გაგიფუჭდეს, მაგრამ ნელ-ნელა მდგომარეობიდან გამოვდივარ.

**- ეროვნული ნაკრების ფორმა პირველად იტალიასთან მოირგე. ასეთი თამაში ნებისმიერ ფეხბურთელს გამოცდილებას მატებს...**

- რა თქმა უნდა, პირადად ჩემთვის ეს შეხვედრა ძალიან ბევრს ნიშნავდა.

**- მსოფლიო ჩემპიონთან მატჩში საკუთარი ნაკლი თუ შენიშნე?**

- რა თქმა უნდა, ჩვენზე ბევრად გამოცდილები არიან, უფრო სწორ ფეხბურთს თამაშობენ... ჩვენი ფეხბურთი კი უფრო ქაოტური იყო. იმის გამოც წავაგეთ, რომ ყველას თავში გვაქვს ჩაბეჭდილი - თითქოს, იტალიის ნაკრებთან მოგება შეუძლებელია და ამიტომაც ვეთამაშებით ხოლმე ზედმეტი მოკრძალებით. თუ უფრო ორგანიზებულად ვიმოქმედებთ და მეტოქეს სრული მობილიზებით დავხვდებით, შეუძლებელი არც იტალიის დამარცხებაა.

**- და ბუნებრივია, ირლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მომავალ მატჩზეც უნდა გკითხო. რას ელოდები ამ თამაშისგან?**

- თუ ევროპის ჩემპიონი თურქეთი 4:0 დავამარცხეთ, ირლანდიასთან მოგებისთვის რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ?! ამ შეხვედრის შემდეგ, თითოეული ჩვენგანი უფრო თავდაჯერებული გახდა. საბედნიეროდ, ტრავმირებული არავინაა. ასე რომ, ჯერ ირლანდიაში უნდა ვიბრძოლოთ გამარჯვებისთვის, შემდეგ კი ჯგუფიდან გასვლაზეც ვიფიქროთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# გიორგი ივანიშვილი

# მეტოქეს ბევრ პრობლემას შევუქმნით

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უკვე ირლანდიაშია, სადაც ხვალ ადგილობრივ გუნდს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში დაუპირისპირდება. ჩვენი ყველა ფეხბურთელი ამ უმნიშვნელოვანესი შეხვედრისთვის დიდი მონდომებით ემზადება, ოთარ გაბელიასა და მის შეგირდებს გამარჯვების სჯერათ. „ლელოს“ შეკითხვებს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ივანიშვილი პასუხობს.**

**- როგორი ხასიათის თამაშს ელით?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ირლანდიელებთან მოედნის ყველა მონაკვეთისთვის დიდი ბრძოლა მოგვიწევს. ამ მატჩში დიდი მნიშვნელობა ექნება კარგ ფიზიკურ მომზადებას. ამ კომპონენტში კარგად ვართ მომზადებულნი, ამას დაუმატეთ ქართველებისთვის დამახასიათებელი ტექნიკა და ყოველივე ეს გვაიმედებს, რომ მეტოქეს ბევრ პრობლემას შევუქმნით.

**- ირლანდიელებზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- როგორც ვიცით, ტიპური ბრიტანული გუნდია, ასე რომ, თავით თამაშს დიდი მნიშვნელობა მიენიჭება.

**- განვლილ მატჩებში საკუთარი თამაშით კმაყოფილი დარჩით?**

- ესტონეთთანაც და თურქეთთანაც თამაშის საშუალება მომეცა და ცდა არ დამიკლია, გუნდს რომ გამოვდგომოდი. ესტონეთში ისეთი დასანანი მარცხი განვიცადეთ, მთელი კარიერა რომ არ დამავიწყდება. გოლის გატანის კარგი შანსი გავუშვი ხელიდან, საგოლე მომენტები სხვებმაც ვერ გამოიყენეს. თურქების განადგურება კი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი იყო. ამან საკუთარი თავის რწმენაც გაგვიძლიერა და იმაშიც დაგვარწმუნა, რომ ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან შეგვიძლია გამარჯვებისთვის ბრძოლა. ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს და მის შესანარჩუნებლად ირლანდიაში გამარჯვება გვჭირდება. ამის მისაღწევად თითოეული ჩვენგანი მაქსიმუმს გაიღებს.

**- საკუთარი ფორმით კმაყოფილი ხართ?**

- პროგრესს აშკარად ვგრძნობ, მაგრამ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომო. სხვანაირად დიდი ფეხბურთის თამაში წარმოუდგენელია.

**- პროგრესი კლუბის შეცვლამ ხომ არ განაპირობა?**

- მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მჭირდებოდა და ამიტომ „ციურიხიდან“ „ვოლენში“ განათხოვრება ძალიან წამადგა. მართალია, „ვოლენი“ მეორე, ანუ „ჩელენჯ ლიგაში“ თამაშობს, მაგრამ არაფერი უჭირს, სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ვხვდები, რაც ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. მნიშვნელოვანი კიდევ ისაა, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლამ არ მომინია, ვოლენი ციურიხიდან ნახევარი საათის სავალზეა.

**- ალბათ, „ციურიხში“ დაბრუნებაზე მაინც ფიქრობთ.**



- რა თქმა უნდა, „ციურიხის“ ძირითად შემადგენლობაში თამაში უკეთესი იქნება ჩემი კარიერისთვის. მასთან ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს დარჩენილი და ხელშეკრულებას მხოლოდ „ვოლენში“ კარგი თამაშის შემთხვევაში გამიხანგრძლივებენ.

**- ყველაზე მეტად რომელ პოზიციაზე მოგწონთ თამაში?**

- ყოველთვის ცენტრფორვარდი ვიყავი, მაგრამ თურქეთთან უკან დახეული თავდამსხმელის ფუნქციები შევასრულე და შევატყვე, რომ ამ პოზიციაზეც ნაყოფიერად შემიძლია თამაში. ოღონდ ნაკრებმა მიაღწიოს წარმატებას და ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მზად ვარ, გუნდს იმ ამპლუაში გამოვადგე, რომელზეც მწვრთნელი გამამწესებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს თასი

1/8 ფინალის წილისყრა

# ესეც ინტრიგა!



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სანაკრებო თამაშების გამო ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზა კი არის გამოცხადებული, მაგრამ ჩვენთან საფეხბურთო ცხოვრება ჩვეული რიტმით მაინც მიდის; ზოგი გუნდი ხანმოკლე შეკრებაზე გაემგზავრა, ზოგი სპარინგმატჩებს ატარებს აზერბაიჯანიდან ჩამოსულ კლუბებთან და ასე შემდეგ. თუმცა ქართული გუნდების უმრავლესობის ყურადღება გუშინ სხვა ღონისძიებისკენ იყო მიმართული: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში დავით ყიფიანის სახელობის თასის მერვედფინალის კენჭისყრა ჩატარდა.

კენჭისყრას საქართველოს პროფესიული ლიგის საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე **ნოდარ კაკულია** უძღვებოდა; კენჭისყრის დაწყებამდე, კაკულიამ კლუბების წარმომადგენლებსა თუ ჟურნალისტებს წილისყრის პროცედურა გააცნო. მერვედფინალში მოასპარეზე 16 გუნდი ორ ჯგუფად დაიყო - განთესილებად და გაუნთესავებად; დებულების თანახმად, განთესილებში მოხვდნენ ამ ეტაპისთვის საქართველოს ჩემპიონატში პირველ რვა ადგილზე მყოფი გუნდები („ზესტაფონი“, „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, „სპარტაკი“, „სიონი“, „სამტრედია“, „გაგრა“); ხოლო მეცხრე და მეათე ადგილზე მყოფი გუნდები („ბაია“, „ლოკომოტივი“), პირველი ლიგის ექვს გუნდთან („ტორპედო 2008“, ფოთის „კოლხეთი“, „მარტვილი“, „მერცხალი“, „ჩიხურა“, „35-ე საფეხბურთო კლუბი“) ერთად გაუნთესავებში იყვნენ.

თავიდანვე გაცხადდა, რომ გაუნთესავები მასპინძლის როლში იქნებოდნენ; ერთი მხრივ, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელებმა სწორი გადაწყვეტილებაც მიიღეს, მერვედფინალის ერთ მატჩად ჩატარება რომ გადაწყვიტეს. ამას გარდა, გარკვეული ინტრიგაც არის, რომ გაუნთესავები (ანუ, პირობითად, შედარებით სუსტები) მასპინძლის როლში იქნებიან და ამით ხომ, მეტ-ნაკლებად, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსიც გაეზრდებათ. სხვათა შორის, მსგავსი პრაქტიკა ევროპის ზოგიერთ ლიგაშია დანერგილი (რუსეთში, გერმანიაში, ჩეხეთში), როცა, ფაქტობრივად, ნახევარფინალამდე შედარებით სუსტი გუნდები მასპინძლის ფაქტორის უპირატესობით სარგებლობენ. ალარაფერს ვამბობთ ინგლისისა თუ საფრანგეთის თასის გათამაშებებზე, სადაც, ძალიან ხშირად, მეორე და მესამე ლიგის გუნდები... თასის ფინალამდეც კი აღწევენ.

თუმცა, დავუბრუნდეთ საქართველოს თასის მერვედფინალის კენჭისყრას და ალბათ, უკვე დროა, რომ წყვილებსაც გავეცნოთ:

**ბაია (ზუგდიდი)-სიონი (ბოლნისი)**
**ჩიხურა (საჩხერე)-ოლიმპი (რუსთ.)**
**ტორპედო 2008 (ქუთ.)-ზესტაფონი**
**კოლხეთი (ფოთი)-გაგრა (გაგრა)**
**მერცხალი (ოზურ.)-სპარტაკი (ცხ.)**
**მერანი (მარტვილი)-სამტრედია**
**ლოკომოტივი (თბ.)-ვიტ ჯორჯია (თბ.)**
**35-ე საფ/კლუბი (თბ.)-დინამო (თბ.)**

ამ რვა წყვილიდან, ყველაზე დიდ ინტერესს, რაღა თქმა უნდა, „იმერული დერბი“ იწვევს: ქუთაისის „ტორპედო 2008“-მ „ზესტაფონს“ უნდა უმასპინძლოს! ტერიტორიული სიახლოვის გარდა, ეს წყვილი იმითაც არის დამაინტრიგებელი, რომ ერთმანეთს უნდა შეხვდნენ პირველი და უმაღლესი ლიგის ერთპიროვნული ლიდერები! ეგ კი არა, „ტორპედო 2008“-აც და „ზესტაფონიც“, დღემდე დაუმარცხებლად ასპარეზობენ და წყვილში ერთ-ერთ მეტოქესაც სეზონში პირველად მოუწევს წაგების „მწარე გემოს გამოცდა“. ქუთაისური და ზესტაფონური კლუბების დაპირისპირება უმაღლეს ლიგაში დიდი ხანია არ გვინახავს; არანაკლები აჟიოტაჟი უნდა მოჰყვეს ცალკეულ ფეხბურთელთა... ყოფილ კლუბთან დაპირისპირებასაც; **გიორგი თურმანიძესა** და **შალვა ლონლაძეს** დიდი წვლილი მიუძღვით „ზესტაფონის“ აღზევებაში, დღესდღეობით კი „ტორპედო 2008“-ის ღირსებას იცავენ; რაც შეეხება „ზესტაფონის“ და საერთოდ, ქართული ფეხბურთის უბერებელ ვეტერანს **ზურაბ იონანიძეს**, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუხარებია ქუთაისელი ქომაგები, როცა რვა-ცხრა წლის წინ „ტორპედოს“ ერთ-ერთი ლიდერი იყო...

იოლი გასეირნება არ ელოდება „გაგრას“ - ფოთის „კოლხეთიც“ აღმავლობის გზაზეა და „ტორპედო 2008“-ის მსგავსად, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას ცდილობს. ძალიან ძნელია ფავორიტის გამოცნობა ორ წყვილში: „ბაიამ“ ბოლნისის „სიონს“ რომ უნდა უმასპინძლოს და „მარტვილი“-“სამტრედიას“ დაპირისპირებაში. შედარებით სუსტი მეტოქე შეხვდა ცხინვალის „სპარტაკს“ - **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდს ოზურგეთის „მერცხალი“ ელოდება. უმაღლესლიგელებმა კიდევ ერთი წყვილი შეადგინეს - „ლოკომოტივმა“ მოქმედ ჩემპიონს უნდა უმასპინძლოს. ისე, ალბათ, იმისი დროც მოვიდა, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ თასის გათამაშებაშიც წარმატებას მიაღწიოს, თორემ ასეთი ამბიციური გუნდისთვის, 11 წლის განმავლობაში ერთი-ორჯერ ნახევარფინალში გასვლა ვერაფერი შედეგია.

დაბოლოს, კიდევ ერთ „დერბიზეც“: პირველი ლიგის დებიუტანტმა „35-ე საფეხბურთო კლუბმა“ ჩვენს ყველაზე ტიტულოვან კლუბს უნდა უმასპინძლოს! შეგახსენებთ, რომ „35-ე საფეხბურთო კლუბის“ მთავარი მწვრთნელი **კახა გოგიჩაიშვილია**, კარიერის საუკეთესო წლები სწორედ „დინამოში“ რომ აქვს გატარებული.

მერვედფინალური შეხვედრები 20 და 21 ნოემბერს ჩატარდება და მატჩები, სავარაუდოდ, 14 საათსა და 30 წუთზე დაიწყება.

აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ მატჩების ფრედ დასრულების შემთხვევაში ,ორი დამატებითი 15-წუთიანი ტაიმი დაინიშნება; თუ გამარჯვებული არც ამ შემთხვევაში გამოვლინდება, მაშინ პენალტების სერია დაინიშნება.

**გია ტუხაშვილი**

U 17

# ჭანტურია გოლით დაბრუნდა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას განაგრძობს. გუშინ **გიორგი დევდარიანის** გუნდმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა. ნაკრების მეტოქე „გაგრას" დუბლშემადგენლობა იყო. „მიხეილ მესხზე" მატჩი დევდარიანის ფეხბურთელთა კარნახით წარიმართა და მათი დამაჯერებელი გამარჯვებით, 3:1 დასრულდა. თამაშის სანახავად არაერთი ცნობილი საფეხბურთო პერსონა მივიდა, მათ შორის იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**.

17-წლამდელთა სასტარტო შემადგენლობა ასეთი გახლდათ: **ლეგაშვილი, მაჭავარიანი, დოლიძე, დრიაევი, ტვილდიანი, ხუბუა, ყაზაიშვილი, პარუნაშვილი, კოშაძე, ხოჭოლავა, ჭანტურია**. შეცვლაზე შევიდნენ: **არველაძე, სხირტლაძე, რეხვიაშვილი, გელაშვილი**.

„გაგრას" დუბლები: **ნაჭყებია, შელია, ამისულაშვილი, ჭაავა, გედენიძე, თუხარელი, ჯიშკარიანი, მოსიაშვილი, ბელქანია, ოქრიაშვილი, ჭოხონელიძე**. შეცვლაზე შევიდნენ: **კოტრიკაძე, ფალავანდიშვილი, მარგიანი**.

17-წლამდელთა ნაკრების უპირატესობა თავიდანვე გამოიკვეთა და უკვე მე-4 წუთზე **კოშაძემ** ანგარიში გახსნა. დევდარიანის შეგირდები ამის შემდეგაც აქტიურობდნენ, მაგრამ შესვენებამდე დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმში სწრაფი კომბინაცია **სხირტლაძის** გოლით დასრულდა, მესამე ბურთი კი ჭანტურიას ანგარიშზეა, რომელიც მეტოქის მეკარესთან პირისპირ გავიდა, იგი იოლად ჩამოიცილა და ეფექტურად გაიტანა. „გაგრა" დიდი ანგარიშით მარცხს მატჩის მიწურულს გადაურჩა, პენალტი **ჭოხონელიძემ** გამოიყენა. აქვე გეტყვით, რომ მატჩი 35-წუთიანი ტაიმებისგან შედგებოდა.

„ბარსელონას" ნევრი **გიორგი ჭანტურია** ნაკრებს რამდენიმე დღის წინ შეუერთდა და მას შემდეგ გიორგი დევდარიანის განკარგულებაში უკვე ყველა ფეხბურთელია. ცხადია, რომ ჭანტურია კარგ ფორმაშია, მისი გუშინდელი თამაში ამის თქმის საფუძველს იძლევა. ისე კი ფეხბურთელთა გამოყოფისგან თავს შევიკავებთ, რადგან მთელმა გუნდმა საკმაოდ ორგანიზებულად და სწრაფად ითამაშა. ხელი აქვს მოტეხილი **გიორგი გაგნიძეს**, მაგრამ სავარაუდოდ, ოფიციალური მატჩებისთვის იგი გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

9 ოქტომბერს 17-წლამდელთა ნაკრების მეტოქე თბილისის „დინამო" იქნება. დევდარიანი ეროვნულ ჩემპიონატში გამოცხადებული პაუზის ნაყოფიერად გამოყენებას აპირებს, „გაგრასთან" მატჩი სწორედ ამის დადასტურებაა. ნაკრების მწვრთნელს სურს, ძლიერ მეტოქეებთან ჭიდილში მისი გუნდის ძლიერი და სუსტი მხარეები ნათლად გამოჩნდეს.

დევდარიანის განკარგულებაში დღეისათვის 23 ფეხბურთელია, რომელთაგანაც საკვალიფიკაციო ეტაპისთვის 18 შეირჩევა. მწვრთნელი განაცხადს მოგვიანებით დაასახელებს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჯგუფის თამაშებს შოტლანდია უმასპინძლებს. 20 ოქტომბერს პირველ მატჩში საქართველო პორტუგალიას დაუპირისპირდება, 22-ში მასპინძლებს შეხვდება, 25 ოქტომბერს კი ჩვენი მეტოქე კვიპროსი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სკანდალის ექო

## თამაზ პერტია

# დინაბურგი რუსული გუნდია და ამიტომაც ჩაძირეს

**„სამუდამო სასჯელი პერტიასა და „დინაბურგს" - რამდენიმე დღის წინ ლატვიური პრესა ასეთი სტატიებით აჭრელდა. ქართველი მწვრთნელი თამაზ პერტია ლატვიის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსან „დინაბურგს" ავარჯიშებდა. საქმე ისაა, რომ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციამ ეს კლუბი უმაღლესი ლიგიდან გარიცხა. გადაწყვეტილების მიზეზი გახდა უეფადან მიღებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „დინაბურგი" ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობდა - პერტია და კლუბის პრეზიდენტი ოლეგ გავრილოვი ტოტალიზატორში „დინაბურგის" თამაშებზე დებდნენ ფსონებსო. ლატვიურმა ფედერაციამ მათ სამუდამოდ აუკრძალა ფეხბურთში საქმიანობა. თამაზ პერტიას გუშინ დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ.**



თამაზ პერტია

**- ამ სკანდალის თაობაზე უკვე მთელმა მსოფლიომ გაიგო. ლატვიურ ფეხბურთში საქმიანობა აგიკრძალეს. მძიმე მდგომარეობაში იქნებით...**

- დეპრესიაში ვიყავი, სანამ ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს არ შევხვდი. გასაოცარი რამ მითხრა - ერთ თვეში ყველაფერი დალაგდება, ნუ ინერვიულებო. მომხდარის მიზეზები „დინაბურგის" გაძლიერებაა, რაც ლიდერ კლუბებს არ სიამოვნებდათ. უეფადან მოვიდა ინფორმაცია, თითქოს, „დინაბურგი" ტოტალიზატორში ერთბურთიანი უპირატესობით მოგებაზე თამაშობდა. ყველაზე უცნაურია, რომ ამგვარი უპირატესობით მოგება დაგვაბრალეს მაშინ, როცა „დაუგავას" 3:0 მოვუგეთ, „ბლაზმას" კი - 1:0. ესეც არაფერი - ლიგიდან გაგვაგდეს ვარაუდის და არა - მტკიცებულების საფუძველზე. პრესკონფერენციაზე ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ გუნტის ინდრიქსონს ჰკითხეს - „დინაბურგმა" სასურველი შედეგი თუ „დასვა", მაშინ „ბლაზმასა" და „დაუგავას" რატომ არ სჯიათო?! ანგარიშს მხოლოდ ერთი გუნდი ვერ „დასვამდა", თუ დასჯაა, მაშინ ყველა უნდა დაისაჯოს.

**- ასეთ მძიმე გადაწყვეტილებას ასე ჰაერზე, ტყუილუბრალოდ ხომ არ გამოიტანდნენ?!**

- გადაწყვეტილების საფუძველი გახდა უეფას მონაცემები - თითქოს, ჩვენი შეხვედრებისას, ფსონები უცნაურად იცვლებოდა. მეორე ბრალდება ერთბურთიანი სხვაობების „დასმა" იყო. ამ დროს, ჩვენ 1:0 მოვუგეთ უშუალო კონკურენტებს - „ვენტსპილსსა" და „სკონტოს". ამ უკანასკნელმა კი „ბლაზმას" 5:0 მოუგო და მერე ჩვენ გვეუბნებოდნენ - „ბლაზმას" მეტი ბურთი არ გაუტანეთო! ჟურნალისტებმა დათვალეს, რომ გასულ სეზონში „ვენტსპილსმა" 19 შეხვედრა მოიგო ერთბურთიანი უპირატესობით! ყველაფრის თავიდათავი ის არის, რომ შარშან „ვენტსპილსსა" და „სკონტოს" ძალიან მნიშვნელოვანი ქულები ავართვით. „სკონტოს" რეალური მეპატრონეა ინდრიქსონი, რომელიც ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გახლავთ. ჩვენი ჩამოცილება სწორედ მის გეგმებში იყო. ინდრიქსონმა ჩვენს პრეზიდენტს უთხრა - აპელაცია შემოიტანეთ და უმაღლეს ლიგაში აღგადგენთ, იმიტომ დაგსაჯეთ, რომ უეფას ჩვენი რეაქცია დაენახაო. რეალურად, „დინაბურგი" მართლაც იყო გაყიდული ვეტერანების გუნდი. როცა მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს, გუნდიდან 8 ვეტერანი ამის გამო გავუშვი. როცა „სკონტოსა" და „ვენტსპილსს" ჩემპიონობა უნდოდათ, სამ კაცს მოისყიდდნენ და სეზონში 6-6 ქულა გარანტირებული ჰქონდათ. ეს ნამდვილად ვიცი მეგობრებისგან, რომლებიც ლატვიის არაერთ კლუბში მყავს. აი, ეს ხალხი გავაგდე, ნესიერი ახალგაზრდები შემოვიკრიბე, რომლებსაც ვერ იყიდიან და ამის გამო არიან გალიზიანებულები.

**- ასეთ ინფორმაციასაც წავაწყდით - „დინაბურგი" რუსების კლუბია და ლატვიელებმა ამიტომაც ჩაძირესო...**

- რეალურად, ასეც არის. ჩვენი მეპატრონე მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის მოადგილის ვაჟი ოლეგ გავრილოვია. დაუგავპილსი რუსული ქალაქია და ლატვიელებს გულზე არ ეხატებათ. მე რა შუაში ვარ, ან ამ პოლიტიკურ შოუში რატომ გამრიეს, ვერ მივხვდი. აქაც იგივე ვითარებაა, რაც მოლდოვაში - ტირასპოლის „შერიფი" ხომ დნესტრისპირელებისაა, იმ რეგიონის, რომელიც დაპირისპირებულია ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

**- ლატვიაში წლის მწვრთნელად დაგასახელეს. საქართველოში მიწვევები არ გქონიათ?**

- იყო ლაპარაკი, მაგრამ კონკრეტულ შეთანხმებამდე საქმე არ მისულა. სანამ საქართველოში ვითარება არ დალაგდება, აქ დარჩენა მირჩევნია. ბოლოს და ბოლოს, ევროკავშირის წევრ ქვეყანაში მეტი გასაქანია. იმიტომაც არ მსურს ჩამოსვლა, რომ რამდენიმე საინტერესო წინადადება მივიღე. მაგალითად, ლიეპაიას „მეტალურგსში" შემომთავაზეს მთავარი მწვრთნელის პოსტი, იყო ირლანდიური ვარიანტიც... თუმცა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა რეპუტაცია გვარიანად შემილახა და ეს ძალიან მადარდებს. სხვათა შორის, მე პირველი ქართველი არ ვარ, რომელსაც ცილი დასწამეს - ორი წლის წინ ზურაბ მენთეშაშვილი გააგიჟეს, მკვლელი და ყაჩაღიაო. გაგიჟდა კაცი... მერე გაირკვა, რომ სულ სხვა ვინმეზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ზურას ტალახი ხომ მოხვდა?!

**- თავიდან, „დინაბურგის" მოთამაშე-მწვრთნელი იყავით. აზარტში შესული როგორ ახერხებდით მოედანზე მოვლენების მშვიდად შეფასებას, რაც მწვრთნელისთვის აუცილებელია?**

- ფეხბურთში მხოლოდ პროფესიული ცოდნა არაფერს ნიშნავს, მწვრთნელობასთან ერთად მოთამაშეებთან საერთო ენის გამონახვაც უნდა შეგეძლოს, ესეც არანაკლებ მნიშვნელოვანია. შესაძლოა, მწვრთნელი მაგარი მცოდნე იყოს, მაგრამ ფეხბურთელთან ურთიერთობა ვერ შეძლოს. ასეთი მწვრთნელი შედეგს ვერ მიაღწევს. ფეხბურთელთან არ შეიძლება ქედმაღლობა და მუდმივად ჭკუის სწავლება, რადგან მას შენზე ნაკლები ღირსება არ გააჩნია...

**მერაბ მამულაშვილი**

სტუმარი



## ვალდას ივანაუსკასი

# ვერაფრით ამიხსნია, რატომ ვერ თამაშობს საქართველოს ნაკრები?

### სტანდარდის მწვრთნელი: ხუთ-ხუთი აზერბაიჯანული და ქართული კლუბის ერთობლივი ჩემპიონატი უინტერესო არ იქნება

**გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე ბოლნისის „სიონმა" ბაქოს „სტანდარდთან" ამხანაგური შეხვედრა გამართა. ამ გუნდში ოთხი ქართველი ფეხბურთელია - ლევან სილაგაძე, დავით ჭიჭველიშვილი, სერგი ორბელაძე და გიორგი სეთურიძე. ბადრი კვარაცხელია და გოჩა თამაზაშვილი კი მთავარ მწვრთნელს, ლიტველ ვალდას ივანაუსკასს ეხმარებიან.**

**მატჩი სტუმართა გამარჯვებით, 3:1 დასრულდა. „სტანდარდმა", რომელიც აზერბაიჯანის ჩემპიონატში ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება, ნელ-ნელა უპირატესობა მოიპოვა. მატჩის 39-ე წუთზე ანგარიში ომარ ელ ზეინიმ გახსნა. ეს არის გერმანიაში მცხოვრები არაბი, რომელიც შარშან „ზესტაფონში" ისინჯებოდა. 70-ე წუთზე მან დუბლი შეასრულა, 81-ეზე კი სამირ ზარგაროვმა მესამე გოლიც გაიტანა. „სიონისგან" ერთადერთი გოლის ავტორი გახდა ლევან ბაჯელიძე, რომელმაც თავი 89-ე წუთზე გამოიჩინა. მატჩის შემდეგ „სტანდარდის" მთავარ მწვრთნელ ვალდას ივანაუსკასს გავესაუბრეთ.**

**- ბატონო ივანაუსკას, მოსამზადებლად საქართველოში ჩამოსვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

- „სტანდარდი" ბოლოდან მეორე ადგილზეა, ცუდად ვთამაშობთ და ბუნებრივია, პრესაც ასეთივე გვაქვს. ამიტომაც გადავწყვიტეთ ატმოსფეროს შეცვლა. სხვათა შორის, აქ საკმაოდ კარგ პირობებში გვიწევს ვარჯიში. მართალია, „ლოკომოტივის" მოედანზე თამაში რთული იყო, მაგრამ „ამერის" სტადიონზე ვვარჯიშობთ, იქ კი მშვენიერი საფარია.

**- მატჩზე რას გვეტყვით?**

- კმაყოფილი ვარ, კარგი ტესტმატჩი ჩავატარეთ. „სიონი" ტექნიკური გუნდი ჩანს და მისი დამარცხება ფეხბურთელებზე დადებითად იმოქმედებს. აქედან გამომდინარე, შედეგის მიუხედავად, ქართული პირველობის დონეზე საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. ვიცი, რომ რამდენიმე ძლიერი გუნდი გყავთ, ასევეა აზერბაიჯანშიც. ჩემი აზრით, 5-5 აზერბაიჯანული და ქართული კლუბის ერთობლივი ჩემპიონატი უინტერესო არ იქნება.

**- „სტანდარდში" ასისტენტად გოჩა თამაზაშვილიც აგირჩევიათ...**

- გოჩასთან ერთად ჯერ კიდევ იენის „კარლ ცაისში" ვმუშაობდი. მას 2003 წლიდან ვიცნობ. დავმეგობრდით, მაგრამ გარწმუნებთ, გუნდში მეგობრობის გამო არ ამიყვანია. გერმანიაში მან პროფესიონალიზმი გამოავლინა და მსურდა, აზერბაიჯანშიც დამხმარებოდა. ჩამოვიყვანე ლიტვის ნაკრებში ჩემი ყოფილი პარტნიორი იგორ პანკრატიევიც, რათა ორივესთვის თავის გამოჩენისა და გაზრდის საშუალება მიმეცა.

**- ბევრისგან მსმენია, რომ ქართული ფეხბურთის კარგი მცოდნე და გულშემატკივარი ბრძანდებით. სადაც მიდიოდით, ყველგან ცდილობდით ქართველი ფეხბურთელის აყვანას.**

- სამწუხაროდ, ამის საშუალება არ მომეცა „ჰართსში", რადგან გოგიტა გოგუასთან მოლაპარაკება მისი ტრანსფერის მფლობელმა ანდრეი ჩერვიჩენკომ ჩაშალა. ჩერვიჩენკოს თავდაპირველ ფასზე შევუთანხმდით, მაგრამ ყოველი ახალი შეხვედრისას ფასს გვიწევდა და ბოლოს შევეშვით. გული მწყდება, რომ გოგუა უფრო მაღალი რანგის კლუბში არ თამაშობს, არადა, საამისო ნიჭი ნამდვილად აქვს. საერთოდ, საქართველოში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ქართული ფეხბურთი კი ბავშვობიდანვე მიყვარდა. მესმის, რომ რუსეთთან ომმა და მძიმე ფინანსურმა სიტუაციამ ძლიერ შეგაფერხათ, მაგრამ მაინც უამრავი მაღალი კლასის ფეხბურთელი გყავთ, თუნდაც ლევან ყენია, რომელმაც მთელი ევროპა აალაპარაკა. მე ვიცი „შალკეში" რამხელა დატვირთვებია და ამ ბიჭის მიმართ პატივისცემა გამიჩნდა. ეგ არის, რომ ვერაფრით ამიხსნია - საქართველოს ნაკრები ასეთი ფეხბურთელებით რატომ ვერ თამაშობს კარგად და შედეგიანად?

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



იტალიის ნაკრები

# ლიპი ირლანდიას დაემუქრა

იტალიის ეროვნული ნაკრები რომ ჯგუფურ ეტაპებს რთულად გადის, ძველი ამბავია. ისიც გეცოდინებათ, პლეიოფებიდან „აძურა" თითქოს გარდაისახება ხოლმე და სულ სხვა გუნდად წარმოგვიდგება. კვიცი გვარზე ხტისო, ნათქვამია და ასე ხდება ამ შემთხვევაშიც - ეგვიპტეში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე 20 წლამდე ფეხბურთელებს შორის, „აძურინი" უკვე მეოთხედფინალშია გასული და პირველობისთვის ბრძოლას განაგრძობს. არადა, იტალიელებმა ჯგუფური ეტაპი ძალიან სუსტად ჩაატარეს და მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს. მიუხედავად ამისა, მერვედფინალში გავიდნენ და ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს, ესპანეთის ნაკრებს გადაეყარნენ. ამ წყვილში ფავორიტად სწორედ პირენეელები მიიჩნეოდნენ, თუმცა გამარჯვება იტალიელებს დარჩათ, 3:1. აპენინებზე „აძურინის" ამ გამარჯვებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ჟურნალისტები და ექსპერტები კმაყოფილებას ვერ ფარავენ და ახალგაზრდები ქებით ცაში აყავთ. იტალიელთა გამარჯვებაზე კომენტარი **მარჩელო ლიპიმაც** გააკეთა, მოვუსმინოთ მაესტროს:



„ეგვიპტეში გამგზავრებამდე ნაკრებს შევხვდი და ახალგაზრდა ფეხბურთელებს კარგა ხანს ვესაუბრე. შევეცადე ამეხსნა, თუ რამხელა პასუხისმგებლობაა ასეთ მნიშვნელოვან ტურნირებზე ქვეყნის ღირსების დაცვა. ჩემდა გასახარად, ამის ახსნა საჭირო არც იყო, რადგან ყველაფერი კარგად აქვთ გათავისებული. ჯგუფურ ეტაპზე მოდუნებულები იყვნენ, რაც ახალგაზრდული ასაკის ბრალია. ჯგუფიდან სამი გუნდი გადიოდა და მოტივაციის მხრივ, ეს მათზე ცუდად აისახა. თუმცა, პლეიოფები უკვე სხვა რეალობაა და იქ ფეხბურთელები სულ სხვა განწყობით ასპარეზობენ. მჯეროდა, რომ „აძურინი" ესპანეთს დაამარცხებდა და ასეც მოხდა. ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ამ ბიჭებს მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან მომავალში დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ".

ლიპიმ ეროვნულ ნაკრებზეც ისაუბრა, „აძურას" ხომ წინ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები ელის. შეგახსენებთ, რომ იტალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ორი მატჩი აქვს გასამართავი, ჯერ დუბლინში ირლანდიასთან, ხოლო შემდეგ საკუთარ მოედანზე კვიპროსთან. აპენინელთა სამუნდიალო შანსები ერთობ ძვირად ფასობს და ამაში ახლავე დაგარწმუნებთ. „სკუადრა აძურა" მთელი ოთხი ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ირლანდიის უმთავრეს გუნდს. იტალიამ რომც წააგოს ირლანდიაში, შეუძლია შინ კვიპროსს სძლიოს და სამხრეთ აფრიკის საგზური გამოიწეროს. მიუხედავად ამისა, მარჩელო ლიპი დუბლინში მხოლოდ გამარჯვებას გეგმავს და ამას აქედანვე აცხადებს:

„ჯოვანი ტრაპატონის გუნდთან ურთულესი გასვლითი პაექრობა გველის, რომლისთვისაც განსაკუთრებულად უნდა მოვემზადოთ. დიახ, ჩვენ ფრეც გვაძლევს ხელს, მაგრამ ერთი ქულისთვის ნამდვილად არ ვაპირებთ თამაშს. ერთადერთი მიზანი გამარჯვება, სამი ქულის მოპოვებაა. ასე რომ, იტალიის ნაკრები ამ შეხვედრაში ბოლომდე დაიხარჯება და მაქსიმალური მიზნის მიღწევას შეეცდება. წინ მთელი შესარჩევი ციკლის ყველაზე მნიშვნელოვანი კვირა გველის და თავის დაზოგვას ნამდვილად არ ვაპირებთ".

ქარიშხლის შემდეგ

# დონადონი: დე ლაურენტისი ფეხბურთში ვერ ერკვევა

## მაძარი შემტევ ფეხბურთს გვპირდება



„ნაპოლის" უკვე ექსთავკაცი **რობერტო დონადონი** გუშინ ჟურნალისტებს შეხვდა და კარგა ხანს ესაუბრა. დონიმ მომხდარს თავისებური ახსნა მოუძებნა:

„მოვლენები ლოგიკურად განვითარდა, რადგან აურელიო დე ლაურენტისის და ჩემი ხედვები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებოდა. „ნაპოლის" პრეზიდენტი ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ სამწუხაროდ, ფეხბურთში საერთოდ ვერ ერკვევა. ეს მის პიროვნულ თვისებებს სულაც არ ბღალავს, მაგრამ ყველამ ის საქმე უნდა აკეთოს, რაც იცის. აურელიოსთან გამართული ბოლო შეხვედრა ძალიან თბილი და გულღია აღმოჩნდა. ვთხოვე, რომ ჩემთვის სამი შეკითხვა დაესვა კინოს თემაზე - მკითხა და ვერც ერთს ვერ ვუპასუხე. შემდეგ ვუთხარი, ასეთივე წარმატებით შემიძლია დაგისვათ სამი საფეხბურთო შეკითხვა და თქვენც ჩემსავით დადუმდებით-მეთქი. კარგად მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი და ჩაეცინა კიდეც. რაც შეეხება „ნაპოლის", ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ მე არასდროს მითქვამს, რომ შედეგს მალე მივაღწევდით. ახლა რას ვაპირებ? - ახალ წლამდე დავისვენებ და შემდეგ ვნახოთ, თუ საინტერესო წინადადება იქნება, შესაძლოა დავთანხმდე, თუ არა და, ზაფხულამდე უქმად ყოფნა მომიწევს".

ამასობაში კი „ნაპოლის" მწვრთნელმა **ვალტერ მაძარიმ** ახალ ამპლუაში პირველი პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს კარგა ხანს ებაასა. ნეაპოლელთა თავკაცმა კმაყოფილება გამოხატა იმით, რომ იტალიის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ჩაუდგა სათავეში:

„მიზანი? - ჯერ ამაზე საუბარი ძალიან ადრეა, რადგან გუნდს არც კი გავცნობივარ. უნდა შევხვდე ფეხბურთელებს, დაველაპარაკო მათ, გავიგო, როგორ ფორმაში არიან და აქვთ თუ არა პრობლემები ენთუზიაზმთან. მხოლოდ ამის შემდეგ დავისახავთ მიზნებს და შევეცდებით მათ რეალიზაციას. ისე კი ამ ფორმაციის „ნაპოლი" ყველაზე ძლიერი გუნდია მათ შორის, რომელიც ოდესმე გამიწვრთნია. ნეაპოლელ ტიფოზებს ერთ რამეს ვპირდები: შემტევ და სანახაობრივ ფეხბურთს ვითამაშებთ. ჩემი გუნდები ყოველთვის ბევრს იტანდნენ და ყოველთვის მყავდა ისეთი მოთამაშე, რომელიც ბომბარდირთა დავაში იყო ჩართული. როდესაც „რეჯინაში" მივედი, ვიფიქრე, რომ ამ მხრივ პრობლემები შემექმნებოდა, მაგრამ საბედნიეროდ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. ამორუზო გაიხსნა და ბლომად გოლიც გაიტანა. მთავარია, ფორვარდები კარგი გადაცემებით მოვამარაგოთ, ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია სწორედ ამაზეა დაფუძნებული. ბუნებრივია, თავდამსხმელიც მაღალი კლასის უნდა იყოს, რომ შანსი გამოიყენოს. კარგია, რომ საკლუბო ფეხბურთში მცირე პაუზაა, ეს დრო საშუალებას მომცემს, კლუბს მშვიდ ვითარებაში გავეცნო".

ამბები

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტონი იტალიაში ბრუნდება

**ლუკა ტონი** უკვე დიდი ხანია ველარ ხვდება მიუნხენის „ბაიერნის" შემადგენლობაში და ისეთი პირი უჩანს, რომ ველარც მოხვდება. **ლუის ვან გაალი** აქცენტს ახალგაზრდა ფეხბურთელებზე აკეთებს, იტალიელ ფორვარდს კი დუბლებში უწევს ასპარეზობა. ტონი გუშინ იტალიელ ჟურნალისტს გაესაუბრა და შემდეგი განაცხადა:

„არ ვნანობ, რომ თავის დროზე გერმანიაში გადმოვბარგდი. უცხოეთში ძალების მოსინჯვა ყოველთვის მინდოდა და ოცნებაც ავისრულე, თანაც, ისეთ დიად გუნდში, როგორიც „ბაიერნია". პირველი სეზონი მართლაც კარგად ჩავატარე და გოლიც ბლომად გავიტანე. თუმცა შემდეგ, რაღაც მომენტში ჩემ მიმართ ნდობა დაკარგეს და შემადგენლობაშიც ველარ ვხვდები. მესმის გერმანელების, რადგან ისინი აქცენტს მომავალზე, ახალგაზრდებზე აკეთებენ. შეხედეთ ტომას მიულერს, შესანიშნავად თამაშობს და იმსახურებს კიდეც ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობას. რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, ჯერჯერობით არ ჩამოვყალიბებულვარ, თუ რას გავაკეთებ. მსურს ვან გაალის ნდობა მოვიპოვო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს ურთულესი იქნება. ასე რომ, არ გამოვრიცხავ, უკვე იანვარში იტალიაში დავბრუნდე".

იტალიელი ჟურნალისტების ცნობით, ტონის უკვე დაუკავშირდნენ სერია A-ს კლუბები და მოლაპარაკებებიც დაწყებულია. ყველაზე აქტიურად „მილანის" და „ნაპოლის" ვარიანტებზე საუბრობენ.

იუვენტუსი

# დადასტურებულია: ახალი პრეზიდენტი ბლანი იქნება



დადასტურდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს დღეებში „იუვენტუსს" ახალი პრეზიდენტი ეყოლება. ამ საპასუხისმგებლო პოსტზე დღემდე **ჯოვანი კობოლი ჯილი** მუშაობს, რომელსაც სულ მალე **ჟან კლოდ ბლანი** შეცვლის. როგორც ჩანს, **ანიელების** ოჯახმა გადაწყვიტა, რომ ჯილიმ თავისი შესაძლებლობები ამოწურა და ბლანი უკეთ გაართმევს თავს პრეზიდენტის ფუნქციების შესრულებას. ეს ამბავი, დირექტორატის წარმომადგენელმა, **ჯონ ელკანმა** გაახმაურა:

„მადლობა უნდა გადავუხადოთ ჯოვანი კობოლი ჯილის იმ რთული სამუშაოსთვის, რომელიც კლუბისთვის მეტად რთულ პერიოდში გასწია. მშვენივრად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს და „იუვენტუსის" კრიზისიდან გამოყვანაში ლომის წილი დაიდო. ახლა ჯერი ჟან კლოდ ბლანზეა, ვინც კარგად უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმე და კლუბი კიდევ უფრო განავითაროს. ბლანი ახალ პოსტზე საქმიანობას თორმეტი ოქტომბრიდან შეუდგება".

საპრეზიდენტო ცვლილებაზე კომენტარი გააკეთა „იუვეს" სპორტულმა დირექტორმა **ალესიო სეკომ**. მან გუნდში არსებულ ვითარებაზეც ისაუბრა:

„ჯილისთან ერთად სამი წელი ვიმუშავე. ეს იყო ძალიან რთული და ამავდროულად, პროდუქტიული პერიოდი. რაც შეეხება ჟან კლოდ ბლანს, ისიც ჩვენი გუნდის ნაწილია და დარწმუნებული ვარ, „იუვენტუსს" ახალ საფეხურზე აიყვანს. აქვე, გუნდში არსებულ ვითარებაზე ვიტყვი ორიოდე სიტყვას. ძალიან გთხოვთ, სიტუაციის დრამატიზებას ნუ მოვახდენთ, რადგან საამისო საბაბი არ გვაქვს. სეზონი ძალიან კარგად დავიწყეთ და ამ ფონზე, გუნდის დღევანდელი ფორმა არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ ყველაფერს ეშველება. მთავარია, გავერთიანდეთ გუნდის ირგვლივ და კრიტიკის ნაცვლად, მხარი დავუჭიროთ ფეხბურთელებს. გუნდს უკვე ხუთი თამაშია არ მოუგია, თუმცა მჯერა, ნავსი მალე გატყდება და გუნდი სატურნირო ცხრილში ლიდერის პოზიციას დაიბრუნებს".

მილანი

# ბერლუსკონი: არ იყიდება, არა!

„მილანის" აქციები **სილვიო ბერლუსკონის** მედიაჯგუფ „ფინინვესტს" ეკუთვნის. კომპანიას იტალიის სასამართლომ კოლოსალური ვალი დაადო და გავრცელდა ხმები, რომ სილვიო „როსონერის" გაყიდვას აპირებს. უმალ გამოჩნდნენ ბიზნესმენები, რომლებმაც „მილანის" ყიდვის სურვილი გამოთქვეს, მათ შორის გახლდათ **რეზარტ ტაჩი**. ალბანელმა პრესასთან ღიად განაცხადა, უახლოეს დღეებში ბერლუსკონის სპეციალურ შეთავაზებას გავუკეთებ და შევეცდები, „მილანი" დავათმობინოო. ამ თემაზე, უკვე სამი დღეა, ინტენსიურად საუბრობენ და როგორც ჩანს, სენიორ სილვიომ ყველაფრისთვის წერტილის დასმა გადაწყვიტა.

გუშინ, ფინინვესტის" ოფიციალურ ვებგვერდზე სპეციალური განცხადება განთავსდა, საიდანაც ვკითხულობთ: „საფეხბურთო კლუბი „მილანი" არ იყიდება და ეს გადაწყვეტილება გადახედვას არ ექვემდებარება. მეტიც, კლუბის აქციების არც ერთი პროცენტი არ გასხვისდება".

ასე რომ, ტაჩის შეუძლია მიწაზე დაეშვას - ბერლუსკონი „როსონერის" გასხვისებას არ აპირებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ყველაფერი რაფა ბენიტესს ჰბრალდება

ლივერპული

# რაფას ჯილეტი დაუძველდა

„ლივერპულის“ მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** გაოცებისგან პირდაღებული დარჩა - მერსისაიდული კლუბის ერთ-ერთმა მეპატრონე **ჯორჯ ჯილეტმა** განაცხადა, რომ გუნდის უკლებლივ ყველა წარუმატებლობა მისი და მისი ბიზნესპარტნიორის, **ტომ ჰიკსის** კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ბენიტესის ბრალია. შეგახსენებთ, რომ ჰიკსი და ჯილეტი ის ამერიკელი ბიზნესმენები არიან, რომელთა თავიდან მოშორება „ლივერპულის“ ქომაგებს, უკვე კარგა ხანია, ოცნებად აქვთ ქცეული.

ჯილეტის განცხადებით, როდესაც გუნდი მოედანზე ცუდ შედეგს აჩვენებს, დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელია. ასეთ ბრალდებაზე ლივერპულელთა ესპანელ თავკაცს, რასაკვირველია არგუმენტირებული პასუხი ექნებოდა, მაგრამ საჯარო პოლემიკისგან მაინც თავის შეკავება ამჯობინა.

ბენიტესმა კლუბის „ბინძური თეთრეულის“ საჯაროდ გამოფენა არ ისურვა. სამაგიეროდ, „ენფილდზე“ შექმნილი განწყობილების შესახებ ინგლისურმა ტაბლოიდებმა „ლივერპულის“ მავანი თანამშრომლისგან შეიტყვეს:

*„რაფა ხმამაღლა არაფერს ამბობს, მაგრამ მერწმუნეთ, ჯილეტის განცხადებამ ნამდვილად არ გაახარა. ზუსტად ასევეა ჩვენი კლუბის ყველა ის წევრი, ვისაც სიტყვა ეთქმის და ავტორიტეტი აქვს. ამ ხალხს ჯერჯერობით პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, მაგრამ ყველა ბენიტესს უჭერს მხარს. და, რაც მთავარია, რაფას ურთიერთობას არცთუ დიდი ხნის წინ დანიშნულ აღმასრულებელ დირექტორ კრისტიან პარსლოუსთან იოტისოდენა ბზარიც არ გასჩენია“.*

საინტერესოა, რომ როგორც ირკვევა, „ლივერპულის“ მწვრთნელზე ჯილეტის შეტევამ მერსისაიდში ბენიტესის პოზიციები კი არ შეასუსტა, პირიქით გაამყარა. ფანები სულ უფრო მყარად იკავებენ მწვრთნელის პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ბოლო ორი შეხვედრა (ჩემპიონთა ლიგაში „ფიორენტინასთან“ და პრემიერლიგაში „ჩელსისთან“) წააგო, ბენიტესის თანამდებობიდან გაშვებას არავინ ითხოვს.

დაბოლოს, ცნობისათვის, „ლივერპულის“ უახლოესი მატჩების განრიგი ასეთია: სტუმრობა „სანდერლენდში“, ჩემპიონთა ლიგის აუცილებლად მოსაგები მატჩი ფრანგულ „ლიონთან“ და „ენფილდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მასპინძლობა. ფაქტია, წინ ცხელი შემოდგომაა.

**ილია ბაბუნაშვილი**

სადისციპლინო ამბები

# რისხვა ალექსის თავს

**სერ ალექს ფერგიუსონს** დიდი ზვირთების გაძლება მოუწევს - მის წინააღმდეგ ამხედრებულთა რაოდენობა და მათი რისხვა დღითი დღე მატულობს. უკვე გაისმა მოთხოვნა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცს საერთოდ აუკრძალონ ფეხბურთში მოღვაწეობა. მიზეზი ცნობილია: შაბათს, „სანდერლენდთან“ 2:2-ის მერე ფერგიუსონმა მსაჯ **ალან უაილის** ზღვარგადასულად შეუტია. ლეგენდარულმა სქოთმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ უაილი შეხვედრისთვის ფიზიკურად არ იყო მზად, თუმცა ტექნიკური საშუალებებით გაკეთებულმა ჩანაწერებმა დაამტკიცა, რომ მწვრთნელი ცდებოდა.

მძლავრი ბრიტანული პროფკავშირის, „პროსპექტის“ მდივანმა, **ალან ლეიტონმა** ბრძანა, რომ საქმეს არც ფერგიუსონის დროებითი დისკვალიფიკაცია ანუ სადმე ტრიბუნაზე გადასმა უშველის და არც მისი დიდი თანხით დაჯარიმება. ლეიტონი დარწმუნებულია, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ვალდებულია, „იუნაიტედის“ თავკაცს სერიოზულად ასწავლოს ჭკუა.

*„წარმოდგენა არ მაქვს, რა შემოსავლის პატრონია სერ ალექსი, მაგრამ მისთვის სტანდარტული თანხის დაკისრება ან სათადარიგოთა სკამიდან რამდენიმე თამაშით ტრიბუნაზე აშვება არასერიოზული ნაბიჯი და თავის მოტყუება იქნება. ვფიქრობ, აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს, რომ საქმე სერიოზულ შემთხვევასთან გვაქვს. ამ შემთხვევას ადეკვატურად უნდა მივუდგეთ და დამნაშავე რაც შეიძლება მკაცრად დავსაჯოთ. ვიცი, რომ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ამ ზომისთვის ადრე არასდროს მიუმართავს, მაგრამ კოდექსში არის ადამიანისთვის ამა თუ იმ პროფესიაში მოღვაწეობის აკრძალვის მუხლი და ვგონებ, ალექს ფერგიუსონს სწორედ ის უნდა მიუყენონ. საჭიროა ყველამ გაიგოს, რომ ზოგიერთი ქცევა მიუღებელია და მის გამო შეიძლება უსასტიკესად დასაჯონ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იმას, რაც ფერგიუსონმა ჩაიდინა სხვებიც გაიმეორებენ და გაიმეორებენ. ერთი სიტყვით, ჩემი ღრმა რწმენით, ფეხბურთის ასოციაციამ კატეგორიული ნაბიჯი უნდა გადადგას. სხვა მხრივ თავად ეს ორგანიზაცია დაკარგავს ყოველგვარ ავტორიტეტს. გავიგე, რომ ასოციაციას ფერგიუსონისთვის თავისი სიტყვების განმარტება მოუთხოვია. ვგონებ, აქ ასახსნელი აბსოლუტურად არაფერია. მოვითხოვ, ასოციაციამ სასწრაფოდ აღადგინოს ალან უაილის შელახული თავმოყვარეობა და მოიფიქროს მსაჯების ბოლო დროს გამძვინვარებულ მწვრთნელთაგან დაცვის მექანიზმი“.*

თავის მხრივ, თავიანთი მოთხოვნები წამოაყენეს მსაჯებმაც. ისინი ალექს ფერგიუსონის დასჯას უეფასთვის ჩვეული ანუ კონტინენტური ევროპის სტილით ითხოვენ. ახლავე აგიხსნით, რა სტილზეა ლაპარაკი: თამაშის დღეებში საკუთარ ფეხბურთელებთან ყოველგვარი კონტაქტის აკრძალვა, გუნდის ავტობუსით გადაადგილების აკრძალვა, გასახდელებში შესვლის აკრძალვა.

ინგლისელებს ასეთი რამ არასდროს მოუსინჯავთ...

**ილია ბაბუნაშვილი**



სერ ალექსს ფეხიზლად ყოფნა მართებს

არგენტინის ნაკრები



დიეგო მარადონამ შეიძლება პოსტი დატოვოს

# მარადონა წასვლით იმუქრება

არგენტინის ნაკრების თავკაცი **დიეგო არმანდო მარადონა** კვლავ მედიის ყურადღების ცენტრშია. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ორი უმნიშვნელოვანესი თამაშის წინ (პერუს და ურუგვაის ნაკრებების წინააღმდეგ) მარადონამ განაცხადა, რომ შეიძლება პოსტი დატოვოს, თუ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც მას სურს. მარადონამ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც ის ქვეყნის მთავარი გუნდის თავკაცად დანიშნეს, მას ბევრი რამ არ მოსწონს და საკვალიფიკაციო კამპანიის დასრულებამდე სურს ყველა პრობლემა ხელმძღვანელობასთან ერთად განიხილოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტს, დარჩება თუ არა მწვრთნელის პოსტზე.

*„ძალიან კარგად მახსოვს ის საღამო, როცა ხულიო გრონდონამ სახლში დამპატიჟა და ეროვნული ნაკრების თავკაცობა შემომთავაზა. ბრწყინვალე წუთები იყო, მაგრამ მას შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ძალიან ბევრი რამ არ მომწონს და ყველა საკითხს მოგვიანებით ისევ გრონდონასთან გავარკვევ. ერთი ცხადია და სჯობს, ყველამ იცოდეს - მხოლოდ ჩემ მიერ მოწონებული პირობებით დავრჩები ნაკრებში“*, - განაცხადა დიეგომ პრესკონფერენციაზე. ამასთან მარადონამ არაფრით დააკონკრეტა, თუ ზუსტად რისი შეცვლა სურს ნაკრებში, მხოლოდ ერთი აღნიშნა, ყველა ისეთი საკითხია, რომლის მოგვარებაც მოლაპარაკებით შესაძლებელია.

„ტელამის“ (არგენტინული სააგენტოა) ინფორმაციით, მარადონა წყობილებიდან გამოიყვანა იმ ფაქტმა, რომ **პაბლო საბალეტა** ინგლისიდან ტრავმირებული ჩამოვიდა. ამაში დიეგო დამნაშავედ **კარლოს ბილარდოს** მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ბილარდოც და მარადონაც ოფიციალურად არ ადასტურებენ, მათ შორის ცუდი ურთიერთობაა, მეტიც, ისინი ერთმანეთს არც კი ელაპარაკებიან. ახალი დაპირისპირების მიზეზი „მანჩესტერ სიტია“. მარადონამ ბილარდოს დაავალა, რომ ყველა ღონე ეხმარა, რომ **კარლოს ტევესს** და პაბლო საბალეტას პრემიერლიგის ორშაბათის მატჩში არ ეთამაშათ. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ ტევესმაც ითამაშა და საბალეტამაც. დიეგო წყობილებიდან გამოიყვანა საბალეტას ტრავმამ.

საბალეტას ტრავმის მიუხედავად დიეგო მარადონა მისი შემცვლელის მიწვევას აღარ აპირებს: *„ვიმუშავებ იმ გუნდთან, რომელიც ამჟამად მყავს. ძალიან მაფიქრებს, რომ ფეხბურთელთა უმეტესობას ყვითელი ბარათები აქვს მიღებული და პერუსთან გაფრთხილება მათ ურუგვაისთან უმნიშვნელოვანესი მატჩის გამოტოვებად დაუჯდებათ“.* დიეგომ კიდევ ერთხელ ნათლად თქვა - ის გადადგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, თუკი მის მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ.

„მანჩესტერ სიტის“ ვარსკვლავი კარლოს ტევესი კრიტიკოსთა გამონათქვამებმა გაალიზიანა, თითქოს არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები მხოლოდ ფულის გულისთვის თამაშობენ: *„ეროვნულ ნაკრებში თამაშისას ბანკში შენახულ მილიონებზე არ ვფიქრობ. არგენტინის ნაკრებში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვთამაშობ და ყოველთვის ასე იქნება, რადგან მე ჩემი ქვეყნის ღირსებას ვიცავ. ძალიან ძნელი იქნება საგზურის მოპოვება, ბოლო ორმა საკვალიფიკაციო მარცხმა გვარიანად დაგვხია უკან“*, - განუცხადა „როიტერს“ ტევესმა.

არგენტინის ნაკრები პერუსთან (10 ოქტომბერი) და ურუგვაისთან (14 ოქტომბერი) მატჩისთვის. მეკარეები: **სერხიო რომერო** (ალკმაარი), **მარიანო ანდუხარი** (კატანია), **დიეგო პოსო** (კოლონი); მცველები: **ემილიანო ინსუა** (ლივერპული), **მარტინ დემიკელისი** (ბაიერნი), **გაბრიელ ჰაინცე** (მარსელი), **ნიკოლას პერეა** (ესპანიოლი), **ფაბიან მონსონი** (ბოკა), **როლანდო სკიავი** (ნიუელსი), **ნიკოლას ოტამენდი** (ველესი); ნახევარმცველები: **ხავიერ მასკერანო** (ლივერპული), **ლუის გონსალესი** (მარსელი), **იონას გუტიერესი** (ნიუკასლი), **ანხელ დი მარია** (ბენფიკა), **პაბლო აიმარი** (ბენფიკა), **ფედერიკო ინსუა** (ბოკა), **ენცო პერესი** (ესტუდიანტესი), **ხუან სებასტიან ვერონი** (ესტუდიანტესი), **მარიო ბოლატი** (ურაკანი); თავდამსხმელები: **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **კარლოს ტევესი** (სიტი), **ესეკიელ ლავეცი** (ნაპოლი), **სერხიო აგუერო** (ატლეტიკო), **გონსალო იგუაინი** (რეალი), **მარტინ პალერმო** (ბოკა).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# ხუთი მიზეზი

## რატომ თამაშობს მესი კლუბში უკეთ, ვიდრე არგენტინის ნაკრებში?

საკვირველი რამ ხდება, როცა ლეო მესი „ბარსელონას“ ფორმის მაგივრად არგენტინის ნაკრების „თეთრ-ცისფერ“ მაისურას იცვამს. მესი თითქოს სადღაც კარგავს იმ ტალანტს, რამაც მას საყოველთაო აღიარება მოუპოვა ევროპაში თამაშით, განსაკუთრებით ბოლო სეზონში, რომელშიც კატალონიურმა კლუბმა ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა... რა თქმა უნდა, დიდწილად მესის წყალობით.

მაგრამ რატომ ხდება ასე? სანამ „ალბისელესტესი“ პერუს ნაკრებთან გადამწყვეტი მატჩისთვის ემზადება, შევეცდებით ავხსნათ ეს „ფენომენი“. მაშ ასე, ინებეთ ხუთი მიზეზი, რის გამოც ლეო მესი „ბარსელონაში“ უკეთ თამაშობს, ვიდრე არგენტინის ნაკრებში.

### 1. მწვრთნელი

როდესაც არგენტინის ნაკრების 10-ნომრიანი მაისურა გაცვია, ვერაფრით აიცილებ თავიდან **დიეგო არმანდო მარადონასთან** შედარებებს. ამ დროს კი სწორედ ის მარადონა ბრაზილიის და პარაგვაის ნაკრებებთან მატჩის წინ ასე „აგულიანებს“ მესის:

*„მან იცის რამხელა პასუხისმგებლობა აკისრია. ის სწრაფია, კონცენტრირებული, ბოლომდე შემართული. მან იცის, რომ აქვს შანსი“*, - მარადონა სწორედ იმას გულისხმობდა, რომ მესის „მარადონობის“ შანსი აქვს. ნებსით და უნებლიედ, დიეგო მას უზარმაზარ ტვირთს ჰკიდებდა - შედეგად, არგენტინამ უუნაროდ ითამაშა და ორივე მატჩი წააგო.

ამ დროს მესი „ბარსელონაში“ „თავისუფალი მხატვარია“, მან კარგად იცის, რა დონის ფეხბურთელიცაა და ზედმეტი შეგულიანება არ სჭირდება. მას დასამტკიცებელი არავისთან არაფერი აქვს და არც შესადარებელი. იქნებ, მარადონამაც რომ მოუხსნას ლეოს ეს ტვირთი, შეძლოს მესიმ არგენტინის ნაკრების კრიზისიდან მშრალად გამოყვანა?!

### 2. ფორმაცია

პარაგვაისთან მატჩში მესიმ 4-4-2 სისტემაში თავდამსხმელის პოზიციაზე ითამაშა, მაგრამ მესი ხომ არ არის ნამდვილი ფორვარდი. ხომ ცხადია, რომ ტანმორჩილ არგენტინელს ძალიან გაუჭირდებოდა ფიზიკურად ძლიერ პარაგვაელ ცენტრალურ მცველებთან? შესაძლოა, მესი ამ სისტემასაც მოერგოს, თუკი მას ნამდვილ ცენტრალურ ფორვარდს შეუწყვილებ, მაგრამ **სერხიო აგუეროსთან** ერთად მას რა შანსი აქვს. აგუეროც ხომ თითქმის ასეთივე აღნაგობის ფეხბურთელია.

მესი უკეთ თამაშობს 4-3-3 სისტემის დროს, როცა მას შეუძლია გამოჩნდეს იქ, სადაც მოესურვება, როგორც ეს „ბარსელონაში“ ხდება (მართალია, როცა **კარლოს ტევესი** ჯანზეა, მარადონაც 4-3-3 სისტემით თამაშობს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მესის უფრო ფლანგზე ათამაშებენ). მესისთვის ჯიუტად რომელიმე პოზიციის მიჩენა, მის თამაშს თავისუფლებასართმევს.

### 3. ჩავი და ინიესტა არგენტინელები არ არიან

ყოველთვის კარგია, როცა თანაგუნდელს უსიტყვოდ უგებ მოედანზე. ლეო მესის **ჩავი ერნანდესთან** და **ანდრეს ინიესტასთან** კი სწორედ ასეთი დამოკიდებულება აქვს. მეტიც, თითქოს მათ შორის ტელეპათიური კავშირია. ეს სამეული თითქოს ნათესაური კავშირით არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სამივე ძალზე ნიჭიერი და სწრაფია, კიდევ უფრო სწრაფი აზროვნების თვალსაზრისით. მათი მთავარი პლუსი ტვინია და არა კუნთი. ინდივიდუალურად მესი, ინიესტა და ჩავი ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, ერთად კი - თითქმის შეუჩერებლები.

არგენტინის ნაკრებში ცენტრალურ ნახევარდაცვაში ძალზე ნიჭიერი ფეხბურთელები არიან, **ხავიერ მასკერანო** და **საბა ვერონი**, მაგრამ ისინი ოდნავ ჩამორჩებიან ინიესტას და ჩავის. მეორეც, ვერონი და მასკერანო ნაკლებად უგებენ მესის მინდორზე.

### 4. ზეწოლა

ბოლო სეზონზე მესიმ, **სამუელ ეტოომ** და **ტიერი ანრიმ** ჯამში 100 ბურთი გაიტანეს „ბარსელონასთვის“. მართალია, მესის ანგარიშზე ჯამში 38 გოლია, მაგრამ ცხადია, რომ ის არ მიიჩნევა „ბარსელონაში“ გოლის გატანის ერთადერთ „წყაროდ“. არგენტინის ნაკრებში კარლოს ტევესმა 51 მატჩში 8 გოლი გაიტანა, უფრო პროდუქტიულია აგუერო, რომელმაც 20 მატჩში 7 გოლი გაიტანა. ანუ არგენტინის ნაკრებში მაინც მესის შეჰყურებენ, რომ გოლი შეაგდოს.

### 5. ის მხოლოდ 22 წლისაა

განა რამდენმა ფეხბურთელმა გაიბრწყინა საერთაშორისო ასპარეზზე ამ ასაკში? **პელემ** - რა თქმა უნდა, როცა 17 წლისამ 1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, მაგრამ სხვამ ვინ? არცთუ ბევრმა - **ზინედინ ზიდანს** 22 წლის ასაკში საფრანგეთის ნაკრებში ნათამაშებიც არ ჰქონდა!

მარადონამ მექსიკაში არგენტინას მსოფლიოს ჩემპიონობა 25 წლის ასაკში მოაგებინა. მიუხედავად იმისა, რომ მესი ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, მას მაინც აქვს პოტენციალი, მარადონას გმირობა გაისად სამხრეთ აფრიკაში გაიმეოროს, მაგრამ ჯერ მანამდე ლეომ არგენტინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გაიყვანოს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლეო მესი

რუსეთი-გერმანია




# გუუსმა არ იცის...

## არშავინი: უჰიდინკოდ რუსეთი გუნდი არ არის

ჰოლანდიელ მწვრთნელ **გუს ჰიდინკს** რუსეთის ნაკრების თავკაცის პოსტზე 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩათვლით აქვს გარანტირებული ადგილი, რუსეთში უკვე ლაპარაკობენ, რომ ჰოლანდიელს კვლავ, როგორც ეს 2007 წელს მოხდა, გაუხანგრძლივონ კონტრაქტი, თუმცა თავად 62 წლის სპეციალისტი ჯერჯერობით ვერ ამბობს, დარჩება თუ არა რუსეთში. *„წლები მემატება, თუმცა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობა მსიამოვნებს. ძალიან საინტერესოა რუსული ფეხბურთის განვითარების ინფრასტრუქტურაშიც მონაწილეობა. რუსეთი მოვიარე და კარგად ვხედავ, რომ ხალხი მონადინებულია, ისწავლოს. თუკი სასელექციო სისტემის რეორგანიზაცია მოხერხდება, ამ ქვეყანას კოლოსალური რეზერვი აქვს. თუკი სისტემა ყველა რეგიონს შეეხება, რეგულარულად მივიღებთ ახალ ტორბინსკებს და ძაგოევებს“*. ჰოლანდიელი მიიჩნევს, რომ კონტრაქტის გაგრძელებაზე ლაპარაკი საკვალიფიკაციო ტურნირის დასრულებამდე ნაადრევია. ამასთან, დიდი ხანია ცნობილია რუსი ფეხბურთელების დიდი ნაწილის დამოკიდებულება ჰიდინკისადმი, რომელიც მოკლედ და ლაკონიურად **ანდრეი არშავინმა** ინგლისურ მედიასთან საუბარში გადმოსცა - No Guus - no team (არ იქნება ჰიდინკი, არ იქნება - გუნდი). რუსეთის ნაკრები მე-4 შესარჩევ ჯგუფში თამაშობს და მომავალ მეტოქე გერმანიას ქულით ჩამორჩება. ჰიდინკის გუნდი სამხრეთი აფრიკის საგზურს მოიპოვებს, თუკი ბოლო ორ საკვალიფიკაციო მატჩს მოიგებს (მათ შორის, გერმანიასთან).

სხვათა შორის, ადგილობრივ მედიასთან საუბარში ჰიდინკი გულშემატკივრებს დაჰპირდა, თუკი რუსეთის ნაკრები გერმანიის გუნდს დაამარცხებს, ის უპრეცედენტო გმირობაზე წავა და ლუდისა და არაყის ნაზავს დალევს.

რუსეთის შანსებზე დაწვრილებით ისაუბრა მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა **იური სიომინმა**. ის ოპტიმისტურად არის განწყობილი და რუსთა გამარჯვების სამ მიზეზს გვთავაზობს: *„უპირველესად, რუსეთს ის ატმოსფერო მოაგებინებს, რომელიც „ლუჟნიკებზე“ იქნება, მეორე მიზეზი ხელოვნური საფარია. დაბოლოს, რუსეთი უფრო სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე გერმანია. რუსეთის ნაკრები უფრო ხშირად და ეფექტურად იყენებს ფეხბურთის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს - პასებს“*.

რუსეთის ნაკრები - მეკარეები: **იგორ აკინფეევი** (ცსკა), **სოსლან ჯანაევი** (სპარტაკი), **ვიაჩესლავ მალაფეევი** (ზენიტი); მცველები: **ალექსანდრ ანიუკოვი** (ზენიტი), **ალექსეი ბერეზუცკი** (ცსკა), **ვასილი ბერეზუცკი** (ცსკა), **სერგეი იგნაშევიჩი** (ცსკა), **რენატ იანბაევი** (ლოკომოტივი), **იური ჟირკოვი** (ჩელსი); ნახევარმცველები: **დინიარ ბილიალეტდინოვი** (ევერტონი), **ვლადიმირ ბისტროვი** (ზენიტი), **ალან ძაგოევი** (ცსკა), **იგორ დენისოვი** (ზენიტი), **ალექსეი რებკო** (მოსკვა), **სერგეი სემაკი** (რუბინი), **იგორ სემშოვი** (ზენიტი), **დმიტრი ტორბინსკი** (ლოკომოტივი), **კონსტანტინ ზირიანოვი** (ზენიტი); თავდამსხმელები: **ანდრეი არშავინი** (არსენალი), **ალექსანდრ ბუხაროვი** (რუბინი), **ალექსანდრ კერჟაკოვი** (დინამო), **რომან პავლიუჩენკო** (ტოტენჰემი), **პაველ პოგრებნიაკი** (შტუტგარტი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პერსპექტივა

# კავანის გრანდში მოუნდა

## მიკოლის აძურული მომავალი

გასულ უქმეებზე, „პალერმოს“ მიერ „იუვენტუსის“ ძლევაში დიდი წვლილი შეიტანა სიცილიელთა ურუგვაელმა გოლეადორმა **ედისონ კავანიმ**. ტანმაღალი ფორვარდი უკვე წლებია „პალერმოში“ ასპარეზობს და არცთუ ურიგოდ ირჯება. **ჯიჯი ბუფონის** კარში გატანილი შესანიშნავი გოლის შემდეგ, მის მიმართ ყურადღება კიდევ უფრო გაიზარდა. კავანი მხოლოდ 22 წლის არის და ბუნებრივია, წინ დიდი გეგმები აქვს. სურვილებსა და მიზნებზე თავად მოგითხრობთ:

*„ტურინელებთან მთელმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. „პალერმოს“ მაღალი მიზნებისთვის შეუძლია ბრძოლა და ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მიზანი? - ევროტურნირები. მართალია, ვალტერ ძენგა სკუდეტოს უმიზნებს, მაგრამ მე მაინც უფრო მოკრძალებულ მიზანს ვისახავ. ისე კი, თუ ფრის მიღწევა გსურს, მოედანზე მოსაგებად უნდა გახვიდე - ამიტომ, მწვრთნელის აბსოლუტურად მესმის. რაც შეეხება ჩემს პირად გეგმებს, ჯერ მხოლოდ „პალერმოზე“ ვფიქრობ. ისე კი სამომავლოდ ტოპ-გუნდში გადასვლაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. ჩემი ოცნებაა ან „ჩელსიში“ ვიასპარეზო, ანაც „იუვენტუსში“. სწორედ ამ გუნდების თამაშის მანერა მომწონს და ვგრძნობ, რომ მათ სათამაშო სქემაში კარგად ჩავეწერები. ძალიან მინდა ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზო და ალბათ ოდესმე ეს ნანატრი დღეც დადგება. „პალერმოში“ თამაში შესანიშნავი წინა პირობაა იმისთვის, რომ სამომავლოდ წინ დიდი ნაბიჯი გადავდგა“.*



აქვე, ორიოდე სიტყვა **ფაბრიციო მიკოლიზეც** ვთქვათ, ვინც „იუვენტუსთან“ არანაკლებ შთამბეჭდავად იასპარეზა. იტალიურ პრესაში მისი ეროვნულ ნაკრებში მიწვევის საკითხიც გაღლერდა და ბუნებრივია, ამ თემას გვერდს ვერ ავუვლით. მიკოლის მიაჩნია, რომ მისთვის „აძურას“ კარი ამ ეტაპზე დაკეტილია, რადგან მასზე უფრო სახელიან ფეხბურთელებს არ იწვევენ. ფაბრიციომ **ალესანდრო დელ პიეროს** და **ანტონიო კასანოს** მაგალითი მოიყვანა. თუმცა, იქვე დასძინა, თუ სტაბილურად ვიასპარეზე ისე, როგორც „იუვენტუსთან“, გამორიცხული არაფერიაო. გამორიცხული მართლაც არაფერია, მაგრამ **მარჩელო ლიპისგან** სიურპრიზებს მაინც ნაკლებად უნდა ველოდეთ. რაც უფრო ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი, მით უფრო მკაფიო ხდება, თუ რომელ ფეხბურთელებზე გააკეთებს სამუნდიალოდ აქცენტს მაესტრო.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი ყველაზე




ტარიბო ვესტი



დიეგო მარადონას სკანდალური გოლი



ბობი რობსონი და მისი ბანდის წევრები

# სისულელეები, სისულელეები...

**შაბათს** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრებია, ბოლოსწინა ტურის მატჩები. ეროვნული ჩემპიონატები დროებით შეწყდა, ფეხბურთელები სამშობლოს წინაშე ვალის მოსახდელად დაიქსაქსნენ, გულშემატკივარმა კი ყოველდღიური თემები შეცვალა. ჰოდა, სწორედ სანაკრებო ამბებთან დაკავშირებულ თავშესაქცევს გვთავაზობს ვებგვერდი goal.com. გავიხსენოთ ათი ყველაზე სკანდალური თუ სულელური გამონათქვამი, რაცკი მუნდიალებზე მოგვისმენია - ძნელია, ამ შემოთავაზებას არ აჰყვე. რასაკვირველია, შეგვიძლია შემდეგ, რაც თავად გაგვახსენდება, ისინიც მივამატოთ, მაგრამ უპირველეს ყოვლისა goal.com-ისას გავეცნოთ. მაშ, ასე:

## 10

1990 წელს, ან გარდაცვლილი სერ **ბობი რობსონის** ხელმძღვანელობით მოთამაშე ინგლისის ნაკრებს გაზეთი „სანი" ისე ჰყავდა აღფრთოვანებული (მართლაც ჩინებული ინგლისი იყო), რომ ნახევარფინალში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან პენალტებით წაგების მიუხედავად დაწერა: *„ჩვენ, გაზასა და მისი ახალგაზრდა ბანდისგან მსოფლიოს ბატონ-პატრონი გუნდის შექმნა შეგვიძლია. ისინი დედამიწას წლობით მოექცევიან სათავეში და დაიმახსოვრეთ, ამას პირველად ჩვენ ვამბობთ, გაზეთი „სანი"!*

ვაგლახ, მსოფლიოს ბატონ-პატრონი გუნდი ოთხი წლის შემდეგ, აშშ-ში საერთოდ ვერ მოხვდა, შესარჩევი ტურნირი ვერ გაიარა, ხოლო გაზა, თავისი ბანდიტებიანად მუნდიალზე აღარავის უნახავს.

## 9

იმავე 1990 წლის ჩემპიონატზე, ირლანდიის ნაკრებმა ეგვიპტესთან ფრედ ითამაშა, 0:0. მაშინ ირლანდიელებს 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მცველი, სერ **ბობი ჩარლტონის** უმცროსი ძმა **ჯეკ ჩარლტონი** წვრთნიდა, რომელსაც მატჩის შემდეგ ჰკითხეს: ეგვიპტელთაგან რომელი ფეხბურთელი მოგეწონათო? „დიდი ჯეკის" პასუხმა იოლად მიიპყრო მთელი დარბაზის ყურადღება:

*„ვერ გეტყვით. გვარები არ ვიცი. აი, ის ბიჭი მომეწონა, წვერიანი. კიდევ, შავგვრემანი ნახევარმცველი, მეორე დაბალი შავგვრემანი ბიჭი, ნახევარდაცვის შუაში რომ გამოდიოდა, ერთი ძალიან რაღაცნაირი ფერის ბიჭი და ერთიც თავდამსხმელი".*

## 8

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, პლეი-ოფის ეტაპიდან შეჯიბრების თანამასპინძელმა, სამხრეთ კორეის ნაკრებმა იტალია გამოაგდო. რა და გოგორ მოხდა, სავარაუდოდ, ყველას კარგად გახსოვთ - მასპინძლებს გვარიანად წაეხმარა ეკვადორელი მსაჯი **ბაირონ მორენო**, იტალიელებმა კი თავისი წილი ჩინებული მომენტები გაატანეს ქარს - მასპინძელთა „ოქროს გოლი" **ან იანგ-ჰუანმა** გაიტანა, რომელიც „პერუჯაში" თამაშობდა და ამ გოლის გატანისთვის „პერუჯას" პრეზიდენტმა **ლუჩანო გაუჩიმ** იგი გუნდიდან გააგდო. მაშინ გაუჩიმ თქვა:

*„ეს ჯენტლმენი ჩემს გუნდში ველარასოდეს ითამაშებს. მან კარიერაში ერთადერთხელ გაიბრწყინა, როდესაც იტალიას უტევდა. მე ნაციონალისტი კაცი ვარ და ასეთი საქციელი მხოლოდ იტალიური ღირსების შელახვად კი არ მიმაჩნია, არამედ აგრესიად იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელმაც ორი წლის განმავლობაში შეგიფარა. კაცს, რომელმაც იტალიური ფეხბურთი ნანგრევებად აქცია, მე ხელფასს ვერ გადავუხდი".*

## 7

ცნობილი ამბავია: 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისსა და არგენტინას შორის საშინელი მატჩი გაიმართა. მაშინდელი არგენტინა იმ არგენტინისგან, რომელიც კაცობრიობის წინაშე 1970-იანი წლების ბოლოდან წარმოჩნდა, დიდად განსხვავდებოდა. ის უხეშობდა, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მიზნის მისაღწევად ბინძურ ხრიკებს კადრულობდა. ხსენებულ მეოთხედფინალში არგენტინელი ფეხბურთელი **რატინი** მოედნიდან გინებისთვის გააგდეს. მატჩის შემდეგ ინგლისის ნაკრების ლეგენდარულმა მწვრთნელმა **ალფ რემსიმ**, პრესკონფერენციაზე ისეთი რამ თქვა, რაც შემდეგ, არგენტინაში რასისტულ გამოხდომად შეაფასეს:

*„ჩვენ საუკეთესო ფეხბურთი ჯერ კიდევ არ გვითამაშია, მაგრამ ამისათვის საჭიროა შეგვხვდეს გუნდი, რომელიც ფეხბურთს გვეთამაშება, მისი ფეხბურთელები კი ცხოველებივით არ მოიქცევიან".*

ისე კი, სტატისტიკა მეტყველებს, რომ ინგლისისა და არგენტინის ხსენებულ შეხვედრაში არგენტინელები სულ 19-ჯერ დაჯარიმდნენ, ხოლო ინგლისელები - 33-ჯერ.

## 6

რამდენიმე წლის წინ, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ასტონ ვილას" ოდინდელმა მწვრთნელმა **რონ ატკინსონმა** „ჩელსის" ფრანგ ფეხბურთელს **მარსელ დესაის** რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც ინგლისში დიდი ამბავი ატყდა. არადა, ატკინსონისთვის ჭკუის სასწავლებელი ჯერ კიდევ 1990 წლის ამბავი უნდა ყოფილიყო, როდესაც ინგლისისა და კამერუნის ნაკრებთა მეოთხედფინალური მატჩის კომენტირებისას კამერუნელ ფეხბურთელებს ჯერ აბსოლუტურად უტვინოები უწოდა, შემდეგ კი თქვა:

*„ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ერთადერთი, რაც მანერვიულებს, ესაა: ვაითუ, ამის დედა, ახლა, თამაშს ხეზე შემოდგმულ ტელევიზორში უყურებს".*

## 5

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიგერიელმა ფეხბურთელმა **ტარიბო ვესტმა** ახალი ვარცხნილობა შემოიტანა, თმაში თოკები ჩაიწნა, რამაც ამ აფრიკული ქვეყნის კულტურის მინისტრი **ოტუმბა რუნშევე** შეაშფოთა. მინისტრმა თქვა:

*„ჩვენი ახალგაზრდობა ფეხბურთელებს ჰბაძავს, ფეხბურთელებს კი, როგორც ჩანს, ავიწყდებათ, რომ თმაში თოკების ჩაწნა განვითარებულ მსოფლიოში ხალხს ჰომოსექსუალიზმთან აქვს დაკავშირებული. ასეთი იმიჯი ჩვენ არ გვჭირდება".*

## 4

ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი **ვილი ვან ჰანეგემი**, ჰოლანდიელებისა და გერმანელების ისტორიულ დაპირისპირებას სხვა ფეხბურთელებზე მეტად განიცდიდა. მიზეზიც ჰქონდა: მეორე მსოფლიო ომის დროს, ერთ-ერთი დაბომბვისას მამა, ორი ძმა და და დაეღუპა.

1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში კი მოგეხსენებათ, ერთმანეთს სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის ნაკრებები შეხვდნენ. თამაშის წინ ვან ჰანეგემმა განაცხადა: *„წყეულიმც ვიყო, თუ გერმანელები ამ შეხვედრაში ისე არ დავამარცხო, რომ შეურაცხვყო. მათ მამა, და და ორი ძმა მომიკლეს. მე ისინი მეზიზღებიან".*

ვან ჰანეგემისთვის სამწუხაროდ თამაში გერმანელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

## 3

ისე როგორ იქნებოდა, ამ გამონათქვამების სიაში დიდი **დიეგო მარადონა** და მისი „ღმერთის ხელი" არ მოხვედრილიყო. შეგახსენებთ: 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში მარადონამ ინგლისს ორი გოლი გაუტანა, მეორე გენიალური - ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, **პიტერ შილტონის** კარამდე გზად ნახევარი გუნდი მოატყუა და ბურთი კარში შეაგდო, პირველი კი... ხელით. მსაჯმა ეს ვერ დაინახა და ჩათვალა.

მატჩის მერე მარადონამ განაცხადა, რომ გამარჯვებას ინგლისისა და არგენტინის ომში დაღუპულ 600-ზე მეტ არგენტინელს უძღვნიდა:

*„პირველი გოლი ცოტათი საკუთარი და ცოტათი ღმერთის ხელით გავიტანე. რაც შეეხება მალვინის (ფოლკლენდის) კუნძულებს, მართალია, თამაშის წინ ვთქვით, რომ ეს თამაში მათთან არანაირ კავშირში არ იქნებოდა, მაგრამ სინამდვილეში ვიცოდით, რომ ინგლისელებმა ომში არგენტინელი ბიჭები ჩიტებივით დახოცეს. ამიტომ, ეს გამარჯვება შურისძიება იყო".*

## 2

თუკი ფეხბურთში ოდესმე სასტიკი და დაუნდობელი შეხვედრა გამართულა, ეს 1962 წელს, „სანტიაგოს ბრძოლად" წოდებული ჩილელთა და იტალიელთა მატჩი გახლდათ. „სკუადრა აძურას" შესვენებამდე გაუგდეს ორი ფეხბურთელი. **უმბერტო მაშიოს ლეონელ სანჩესმა** ცხვირი გაუტეხა, გაცეცხლებელი **ჯორჯო ფერინი** კი პოლიციელებმა ძლივს გაიყვანეს მოედნიდან. და, არ გაინტერესებთ, რატომ აღმოჩნდა ეს შეხვედრა ასეთი საშინელი, რამ დაძაბა მდგომარეობა ასე უკიდურესად? თამაშის წინ ორმა იტალიელმა ჟურნალისტმა ჩილეზე დაწერა შეურაცხმყოფელი სტატია, ადგილობრივმა გაზეთებმა კი ფრაგმენტები გადმობეჭდეს.

*„სან-ტიაგო თვალსაჩინო ნიმუშია იმისა, თუ როგორია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე განუვითარებელი ადგილი. აქ ყველა სახის მანკიერებას შეხვდებით: შიმშილს, პროსტიტუციას, წერა-კითხვის არცოდნას, ლოთობას, სილატაკეს... ქალაქის ყველა გარეუბანში მეძაობა მძვინვარებს. სან-ტიაგო გადავსებულია ულუკმაპურო, გზას აცდენილი ქალებით"*, - წერდა **კორადო პიცინელი...**

## 1

ხოლო ის, რაც ნორვეგიელმა ტელეკომენტატორმა **ბიორგ ლილელიენმა** 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში, ნორვეგიელთა მიერ ინგლისელების 2:1 ძლევის შემდეგ თქვა, ისტორიაში დამკვიდრებულია და ინგლისელ ან ნორვეგიელ ჟურნალისტებს ძნელად თუ დაავიწყებ რამეს. დაავიწყოს. ყველაზე კარგი იქნებოდა, ნორვეგიული რომ გვცოდნოდა და ეს ყველაფერი ჩანაწერში მოგვესმინა, მაგრამ შთაბეჭდილების შექმნა ნაკითხულითაც შეიძლება:

*„ჩვენ მსოფლიოში საუკეთესონი ვართ! ჩვენ მსოფლიოში საუკეთესონი ვართ! ჩვენ ინგლისს ფეხბურთში 2:1 მოვუგეთ. ეს დაუჯერებელია! ჩვენ დავამარცხეთ ინგლისი - ქვეყანა, სადაც დაიბადნენ ლორდი ნელსონი, ლორდი ბივერბუკი, სერ უინსტონ ჩერჩილი, სერ ენტონი იდენი, კლიმენტ ეტლი, ჰენრი კუპერი, ლედი დაიანა - ჩვენ ისინი ყველანი დავამარცხეთ. - მეგი თეტჩერ (ბრიტანეთის იმდროინდელ პრემიერმინისტრს მიმართავს), გესმით ჩემი? მეგი თეტჩერ, შუა საარჩევნო კომპანიაში თქვენთვის მესიჯი მაქვს: ჩვენ ინგლისი მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატიდან გავაგდეთ. როგორც „მედისონ სკვერ გარდენში" კრივის დღეებში თქვენს ენაზე იტყვიან ხოლმე: თქვენი ბიჭები ცემაში გავხიეთ! დიახ, თქვენი ბიჭები ცემაში გავხიეთ!*

**ილია ბაბუნაშვილი**



ჯეკ ჩარლტონმა ეგვიპტელები ორიგინალურად დაახასიათა



ვიმ ვან ჰანეგემი გერმანელებთან ფინალურ მატჩში



ლუჩანო გაუჩი

ჭიდაობა

*პრესკონფერენცია ფედერაციაში*

# დაგვიანებული შეხვედრა

## სკანდალურ ამბებსა და, ცხადია, ცხადაიაზე



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭიდაობის ფედერაციამ გუშინ დაგვიანებული პრესკონფერენცია გამართა. მას ოფიციალურ საბაბად თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების მიერ ახლახან უკრაინაში წარმატებული გამოსვლა დაედო, მაგრამ ძირითადად უფროსთა მსოფლიოს ჩემპიონატს მიეძღვნა. არცაა გასაკვირი – სეზონის უმთავრეს ტურნირზე ეროვნულ ნაკრებთა უფერულ ასპარეზობას ახალგაზრდული გუნდის წარმატება ვერანაირად გადაფარავდა. თანაც, მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ფედერაციას იმ ტურნირისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია არ გაუმართავს. შეგახსენებთ, რომ უკრაინაში ახალგაზრდა ქართველებმა ერთი ოქრო, სამი ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვეს. ჩემპიონი **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60) გახდა, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილს** (55), **დავით ხუციშვილსა** (74) და **დავით მარსაგიშვილს** (96) ვერცხლის მედლები ერგოთ, მძიმეწონოსნებმა – **გიორგი საკანდელიძემ** და **ლევან ბერიანიძემ** კი მესამე ადგილები დაიკავეს.


მანუჩარ ცხადაია

პრესკონფერენცია წუთიერი დუმილით დაიწყო – ამგვარად მიაგეს პატივი ფედერაციის ყოფილ გენერალურ მდივანს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯსა და დამსახურებულ მწვრთნელ ომზარ შოშიტაშვილს, რომელიც გუშინწინ გარდაიცვალა. ილაპარაკეს მის ღვაწლზეც როგორც საკუთრივ ჭიდაობის ფედერაციის, ასევე მთლიანად ჩვენი ჭიდაობის წინაშე.

დანიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გენაძემ** შეაფასა. მას არ დაუმალავს, რომ გუნდების შედეგით უკმაყოფილოა და ორივე ნაკრებისგან მეტს ელოდა, მაგრამ ამაში ტრაგედიას ვერ ხედავს. ეს ჩავარდნა მან ოლიმპიადის მომდევნო სეზონით და მისი თანმდევი მოდუნების მომენტით ახსნა. იყო სხვა მიზეზებიც – დებიუტანტები, განუწყვეტლივ ფორმის პიკზე ყოფნა, რაც ლიდერებს უწევთ... *„ორივე გუნდში ბევრი ახალგაზრდა იყო და მსოფლიოს პირველობამდეც ვამბობდით, რომ დიდ წარმატებებს არ ველოდებოდით, მაგრამ ახალი კადრების გამოცდა მაინც კარგია. ჩვენთვის მთავარი მაინც ოლიმპიადაა და იქამდე დარჩენილი წლები ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – ეს ერთი პირველობა. მჯერა, იმ დარჩენილ წლებში ბევრი გამარჯვება იქნება როგორც ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე, ისე – ოლიმპიადაზე“* - აღნიშნა პრეზიდენტმა.

ცხადია, პრესკონფერენციაზე **მანუჩარ ცხადაიას** სკანდალურ ფინალსაც შეეხნენ და კიდევ ერთხელ გაიმეორეს **გენადი საპუნოვის** სიტყვები, სვოლოჩ, ეს რა გააკეთესო. გაიხსენეს საპუნოვისავე სხვა სიტყვებიც, - სადღეისოდ ორ მოჭიდავეს ვხედავ – ცხადაიას და კუბელ მსოფლიოს ჩემპიონ **მიჯაინ ლოპესსო**. ითქვა სხვა, აქამდე უცნობ ფაქტებზეც. კერძოდ, აზერბაიჯანელთა ნაკრების თავკაც **ოთარ ტატიშვილზეც**, რომელსაც არ დაუმალავს, რომ ფინალში მისმა შეგირდმა საეჭვო ქულა მოიპოვა. ტატიშვილთან დაკავშირებით გენაძემ მეორე საინტერესო ამბავიც გვამცნო - ის დაგვპირდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე დაგვიბრუნდებოდა და სიტყვას კიდეც ასრულებს, მალე გადმოვაო. ტატიშვილი ინფორმაციის დადასტურებისგან ჯერ თავს იკავებს და აზერბაიჯანული მხარისგან შეპირებულ ჯილდოებს ელის, მერე კი რა მოხდება, მომავალი გვიჩვენებს. ცხადაიას თაობაზე კი ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ის ნამდვილი ტალანტი და მომავალი ოლიმპიური ჩემპიონია.

ცხადია, ისაუბრეს ახალგაზრდებზეც. ითქვა, რომ ნიჭიერი შევსება მოდის, სამაგალითოდ კი თუნდაც ამ ტურნირზე მიღწეული წარმატება დაასახელეს. სწორედ ნიჭიერი თაობის იმედად ითქვა, რომ ლონდონის ოლიმპიადისგან დიდ წარმატებას ველით და დანიური ჩავარდნა ტრაგედიად არ უნდა აღვიქვათ.

**ირაკლი თავაძე**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი, სეოკ-ის წევრი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი

**ომზარ შოშიტაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფარიკაობა

# ბაზაძის პლეი ოფი




თურქეთის ქალაქი ანთალია მოფარიკავეთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. ხმლით მოფარიკავე ვაჟებში ბედი საქართველოს ორმა ნარგზავნილმა სცადა, **ბექა ბაზაძემ** და **ლაშა მიქელაძემ**. 64-კაციან პლეი ოფში მხოლოდ ბექა ბაზაძე გავიდა, რომელიც პირველივე რაუნდში დამარცხდა ესპანელ **პაბლო მორენოსთან**. აღსანიშნავია, რომ ბექა 39-ე შედეგით შევიდა პლეი ოფში, ხოლო ესპანელი - 29-ეთი. მორენომ საკმაოდ იოლად იმარჯვა 15:6, თუმცა შემდეგ ეტაპზე ისიც დამარცხდა.

საბოლოოდ, 21 წლის ქართველს მე-40 ადგილი ერგო, რაც ნამდვილად არაა ურიგო შედეგი ჩვენთვის. 16 წლის ლაშა მიქელაძე 89-ე ადგილს დასჯერდა 104 მონაწილეს შორის. ამ დისციპლინაში მსოფლიოს ჩემპიონი გერმანელი **ნიკოლას ლიმბახი** გახდა, რომელმაც ფინალში რუმინელ **პარეს დუმიტრესკუს** 15:11 მოუგო. სამწუხაროდ, ჩვენი მოფარიკავეები სხვა დისციპლინებში არ გამოსულან.

6.7

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გამოძახილი

# წერილი რედაქციას!

21 სექტემბერს „ლელოში“ (№ 222) წავიკითხე, რომ მძლეოსნობის ფედერაციას შეუდგენია სპორტული კლასიფიკაცია, რაც ძალიან მისასალმებელია.

მინდა გაცნობოთ, რომ ჯერ კიდევ 1997 წელს სპორტის საწყლოსნო სახეობების ფედერაციამ, რომლის პრეზიდენტი მე ვიყავი, გენერალური მდივნის გივი ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა და ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე დაამტკიცა ცურვის, წყალბურთის, წყალში ხტომის და სინქრონული ცურვის სპორტული კლასიფიკაცია (თან ერთვის), რომელიც ამჟამად მოქმედებაშია, იგი წარმოადგენს მწვრთნელებისა და სპორტსმენებისთვის როგორც სახელმძღვანელო, ისე სტიმულირების დოკუმენტს. დღემდე ცვლილებები საწყლოსნო სპორტის კლასიფიკაციაში არ შეტანილა.

ასევე შევიმუშავეთ თანრიგოსნის მოწმობა (თან ერთვის), რომელიც შესაბამისი ბრძანების საფუძველზე ეძლევა სპორტსმენს. მივესალმებით თქვენს მხარდაჭერას სპორტული კლასიფიკაციების შემოღების თაობაზე და იმედია, სხვა ფედერაციებიც გაიზიარებენ ჩვენს გამოცდილებას.

პატივისცემით,
**ვლადიმერ გოიაშვილი**

ჩოგბურთი

# ქართული მეოთხედფინალის მოლოდინში

ორშაბათამდე 19 წლის **ანა ტატიშვილი** (191) საქართველოს პირველი ჩოგანი იყო, ახალ რეიტინგში 30 საფეხურით დაქვეითდა და ქვეყანაში პირველობა **ოქსანა კალაშნიკოვას** (185) დაუთმო. ანა დაკარგულის დაბრუნებას ამერიკულ ტურნირებში შეეცდება, ახლა ალაბამის შტატის ქალაქ ტროაშია და 50-ათასიან ტურნირზე მე-5 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში ანა „უაილდ ქარდით“ მიწვეულ ამერიკელ **ჯულია ბოუზრეპს** (622) შეხვდა. ჩვენებურს საკმაოდ გაუჭირდა თანატოლის დამარცხება, პირველი სეტი მან პირწმინდად დათმო, მაგრამ საბოლოოდ მაინც ფავორიტმა იმარჯვა - 1:6, 6:2, 6:2. ჯერ არ გარკვეულა ტატიშვილის მეტოქე მერვედფინალში, ქართველი რუმინელ **აგნეშ სატმარისა** (224) და ამერიკელ **ელისონ რისკეს** (319) შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ფრანგული ლიმოჟის ტურნირის (25 ათასი $) პირველი ეტაპი მე-3 ნომრად განთესილმა ოქსანა კალაშნიკოვამაც დაძლია. საქართველოს პირველმა ჩოგანმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც აჯობა საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსულ ფრანგ **ალიქს კოლომბონს** - 3:6, 6:4, 6:4. მერვედფინალში ოქსანას უკვე სერიოზული მეტოქე ელის, ბერძენი **ეირინი გეორგატუ** (280). მე-6 ნომრად განთესილ **მაკა ჩახნაშვილს** (213) მერვედფინალში ფრანგი **ანაის ლორენდონი** (308) შეხვდება. ლორენდონი მაკას კალიარის ტურნირზე ჰყავს დამარცხებული, მაგრამ ეს 7 წლის წინათ იყო. მთავარი ინტრიგა კი ორივე ჩვენებურის გამარჯვების შემთხვევაში გველის - მეოთხედფინალში ქართულ დუელს ვიხილავთ. ლიმოჟში წყვილთა თანრიგში ჩვენებურთაგან მხოლოდ კალაშნიკოვა თამაშობს. მისი მეწყვილე რუსი **ელენა ჩალოვაა** (175). ქართულ-რუსული დუეტი პირველ ნომრად არის განთესილი და მეოთხედფინალშია. მათი მეტოქეები რუსი **ნატალია ორლოვა** (225) და გერმანელი **იუსტინ ოზგა** (273) იქნებიან.

ყაზახეთის ქალაქ ასტანის ტურნირში (10 ათასი $) 22 წლის **სოზარ გოქაძემ** (1581) იასპარეზა. ის მე-3 ნომრად იყო განთესილი საკვალიფიკაციო ბადეში. ქართველმა ძირითადში გასვლა შეძლო, რუსი **სტანისლავ ისაევი** დაამარცხა - 1:6, 6:3, 6:4. მაგრამ ძირითადი ბადის პირველივე წრეში სოზარმა მოლდოველ **ანდრეი კიუმაცთან** (1316) წააგო - 2:6, 0:6.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ანა ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



ვაჟა კვარაცხელია (მარჯვნივ) და ნიკა ცქიტიშვილი

სუპერლიგა

# კოლხა დაბრუნდა

**სუპერლიგაში თამაშის სურვილი თორმეტმა კლუბმა გამოთქვა, თუმცა უმეტესობას ჯერ არც გუნდი ჰყავს შეკრებილი და არც ბიუჯეტი აქვს განსაზღვრული. მათ რიგებს არ მიეკუთვნება "კოლხა", რომელიც დიდი ხანია, ვარჯიშობს და სუპერლიგისთვის სერიოზულად ემზადება. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონატში პირველად 90-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა და მასში ნიკა ცქიტიშვილი თამაშობდა...**

**მომავალ პირველობაზე რა მიზნები ექნება სოხუმურ კლუბს და რა შემადგენლობით ვარჯიშობს, ამის შესახებ მთავარი მწვრთნელი ვაჟა კვარაცხელია მოგვითხრობს.**

**- თავდაპირველად გუნდის მთავარი დამფინანსებლის შესახებ ვთქვათ.**

- "კოლხას" ერთი სპონსორი არ ჰყავს. გუნდს სხვადასხვა წყაროთი შევინახავთ. დაფინანსება პრობლემა ნამდვილად არ იქნება.

**- მზადება როდის დაიწყეთ?**

- დიდი ხანია, ვერის ბაღში ვემზადებით, თუმცა სულ მალე კანცელარიის დარბაზში გადავალთ. ვფიქრობ, ჩემპიონატს სათანადო ფორმაში შევხვდებით.

**- რა შემადგენლობით ვარჯიშობთ?**

- ძირითადი ბირთვი ახალგაზრდულია, თუმცა დავიმატეთ ერთი-ორი გამოცდილი კალათბურთელი. "დინამოდან" გადმოვიყვანეთ ირაკლი სორდია, "ნტდ-დევონიდან" გიორგი მამაცაშვილი, ხოლო აზერბაიჯანიდან ჩამოვიდა თემურ კანკია, რომელიც ჩემს გუნდში (სსუ) ადრეც თამაშობდა. მათ გარდა ჩვენს რიგებში ითამაშებენ ექსდინამოელები ირაკლი კობიძე და გიორგი ხანიაშვილი, ესპანეთიდან ჩამოსულები: ლევან სულაბერიძე, ბექა ჩიკვილაძე და გიგა კვეტენაძე. ასევე გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები: ზურაბ თვარაძე, გიგა მეხრიშვილი, გუგა პატარაია და თორნიკე კობერიძე. ახალგაზრდული შემადგენლობა კი შევკრიბეთ, მაგრამ ვფიქრობ, ტოლს არავის დავუდებთ, რადგან შემადგენლობა კარგადაა დაბალანსებული. სულაბერიძე 208 სმ სიმაღლისაა, კობიძე – 207 სმ, კობერიძე – 204...

**- სუპერლიგაში თქვენი მიზანი რა იქნება?**

- ჩვენი მიზანი ახალგაზრდა კალათბურთელების სათანადო გამოწვრთნაა. ვიმედოვნებ, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშით ჩემი გუნდის მოთამაშეები სათანადო გამოცდილებას შეიძენენ, რაც სამომავლოდ გამოადგებათ.

ვაჟა სიმონიშვილი

წიგნის თარო

# მე მიყვარს კალათბურთი




ქართველები სპორტული ლიტერატურით განებივრებულნი არ ვართ. მითუმეტეს, საკალათბურთო თემაზე დაწერილი წიგნებითა თუ ბროშურებით. ცნობილი სპორტსმენების ნაშრომებიც ძვირი სანახავია. ამიტომ 60-იანი წლების "დინამოს" წევრის **ანტონ კაზანჯიანის** წიგნი "მე მიყვარს კალათბურთი" საინტერესო გამოცემაა სპორტის „ტანმაღალი სახეობით" დაინტერესებულთათვის.

ეს ბროშურა მკითხველთა ფართო სპექტრისთვისაა დაწერილი, რიგითი გულშემატკივრით დაწყებული, მწვრთნელებით დამთავრებული. გამოცდილი ანტონ კაზანჯიანი დღესაც აქტიურადაა ჩართული საკალათბურთო საქმიანობაში, დადის სუპერლიგისა და სხვადასხვა ასაკობრივი ჩემპიონატის მატჩებზე და საკუთარ სამწვრთნელო გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მწვრთნელებს, მოგვითხრობს ყველა იმ საკითხზე, რაც ნორმალური გუნდის ჩამოსაყალიბებლადაა საჭირო.

ნაშრომი კალათბურთელებსაც დააინტერესებს. ისინი გაეცნობიან იმ ნიუანსებს, რაც მათ დიდ კალათბურთელად აქცევს.

აღსანიშნავია, რომ ეს ბროშურა სპეციალისტის და ჟურნალისტ **ვაჟა სიმონიშვილის ("ლელო")** ერთობლივი ნამუშევარია, რაც ჩვენში იშვიათობაა და გამოცემას ღირსებას მატებს.

ესპანეთი. EBA

# შენგელია: 15 ქულა და 10 მოხსნა 17 წუთში

ესპანეთის დუბლების პირველობის (ება) მეორე ტურში "ვალენსიას" ქართულმა დუეტმა მოაგებინა: **თორნიკე შენგელიამ და გიორგი შარაბიძემ** ერთობლივად 24 ქულა და 22 მოხსნა მიითვალეს. "ვალენსიამ" კი შინ "ალგინეტს" 71:62 აჯობა.

პირველი ტაიმის 28:32 წაგების შემდეგ ქართული წყვილი ჩვეულად ათამაშდა და მეორე ტაიმში მეტოქეს მატჩის გადარჩენის შანსი არ დაუტოვა.

თორნიკემ ორმაგი დუბლი შეასრულა: 17 წუთში 15 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. მან 5 ორქულიანი (ცხრიდან) და 1 სამიანი (სამიდან) ჩააგდო, რასაც ორი ზუსტი საჯარიმო მიამატა.

შედარებით მეტი სათამაშო დრო ერგო "ვალენსიას" ცენტრ გიორგი შარაბიძეს, რომელმაც 24 წუთი ითამაშა და ორმაგ დუბლამდე ერთადერთი ქულა დააკლდა – 9 ქულა, 11 მოხსნა. შეიძლება, შარაბიძეს მეტიც ეთამაშა, ხუთი ფოლი რომ არ მიეღო...

E ჯგუფში ორი ტურის შემდეგ "ვალენსიას" დუბლებს 1 მოგება აქვთ. ისინი მესამე ტურის შეხვედრას 17 ოქტომბერს ჩაატარებენ – "აგუასს" ეწვევიან.

წარმატებულ სვლას განაგრძობს **მიხეილ ბერიშვილის** "არიდანე". კანარულმა გუნდმა მეოთხე ტური ითამაშა და მესამე გამარჯვება ჩაიწერა. ება-ს ლიგის B ჯგუფში 3 მოგება ერთბაშად 8 გუნდს უწერია, შესაბამისად, ისინი პირველ-მერვე ადგილებს იყოფენ. მათ შორისაა "არიდანე", რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში "ლანსაროტე" 91:85 დაამარცხა.

საფინალო სირენამდე 40 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო, თუმცა მატჩში გარდატეხა მიხეილ ბერიშვილის სამქულიანმა შეიტანა. მიშამ სულ 4 შორეული ტყორცნა გამოიყენა (რვიდან), რასაც 4-დან 1 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო მიაყოლა. მატჩის დასრულებას ქართველი ფორვარდი 16 ქულით, 6 მოხსნით და 1 შედეგიანი გადაცემით შეხვდა. მან მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და 32 წუთი ითამაშა.

მომდევნო შეხვედრას "არიდანე" 10 ოქტომბერს "მაიადაჰონდას" წინააღმდეგ ჩაატარებს.

ამავე ჯგუფში მოასპარეზე **გრიგოლ შავგირაძემ** მეორე მატჩი მოიგო. მისმა "ტაკორონტემ" "პუსუელოს" უმასპინძლა და 4 ქულის სხვაობით დაამარცხა – 85:81.

ქართველი უკანახაზელი სათადარიგო იყო, თუმცა დროის სიმცირეს მაინც ვერ დაიჩივლებს – 16 წუთი ითამაშა. გრიგოლმა თამაშიდან ოთხი ტყორცნა შეასრულა, ოთხივე სამქულიანი და რეალიზების 50 პროცენტი დააფიქსირა. მან მატჩი 6 ქულით დაასრულა.

"ტაკორონტეს" ოთხი ტურის შემდეგ შავგირაძის მსგავსი მაჩვენებელი აქვს – 4-დან 2. ორი მოგებით ტენერიფელები სატურნირო ცხრილში მეათე ადგილზე არიან.

10 ოქტომბერს "ტაკორონტე" "კასვის" უმასპინძლებს.

ება-ს ლიგის C ჯგუფის ბინადარი **კოკა ტომარაძის** "მონსონი" ბერიშვილისა და შავგირაძის გუნდებს არ ჩამორჩა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა. კოკას თანაგუნდელთა წარმატება ერთიორად ღირებულია, რადგან "მონსონმა" სტუმრად გაიმარჯვა – "ნავასს" 67:64 სძლია.

მეოთხე პერიოდის დაწყებამდე მონსონელები ორი ქულით აგებდნენ (45:47), თუმცა ბოლო ათწუთიანი მონაკვეთი 22:17 მოიგეს და მეორე გამარჯვება ჩაიწერეს. B ქვეჯგუფის წარმომადგენლებისგან განსხვავებით "მონსონს" სულ ორი მატჩი აქვს ჩატარებული და სატურნირო ცხრილის სათავეშია.

ქართველმა მსროლელმა 16 წუთი ითამაშა და 5 ქულა ჩააგდო (4-დან 2 ორქულიანი, 2-დან 1 საჯარიმო, სამქულიანი არ უსვრია). შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში კოკამ 8-დან 6 სამიანი ჩააგდო და 21 ქულა მიითვალა.

C ჯგუფის მომდევნო ტურიც 10 ოქტომბერს შედგება. "მონსონი" "ენინტერს" უმასპინძლებს.

ვაჟა სიმონიშვილი



142-ე სკოლა

# მომავალი ოლიმპიელების ზეიმი სკოლაში

თბილისის 142-ე საჯარო სკოლაში ოლიმპიელის დღისადმი მიძღვნილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება ჩატარდა დევიზით - „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ". სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად ღონისძიებას ესწრებოდნენ ოლიმპიური ჩემპიონები – რობერტ შავლაყაძე და მზია ჯუღელი, რომლებიც ნანახით აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. ეს სკოლა სპორტული ტრადიციებით ყოველთვის გამოირჩეოდა, თუმცა სხვა სფეროებშიც საზოგადოებისთვის ცნობილი არაერთი პიროვნება აღუზრდია, სპორტსმენებიდან კი ფეხბურთელ გოგიტა გოგუას დავასახელებთ.

სპორტულ ღონისძიებებში II-VI კლასების გუნდები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მძლეოსნობაში, ბაგირის გადაძალვაში, მინიფეხბურთსა, გრეხთბოლსა და სპორტის სხვა სახეობებში. ბავშვებმა სტუმრებს კულტურული პროგრამაც შესთავაზეს (გამომსვლელთა შორის საბავშვო „იბერვიზიის" მონაწილე ილია ყარმაზანაშვილი და რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებული მარიამ კაპანაძეც იყვნენ). სპორტის ცალკეულ სახეობებში ჩემპიონ-პრიზიორები გამოვლინდნენ, რომლებმაც საჩუქრად დიპლომები, სიგელები და პრიზები მიიღეს, მედალოსნები კი შავლაყაძემ დააჯილდოვა. მოზარდები საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიურ თემატიკაზე გამოცემული ლიტერატურით დაასაჩუქრა. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა მისასალმებელ სიტყვაში საკუთარი ბავშვობა გაიხსენეს, როცა ისინიც ასე პატარები იყვნენ და სპორტულ წარმატებებზე ოცნებობდნენ. თან გამოთქვეს იმედი, რომ ამ თვალებანთებულ ბავშვებში მომავალი ოლიმპიელებიც იქნებიან. „ძალიან მწყდება გული, რომ საქართველოს სახელით გამოსვლის უფლება არ გვქონდა და უცხოეთში რუსებად გვიცნობდნენ. თქვენ შორის აუცილებლად იქნებიან ოლიმპიადის, ევროპისა და მსოფლიოს პირველობების მონაწილეები. თქვენ გექნებათ ბედნიერება, საქართველოს დროშით იასპარეზოთ", - აღნიშნა ჯუღელმა.

ამ წერილის დასრულება აქვე შეიძლებოდა, ერთი გარემოება რომ არა. სკოლას, სადაც 1300 ბავშვი სწავლობს, პრაქტიკულად, არ გააჩნია სპორტული ბაზა. სკოლის დარბაზში წყალი ჩადის და რა მდგომარეობაშიც იქნება, მოგეხსენებათ, ღია მოედნები კი მინიმალურ პირობებს თუ აკმაყოფილებს. ბოლო წლებში დედაქალაქში მარტივი ტიპის ღია მოედანი მრავლად შენდება, მათ შორის - სკოლებშიც, თუმცა აქაურობა ყველას „გამორჩა", მათ შორის გლდანი-ნაძალადევის გამგეობასაც, რომელმაც შარშან ღია მოედნების კეთილმოწყობის პირობა დადო, მაგრამ არაფერი გაუკეთებია. არა გვგონია, დედაქალაქის ცენტრში რომელიმე სკოლა ასე უპატრონოდ მიეგდოთ. ვფიქრობთ, ბავშვების „ცენტრისტებად" და „პერიფერიელებად" დაყოფა ყოვლად უზნეობაა – ამხელა სკოლა ერთ ნორმალურ სპორტულ ბაზას ნამდვილად იმსახურებს.

ირაკლი თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭადრაკი

# ზავი საზიანო აღმოჩნდა

მაკედონიურ ოჰრიდში მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გამარჯვებულის გამოსავლენად მხოლოდ შვიდი ტური გაიმართება. გუშინ გუნდებმა რუბიკონი გადალახეს — მეოთხედ მიუსხდნენ 64-უჯრიან დაფებს. თბილისის „სამაიას" მეტოქე იყო რუსეთის „ეკონომისტი". მართალია, სარატოველებმა ძლიერ შემადგენლობას მოუყარეს თავი, მაგრამ არა ისეთს, რომლის ძლევაც ქართველ დიდოსტატებს არ შეეძლოთ, ამიტომ ძალიან გაგვიკვირდა, ჩვენები მალევე რომ დაუზავდნენ მეტოქეს — 2:2. თუმცა, "სპრინტერულ" დისტანციაზე გუნდური პირველობის სტრატეგიის განსჯა, ისიც შორიდან, ძნელია.. ფაქტი ის არის, რომ „სამაიამ" 4 ტურში 6 ქულა მოაგროვა და ახლა ორგზის ევროპის ჩემპიონ „მონტე კარლოსა" და „სპარტაკთან" ერთად პირველ-მესამე ადგილებს იყოფს. მეტოქეები გუნდის წევრთა მიერ მოგროვებული ქულების ჯამით გვისწრებენ.

„მონტე კარლომ" გუშინ უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა საბრძოლველად: ამ ტურნირზე ქალთა შორის უმაღლესი რეიტინგის მქონე ინდოელი **ჰამფი კონერუ** (2595), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ალექსანდრა კოსტენიუკი**, კონტინენტის პირველობების გამარჯვებულები - **პია კრამლინგი** და **ელმირა სკრიპჩენკო**, რომლებსაც სერბეთის რადნიკმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მშრალი ანგარიშით დამარცხდა. რუმინეთის პოლიტექნიკამაც ვერაფერი გააწყო ვიდნოეს „სპარტაკთან" და 1:3 დანებდა.

ვაჟებში ოთხი ტურის შემდეგ, 8-8 ქულით პირველ სამეულში არიან სარატოვის „ეკონომისტი", სკოპიეს „ალკალოიდი" და ერევნის „მიკა".





მიხეილ მჭედლიშვილი

## მეოთხე ტურის შედეგები. ქალები

| | |
|---|---|
| **სამაია (საქართველო)–ეკონომისტი (რუსეთი)** | **2:2** |
| მაია ჩიბურდანიძე-ანა მუზიჩუკი | 0,5:0,5 |
| ლელა ჯავახიშვილი-ოლგა ილიუშინა | 0,5:0,5 |
| სოფიკო ხუხაშვილი-ანა უშენინა | 0,5:0,5 |
| სალომე მელია-ელიზაბეტ პეტცი | 0,5:0,5 |
| **პოდგორიცა (ჩერნოგორია)–პოლონია (პოლონეთი)** | **2:2** |
| ჰოანგ ჰრანგი-ივეტა რაილიჩი | 0:1 |
| ვიქტორია ჩმილიტე-იოლანტა ზავადსკა | 0,5:0,5 |
| ალისა მარიჩი-კარინა ჰოროვსკა | 0,5:0,5 |
| ეკატერინა კოვალევსკაია-მონიკა კრუპა | 1:0 |
| **რადნიკი (სერბეთი)–მონტე კარლო (მონაკო)** | **0:4** |
| ირინა ჩელუშკინა-ჰამფი კონერუ | 0:1 |
| ქრისტინა ფოიშორი-ალექსანდრა კოსტენიუკი | 0:1 |
| სვეტლანა პეტრენკო-პია კრამლინგი | 0:1 |
| ანა ბენდერასი-ელმირა სკრიპჩენკო | 0:1 |
| **სპარტაკი (რუსეთი)–პოლიტექნიკა (რუმინეთი)** | **3:1** |
| ტატიანა კოსინცევა-ქეთევან არახამია | 1:0 |
| ნადეჟდა კოსინცევა-ელენა დემბო | 0,5:0,5 |
| კატერინა ლაჰნო-კორინა პეპტანი | 1:0 |
| ევგენია ოვოდი-ალინა მოტოცი | 0,5:0,5 |
| **ბას (სერბეთი)–ვანდუვ ეში (საფრანგეთი)** | **3:1** |
| ინა გაპონენკო-ანა რუდოლფი | 1:0 |
| ნატაშა ბოიკოვიჩი-ფიონა სთეილ-ანტონი | 0:1 |
| ტატიანა ვასილევიჩი-ვენკე ჰენრიხი | 1:0 |
| ანჟელიკა სტოიანოვიჩი-მარი ვეიგელი | 1:0 |

სატურნირო მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ: მონტე კარლო-6 (12), სპარტაკი-6 (11), სამაია-6 (9,5), პოდგორიცა-5 (10), ეკონომისტი-5 (8,5), პოლონია-5 (8,5), ბას-4 (8), პოლიტექნიკა-3 (7), მიკა-(5,5), რადნიკი-3 (5), ვანდუვ ეში-2 (3).

მე-5 ტურში ითამაშებენ: მონტე კარლო-სამაია, პოლონია-სპარტაკი, ეკონომისტი-პოდგორიცა, ბას-მიკა, ვანდუვ ეში-რადნიკი. ისვენებს პოლიტექნიკა.

ვაჟა დანელია

## ქარიშხალი ბოლო ტურში

მანილაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო ტური საკმაოდ ქარიშხლიანი აღმოჩნდა - 31-დან მხოლოდ შვიდ შეხვედრაში დაზავდნენ მეტოქეები. წარმატებას მიაღწიეს მთავარი პრიზის მაძიებლებმაც. განსაკუთრებით სასიამოვნო ის არის, რომ თბილისელმა დიდოსტატმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** მე-9 ტურში შავი ფიგურებით ინდოელ აბიჯით გუფთას აჯობა და 7 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მართალია, მას შემდეგ, რაც ირანელმა **ეჰსან ჩაემაჩამიმ** ჩინელ **ლი შილონგს** სძლია, მანაც 7 ქულას მოუყარა თავი, თუმცა ჩვენებურს უარესი კოეფიციენტით ჩამორჩა და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ფილიპინელმა **როგელიო ანტონიომ მერაბ გაგუნაშვილი** დაამარცხა და და 6,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ქართველი დიდოსტატი მე-13 იყო. მეოთხე-მეხუთე ადგილები 6,5-6,5 ქულით ვიეტნამელმა **სონ ნგუენმა** და სინგაპურელმა **ჟან ჟონმა** გაინაწილეს.

## აქაურთა იქაური ცხოვრება და თამაში

ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატში 10 მანდილოსანი მონაწილეობს. მათ შორის გახლავთ **რუსუდან გოლეთიანი**, რომელიც დიდი ხანია, ოკეანის გაღმა ცხოვრობს და წლეულს ჩინეთში გამართულ გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე აშშ-ის სპორტულ ღირსებას იცავდა. სამი ტურის შემდეგ რუსუდანს 1,5 ქულა აქვს (თითო მოგება, ფრე და წაგება — **ირინა კრუშთან**). უდანაკარგოდ უკრაინის ყოფილი მოქალაქე **ანა ზატონსკიხი** ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება წარმოშობით რუმინელი **საბინა ფოიშორი**. **გამილა ბაგინსკაიტესა** და **ალისა მელიოხინას** 2-2 ქულა აქვთ

ვაჟა დანელია



ნანა ძაგნიძე

# ნანცზინს ორი ხელისუფალი ჰყავს

ჩინეთში ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში კვლავ დაწინაურდა ქართველი დიდოსტატი **ნანა ძაგნიძე**. გუშინ მან 73-ე სვლაზე ეკვადორელი **მარტა ფიერო** დაამარცხა, თუმცა სატურნირო ცხრილის სათავეში მასთან ერთად მოექცა ჩინელი **სიუ იუჰუა**, რომელმაც ყატარელ **ჟუ ჩენს** სძლია. რაც შეეხება ერთპიროვნულ ლიდერ **მარი სებაგს** (საფრანგეთი), იგი **ბაირა კოვანოვას** (რუსეთი) დანებდა. **ბეთულ ილდიზმა** (თურქეთი) კი **შენ იანთან** (ჩინეთი) წააგო. დაზავდნენ **ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი)-**ჟაო სიუ**, **ცზიუ ვენცზიუნი** (ორივე — ჩინეთი)-**ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი).

ასპარეზობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 6,5-6,5 ქულით ძაგნიძე და სიუ იუჰუა ლიდერობენ.

მომდევნო ადგილებზე მოდიან: სებაგი — 6, ჟაო სიუ — 5,5, მკრტიჩიანი, მონგონთუული — 5-5, კოვანოვა, შენ იანი, ვენცზიუნი — 4,5-4,5, ჟუ ჩენი — 4, ფიერო — 2, ილდიზი — 0 ქულა.

დღეს მე-10 ტურში ითამაშებენ: მონგონთუული-ძაგნიძე, ჟაო სიუ-სებაგი, სიუ იიჰუა-კოვანოვა, შენ იანი-ჟუ ჩენი, მკრტიჩიანი-ილდიზი, ფიერო-ვენცზიუნი.

ვაჟა დანელია

რაგბი

ლეგიონერები

# ურუშაძე და ენისეი ფინალში

რუსეთის სარაგბო ჩემპიონატის სუპერლიგაში პლეი ოფის ნახევარფინალის დასკვნითი მატჩი გაიმართა. **რატი ურუშაძის** კრასნოიარსკის „ენისეიმ" თანაქალაქელთა **თემურ სოხაძის** „კრასნი იარი" მიიღო და 32:7 დაამარცხა. ნახევარფინალურ სერიაში „ენისეიმ" 2:1 მოიგო და კვირისთავზე ფინალში მონინოს ვვა-ს დაუპირისპირდება ჩემპიონის ტიტულისთვის.

ანგარიში მე-7 წუთზე რატი ურუშაძის ლელოთი გაიხსნა, რატიმ სრულად ითამაშა. სოხაძემ გუნდს ამჯერად მხოლოდ ორი ქულა შესძინა. მის ანგარიშზე ერთი გარდასახვაა.

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 2 დივიზიონში კი მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ დაუმარცხებელ ქართველ მორაგბეთა ორი გუნდია „დომონი" და „კარკუირანი".

B ჯგუფში გათამაშებას **ზურაბ მჭედლიშვილის** „დომონი" ლიდერობს, რომელმაც მესამე ტურში სტუმრად დაამარცხა „ბეონი" - 13:9. მჭედლიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ზედიზედ მესამედ დამარცხდა **ირაკლი აბუსერიძისა** და **სანდრო ჭელიძის** „ოსერი". ჩვენებურთა გუნდმა ამჯერად ვერაფერი გააწყო „მარკ ან ბაროუსთან" - 9:13. ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო. აბუსერიძე 72-ე წუთზე შეცვალეს, ჭელიძემ კი მოედანზე ორი წუთით მეტი დაყო.

სატურნირო მდგომარეობა

1. დომონი - 13 ქულა, 2. ნევერი - 13, 3. მლსჟპ - 10, 4. სტრასბური - 10, 5. პონტარლიე - 8, 6. კომპიენი - 8, 7. ლე კრუსო - 6, 8. ბოვე - 6, 9. მარკ ან ბაროუ - 5, 10. ბოუნი - 3, 11. არასი - 2, 12. ოსერი - 2.

D ჯგუფში დაუმარცხებლად ასპარეზობს **ილია ზედგინიძის** „კარკუირანი", თუმცა ამჟამად სატურნირო ცხრილის შუაშია, რადგან მეტოქეებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

„კარკუირანმა" მესამე ტურში სტუმრად დაამარცხა „სიქს ფური" - 24:14.

### სატურნირო მდგომარეობა

**1. სენ რაფაელი - 10 ქულა, 2. ნიმი - 10, 3. ლა ვულტი - 9, 4. შატონოუ - 9, 5. კარკუირანი - 8, 6. მონმელიანი - 8, 7. გრასი - 6, 8. ვალანსი - 5, 9. სენ ჟან დე როიანი - 4, 10. ვალე დუ გაპო - 1, 11. ანონაი - 1, 12. სიქს ფური - 0.**

ზედიზედ მეორე შეხვედრა წაგო E ჯგუფში მოასპარეზე **რეზო გიგაურის** „სენაკმა". ჩვენებურის გუნდი შინ დამარცხდა „კონიაკთან" - 19:23. გიგაური ძირითად შემადგენლობაში იყო და 67-ე წუთზე შეცვალეს.

### სატურნირო მდგომარეობა

**1. რიბერაკი - 12 ქულა, 2. კონიაკი - 12, 3. ბელევე - 12, 4. აენ ჟან დანჟელი - 11, 5. ანგულემი - 9, 6. სენ ჟუნიენი - 9, 7. სენაკი - 6, 8. გუერე - 5, 9. როშფორი - 4, 10. გურდო - 3, 11. პარტენაი - 1, 12. ტუარი - 1.**

F ჯგუფში ზედიზედ მეორედ მოიგო **მერაბ კვირიკაშვილისა** და **მალხაზ ურჯუკაშვილის** „ფიჟაკმა". საკუთარ მოედანზე ფიჟაკელებმა აუტსაიდერი „პეზენა" დაამარცხეს - 12:8. ორივე ქართველი ძირითად შემადგენლობაში იყო.

### სატურნირო მდგომარეობა

**1. აგდი - 10 ქულა, 2. ფკტტ - 10, 3. კერე - 9, 4. არპაიონი - 9, 5. როდეზი - 9, 6. დეკასვილი - 8, 7. ფიჟაკი - 8, 8. ტუირი - 8, 9. სენ სულპისი - 6, 10. პეზენა - 5, 11. არჟელე - 2, 12. ვილფრანში - 1.**

მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა საფრანგეთის ჩემპიონატის სათადარიგო გუნდების, ანუ ესპუარების გათამაშებაში. A ჯგუფში, სადაც ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი ასპარეზობს, სატურნირო ცხრილს სათავეში **ვასილ კაკოვინის** „ბრივი" ჩაუდგა. ბრიველებმა საშინაო მატჩში „კასტრს" სძლიეს - 23:3.

პირველი მარცხი განიცადა **გიორგი ტორაძის** „ტულუზმა". ჩვენებურის გუნდმა საკუთარ მოედანზე ვერაფერი გააწყო **დავით ლოსაბერიძისა** და **გიორგი მიქაუტაძის** „აჟენთან" - 24:32.

საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხა საკუთარ მოედანზე „ბაიონი" **ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" - 40:12.

### ესპუარები. III ტური

**ბრივი-კასტრი 23:3, ტულუზი-აჟენი 24:32, ტულონი-ბაიონი 40:12, მონპელიე-პერპინიანი 25:9, პო-კლერმონი 18:33.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბრივი - 10 ქულა, 2. მონპელიე - 10, 3. ტულონი - 9, 4. კლერმონი - 9, 5. ტულუზი - 8, 6. აჟენი - 7, 7. პო - 5, 8. პერპინიანი - 4, 9. ბაიონი - 4, 10. კასტრი - 2.**

ბესიკ ჯანგავაძე



რატი ურუშაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლელო წარმოგიდგენთ ქართული სპორტის ქრონიკები

## ლელოს დაუსწრებელი ოლიმპიური აკადემია



1964 წელი. თბილისის „ბურევესტნიკი"

## ქართული სპორტის მატიანე

# ხელბურთი

ბურთის ხელით თამაშს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, სპორტის სახეობად კი იგი XIX საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა. ხელბურთის მამამთავრად დანიელ **ჰოლგერ ნილსენს** მიიჩნევენ.

1898 წელს დანიის ქალაქ ორდრუპის გიმნაზიის მასწავლებელმა ჰოლგერ ნილსენმა შეიმუშავა ახალი წესები და ბურთის ხელით თამაში ფიზიკური აღზრდის პროგრამაში ჩართო. სპორტის ისტორიის სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ 1890 წელს გერმანელმა **კონრად კოხმა** შემოიღო ბურთის ხელით თამაში „რაფ ბოლი". იმავე ხანებში კიდევ ერთი ნაირსახეობა ხელით ბურთის თამაშისა ჩნდება ჩეხეთში სახელწოდებით „ჩესკა ჰაზენა". მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ხელბურთი, როგორც სპორტული თამაში, ჩამოყალიბდა და განვითარება დაიწყო ევროპის მრავალ ქვეყანაში და სულ მცირე დროში ოკეანის გაღმა ქვეყნებში შეაღწია. თავდაპირველად ხელბურთს მხოლოდ ქალები თამაშობდნენ, მაგრამ მოგვიანებით მათ მამაკაცებიც შეუერთდნენ და XX საუკუნის 30-40-იან წლებში ძალზე პოპულარული გახდა, განსაკუთრებით ხელბურთის მეორე ნაირსახეობა 11:11-ზე (თავდაპირველად 7:7-ზე თამაშობდნენ) და იგი 1936 წელს ბერლინის XI ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჩართეს. ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატები 1938 წლიდან იმართება.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია 1928 წელს დაარსდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წლებში იგი დაიშალა და მხოლოდ 1946 წლის ივლისში განაახლა საქმიანობა, როდესაც კოპენჰაგენში შეიკრიბა ახალი საორგანიზაციო კონგრესი. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ხელბურთის ინტენსიური განვითარება. 1957 წლიდან ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატები ქალთა შორის, 1972 წელს, 36 წლის შემდეგ, ხელბურთი — ამჯერად უკვე 7:7-ზე — კვლავ შედის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ჯერ კაცებისთვის, 1976 წლიდან კი ქალებისთვის. 1994 წლიდან იწყება ევროპის ჩემპიონატი როგორც ქალთა, ისე კაცთა შორის.

საქართველოში ხელბურთს მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან თამაშობენ. იგი ჩვენთან უკრაინიდან შემოვიდა. 1928 წლის სსრკ ხალხთა პირველი სპარტაკიადის მონაწილე ამიერკავკასიის ფედერაციის ნაკრები თითქმის მთლიანად ქართველი ხელბურთელებისგან შედგებოდა. 50-იანი წლებიდან დაიწყო ხელბურთის განვითარების ახალი ეტაპი. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით **გიორგი შარაშიძეს, თამაზ ანთაძეს** და **ვლადიმერ არაქელოვს.** 1956 წლიდან თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობაში (11:11) ჩაება, 1962 წელს კი გაიმარჯვა სსრკ პირველ ჩემპიონატში (7:7). XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს ხელბურთელები სსრკ ნაკრების შემადგენლობაში რეგულარულად მონაწილეობდნენ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ოლიმპიური თამაშებისა (1976 წელს) და მსოფლიოს (1982) ჩემპიონი გახდა **ალექსანდრე ანპილოგოვი.** 2006 წელს, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, მსოფლიო უნივერსიადაზე ჩვენმა ხელბურთელთა ნაკრებმა დაიკავა მეორე ადგილი.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელბურთის ასოციაცია დაფუძნდა 1990 წლის 5 ივლისს. 1991 წლიდან ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ხელბურთის ფედერაციის დროებითი, 1992 წლის აგვისტოდან კი მუდმივი წევრია.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტია **ზაზა დოლიძე** (2008 წლიდან).

### საქართველოს ხელბურთელებმა მედლები მოიპოვეს:

**ოლიმპიადაზე**

1. ალექსანდრე ანპილოგოვმა — 1976 წელს მონრეალში ოქროს მედალი, 1980 წელს მოსკოვში — ვერცხლი.

1 ოქრო, 1 ვერცხლი

**მსოფლიოს ჩემპიონატებზე**

**ოქროს მედალი**

1. ალექსანდრე ანპილოგოვმა – 1982

**ვერცხლის მედალი**

1. ალექსანდრე ანპილოგოვმა - 1978

**მსოფლიოს ჩემპიონი – 1, ოქროს მედალი — 1. ვერცხლის მედალოსანი – 1, ვერცხლის მედალი – 1. სულ: 2 მედალი (1 ოქრო, 1 ვერცხლი).**

*დასაწყისი: ლელო №52 (12731).*

*გაგრძელება იქნება*

**გურამ ძაგანია, პროფესორი**

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** სსრ კავშირის ჩემპიონები ფარიკაობაში იყვნენ **გიგა ერისთავი** და **ალექსანდრე ბარნოვი.** ეს ტიტული მათ გუნდურ ჩათვლაში მოიპოვეს 1948 წელს.

**პირველად** საქართველოს მოფარიკავეები საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში 1944 წლიდან ჩაებნენ.

**პირველმა** ქართველი მოფარიკავეებიდან ოლიმპიური თამაშების და მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვა **ნუგზარ ასათიანმა.** მსოფლიო პირველობა მასვე ორჯერ აქვს მოგებული, ერთხელ კი ბრინჯაოს პრიზიორი იყო. მანამდე არც ეს ჯილდოები რგებია ვინმეს.

## შეხვედრა წარსულთან...

# ბურთაობა ძველ იმერეთში

*გაგრძელება*

**ნიკო ნიკოლაძე** ხონის გიორგობასთან დაკავშირებით იგონებს: „23 აპრილს დიდ ღვთაებას არათუ თავადაზნაურობა ესწრებოდა თავისი უთვალავი მხლებლებით, გლეხ-კაცობაც ცოდვად თვლიდა გამოკლებოდა მას... ყველაზე უფრო წარმოუდგენელი ხალისით მთელი ხალხი ბურთით თამაშში იღებდა მონაწილეობას, ბურთი ყოველთვის მღვდელს, ხანდახან არქიელსაც გამოჰქონდა მინდორზე, მოოქროვილი ვერცხლის სინზე".

გიორგობის დღესასწაული იმერეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში იმართებოდა. ამასთან დაკავშირებით 1897 წელს გაზეთი „ივერია" წერდა: „სოფ. ოფშკვითი (ქუთაისის მაზრა) 23 აპრილს „გიორგობა" ვიუქმეთ და ულვინობის გამო ყველა ჭკვიანად ვთამაშობდით და გემრიელად ვაგორებდით ბურთს ჩვენი საყდრის გალავანთან. მღვდელმა ეს ბურთი დიდი ამბით გამოიტანა საყდრიდან. წინ ბაირალი მიუძღვის და მთელი ხალხი მას მისდევს უკან, დიდად მხიარული, ბურთი ლელოში მხოლოდ ერთხელ გავიდა".

საინტერესოა, ერთი საკითხის გარკვევაც — რატომ დაუკავშირეს მაინცდამაინც წმიდა გიორგის დღესასწაულს ჩვენმა წინაპრებმა დიდი სპორტული თუ თეატრალიზებული სანახაობანი.

საფიქრებელია, რომ ეს კავშირი არ ყოფილა შემთხვევითი, - საისტორიო წყაროებით თუ ხალხური თქმულებებით, წმინდა გიორგი ხომ ძლიერების, ვაჟკაცობისა და ბედნიერების სიმბოლოდ იყო აღიარებული. ქართველმა ხალხმაც მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში თავის სიმბოლოდ წმიდა გიორგი წარმოაჩინა და ეროვნული ხალხური სპორტული თამაშობები თავისი მრავალფეროვანი ნაირსახეობით — ვაჟკაცობის, ძლიერების, სიმარდისა და სიჩაუქის ზეიმი — წმინდანის სახელს დაუკავშირა.

სოფელ კულაშში (დღეს სამტრედიის რაიონი) ბურთაობა ხშირად იმართებოდა. 1882 წელს გაზეთ „დროების" ცნობით: „ქვემო იმერეთში ახალკვირაობა ყველაზე უფრო განთქმული იყო და ვითომ ახლაც არის, სოფ. კულაშს — ერთ დროს საუკეთესო თავადი მიქელაძეების საცხოვრებელში გამართული ბურთაობა ნამეტურ გამოჩენილი იყო. მახსოვს, სულ ცოტა რამ ვთქვა, 1500 ქვეითი და 50 ცხენოსანი იღებდა მონაწილეობას ხელჩართულ თამაშში, მჭვრეტელნი, რასაკვირველია, ათი ამდენი იქნებოდა.

ეს იყო ნამდვილი დღესასწაული წმინდათა შორის გათანასწორებისა. მარდი გლეხი ამ თამაშში თავადობდა ძაბუნს თავადიშვილზე. აზნაური, თუკი მღვდელს ბურთს წაართმევდა, მისი შენდობა აღარ სჭირდებოდა".

ირკვევა, რომ საეკლესიო რელიგიური დღესასწაულების მშვენებას სპორტული და თეატრალიზებული ღონისძიებები წარმოადგენდა. შუა საუკუნეებში ეკლესია ალმაცერად უყურებდა მრევლის სპორტულ ცხოვრებას. გვიანდელ საუკუნეებში წმინდა მამების დამოკიდებულება აღნიშნული საკითხებისადმი რადიკალურად შეიცვალა. საუკუნეების განმავლობაში გარეშე მტრების გაუთავებელმა შემოსევებმა და ქვეყნის შიგნით აშლილობამ ღვთის მსახურნი დაარწმუნა, რომ სამშობლოს დაცვა მხოლოდ ფიზიკურად და სულიერად ძლიერ ადამიანებს შეეძლოთ. ამიტომ იყო, რომ გვიანდელ საუკუნეებში თვითონ ეკლესია გვევლინება რელიგიური დღესასწაულების, სპორტული და თეატრალიზებული დადგმების თაოსნად. უფრო მეტიც, ეკლესია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიური რიტუალებისადმი მიძღვნილი ზეიმების ესთეტიკურ მხარეს.

**ზურაბ ჯავახაძე**

*გაგრძელება იქნება*

## თქვენთვის ერუდიტებო. ვიქტორინა

**1. დაასახელეთ ქართველი მწვრთნელი, რომელიც ერთადერთი იყო 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადაზე სსრ კავშირის ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელ ბიუროში საქართველოდან.**

ა – ანდრო ჟორდანია (ფეხბურთი)

ბ – ვახტანგ კუხიანიძე (ჭიდაობა)

გ – მიხეილ თიკანაძე (ჭიდაობა)

**2. 1954 წელს თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენთვის პირველ მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის 8 წევრიდან ნაკრებ გუნდში რამდენი ქართველი ფალავანი შედიოდა?**

ა – 3

ბ – 5

გ – 7

**3. ქართველი მოჭიდავეები 1952-1992 წლებში გამართული ოლიმპიური თამაშებიდან მხოლოდ ერთხელ დაბრუნდნენ ოქროს მედლების გარეშე. რომელ წელს?**

ა – 1964 წელს

ბ – 1972 წელს

გ – 1986 წელს

**4. რომელ ცნობილ ქართველ სპორტსმენს აქვს მოწყობილი საკუთარ ბინაში სპორტის მუზეუმი?**

ა – რობერტ შავლაყაძეს

ბ – გივი ყვარელაშვილს

გ – მზია ჯუღელს

**5. დაასახელეთ, ვინ იყო თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის ბოლო ჩემპიონატის ბოლო ჩემპიონი საქართველოდან?**

ა – ლერი ხაბელოვი

ბ – დავით გობეჯიშვილი

გ – ზაზა თურმანიძე

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

## ფოტომატიანე



1953 წელი. საბჭოთა კავშირის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში.
მარცხნიდან: არსენ მეკოკიშვილი (პირველი), ვახტანგ ბალავაძე (მეოთხე), ნიკოლოზ მუზაშვილი (მეექვსე), ვალიკო გიგიაძე (მეშვიდე)

## ვინ რა თქვა...

**ეროვნული** ჭიდაობა ქართველი ხალხისთვის მხოლოდ ფალავანთა თავშესაქცევი როდი იყო: ჭიდაობა ფიზიკური ვარჯიშის სტიქიური, ნამდვილად ხალხური და ამიტომ მასობრივი სახეობაც გახლდათ, რომელიც ადამიანებს შრომისა და მხედრული საქმისთვის წვრთნიდა. საომარი შეტაკებები იმ შორეულ წარსულში, როგორც წესი, ხელჩართულ ბრძოლასაც მოიცავდა. სიმარჯვე და ტექნიკური ჩვევები, ისევე, როგორც ღონე, გამძლეობა, ნებისყოფა და გამბედაობა, ასეთ შერკინებებში გადამწყვეტი იყო.

იან დიმოვი,
მწერალი და ჟურნალისტი

## თარიღი 8-14-7 ოქტომბერი

**9 ოქტომბერი 1965 წ.** დაიბადა სოსო ჭედია. ფეხბურთი.

**9 ოქტომბერი. 1957 წ.** დაიბადა ვიტალი დარასელია. ფეხბურთი. დაიღუპა 1982 წელს.

**10 ოქტომბერი. 1964 წ.** ტოკიოში გაიხსნა ზაფხულის XVIII ოლიმპიური თამაშები.

**11 ოქტომბერი. 1976 წ.** თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა მე-1000 მატჩი (ქ. ჩიტა).

**12 ოქტომბერი. 1968 წ.** მეხიკოში გაიხსნა ზაფხულის XIX ოლიმპიური თამაშები.

## კალენდარი




**8 ოქტომბერი. ფარიკაობა.** მსოფლიო ჩემპიონატი. თურქეთი. დიდები.

**8 ოქტომბერი. თავისუფალი ჭიდაობა.** გ. გოგიჩაიშვილის სახელობის ტურნირი. ბათუმი. ჭაბუკი.

**9 ოქტომბერი. ველოსპორტი** (გზატკეცილი) საერთაშორისო მრავალდღიანი რბოლა. ირანი. დიდები.

**9-11 ოქტომბერი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.** მ. სალაძის სახელობის ტურნირი. თბილისი. ჭაბუკები.

**9-12 ოქტომბერი. ტაეკვონდო.** მსოფლიო ჩემპიონატი. დანია. დიდები.

**10 ოქტომბრიდან. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს თასი. თბილისი. დიდები.

**10 ოქტომბერი. სპორტული ცეკვები.** ევროპის ჩემპიონატი 10 ცეკვაში. გერმანია. ყველა ასაკი.

**10 ოქტომბერი. ფეხბურთი.** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ჩერნოგორია-საქართველო. ჩერნოგორია. დიდები.

**10 ოქტომბრიდან, ძალოსნობა.** ევროპის პირველობა. პოლონეთი. 23-წლამდელები.

**10-11 ოქტომბერი. ძიუდო.** მსოფლიოს თასი. აზერბაიჯანი. დიდები.

**11-13 ოქტომბერი. სოფტბოლი.** საქართველოს პირველობა. თბილისი. ჭაბუკები, ახალგაზრდები.

**13 ოქტომბრიდან. ნიჩბოსნობა** (ბაიდარა და კანოე). თბილისის ღია პირველობა. სამივე ასაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი



# საფინას ანტირეკორდი

## შარაპოვა პეკინს გამოეთხოვა

საინტერესო ფაქტი აღმოაჩინა ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (WTA). როგორც იცით, პეკინის ტურნირის მეორე წრეში რუსმა **დინარა საფინამ** მსოფლიოს 226-ე ჩოგანთან, ჩინელ **შუაი ჟანგთან** წააგო. ეს გახლავთ ყველა დროის ანტირეკორდი მსოფლიო რეიტინგის ლიდერებისთვის. აქამდე არც ერთ პირველ ჩოგანს არ წაუგია რანგით ასეთ დაბალ მოწინააღმდეგესთან.

წინა „რეკორდი“ სერბ **ანა ივანოვიჩს** ეკუთვნოდა, რომელმაც 2008 წლის ამერიკის ღია პირველობაზე პირველი ჩოგნის რანგში მსოფლიოს 188-ე ნომერთან, ფრანგ **ჟული კუანთან** წააგო.

აქვე გთავაზობთ ცხრილს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლებოდნენ WTA-ის პირველი ნომრები მას შემდეგ, რაც კლასიფიკაციის უმაღლეს საფეხურზე **სერენა უილიამსი** ავიდა:

| | |
|---|---|
| სერენა უილიამსი (აშშ) | 57 კვირა (8.7.02-10.8.03) |
| კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 10 (11.8.03-19.10.03) |
| ჟუსტინ ანენი (ბელგია) | 1 (20.10.03-26.10.03) |
| კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2 (27.10.03-9.11.03) |
| ჟუსტინ ანენი (ბელგია) | 44 (10.11.03-12.9.04) |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 5 (13.9.04-17.10.04) |
| ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 44 (18.10.04-21.8.05) |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1 (22.8.05-28.8.05) |
| ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 2 (29.8.05-11.9.05) |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 6 (12.9.05-23.10.05) |
| ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 14 (24.10.05-29.1.06) |
| კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 7 (30.1.06-19.3.06) |
| ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 34 (20.3.06-12.11.06) |
| ჟუსტინ ანენი (ბელგია) | 11 (13.11.06-28.1.07) |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 7 (29.1.07-18.3.07) |
| ჟუსტინ ანენი (ბელგია) | 61 (19.3.07-18.5.08) |
| მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3 (19.5.08-8.6.08) |
| ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 9 (9.6.08-10.8.08) |
| ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1 (11.8.08-17.8.08) |
| ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3 (18.8.08-7.9.08) |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 4 (8.9.08-5.10.08) |
| ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 17 (6.10.08-1.2.09) |
| სერენა უილიამსი (აშშ) | 11 (2.2.09-19.4.09) |
| დინარა საფინა (რუსეთი) | 25 (20.4.09-11.10.09) |
| სერენა უილიამსი (აშშ) | ? (12.10.09-?) |

■ ■ ■

რაც შეეხება ქალებს შორის წყვილთა რეიტინგს, აქ ულაპარაკო ლიდერი ამერიკელი **ლიზელ ჰუბერია**. ეს კვირა მისთვის ზედიზედ მეასეა მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა WTA-ის შესაბამის კლასიფიკაციას. ლიზელი 2007 წლის 12 ნოემბერიდან **კარა ბლეკთან** დუეტში თამაშობს.

ასე რომ, ჰუბერი გახდა მეექვსე ჩოგბურთელი ისტორიაში, ვინც რეიტინგის უმაღლეს საფეხურზე ასი (ამ მეტი) კვირა გაძლო. მის გარდა ანალოგიური შედეგი ჰქონდათ **მარტინა ნავრატილოვას** (237 კვირა), **ნატაშა ზვერევას** (124), **ლიზა რეიმონდსა** (117) და **არანჩა სანჩეს-ვიკარიოს** (111).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჰუბერის გარდა, მხოლოდ ნავრატილოვამ შეძლო წყვილთა რეიტინგში ზედიზედ ასი კვირა ლიდერობა. ლეგენდარული ამერიკელის რეკორდი 181 კვირას უტოლდება.

■ ■ ■

რუსმა **მარია შარაპოვამ** ვერ შეძლო ზედიზედ მეორე ტურნირის მოგება. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მოულოდნელად იოლად დათმო მერვედფინალში ჩინელ **შუაი პენგთან**. შეხვედრა საათსა და 14 წუთს გაგრძელდა და პენგმა ორ სეტში - 6:2, 6:4 გაიმარჯვა.

შარაპოვამ გასულ კვირას ტოკიოს ტურნირი მოიგო, როცა ფინალში სერბი **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ პენგმა ორი დღის წინ სწორედ იანკოვიჩი გამოთიშა ბრძოლას, ახლა კი მის გზას რუსი ჩოგბურთელიც გაუყენა.

შარაპოვამ მეორე სეტის ბოლომდე ვერ შეძლო მეტოქის გეიმის აღება. ეს მხოლოდ მაშინ მოახერხა, როცა მასპინძელი ჩოგბურთელი 5:3-ზე მატჩზე აწვდიდა. თუმცა ეს მარიას დროებითი წარმატება იყო. პენგმა იქვე დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი და შეწყვიტა რუსის შვიდმატჩიანი მოგებათა სერია.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# პირველი სენსაცია, ჩხუბი და...

„კოლორადოს“ წარმატებული სტარტი, **ტავარესის** დებიუტი და **ბროდოს** ახალი მიღწევა - ასეთი იყო ჰოკეის ეროვნული ლიგის პირველი კვირის მთავარი მოვლენები.

საუკეთესო გუნდის ნომინაციაში პირველობა „კოლორადოს“ ეკუთვნის. შარშანდელ სეზონში ჩავარდნის შემდეგ, გუნდმა პენსიაზე გაუშვა **ჯო საკიკი** და კიდევ ერთხელ გამოიცვალა მწვრთნელი. ამ ფონზე „ეველანშისგან“ კარგ სტარტს არავინ ელოდა, მით უმეტეს, რომ პირველ ორ მატჩში მას მეტოქეებად დასავლეთის ფავორიტები - „სან ხოსე“ და „ვანკუვერი“ ჰყავდა. მაგრამ დენვერელებმა პატარა სასწაული ჩაიდინეს და რეგულარული ორი გამარჯვებით დაიწყეს. ამ მოგებების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი „ფლორიდადან“ შეძენილი მეკარე **კრეიგ ანდერსონი** გახდა, რომელმაც სულ ორი შაიბა გაუშვა და ბევრჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი. მოულოდნელად შედეგიანად ათამაშდა **ვოიტეკ ვოლსკი** (3+1), მალე მონახა თავისი ადგილი გუნდში მცველმა **კაილ ქუინსიმ**, ძველი ფორმა აღიდგინა **პოლ შჩასტნიმ** (1+3), რომელმაც შარშან ნახევარი სეზონი გამოტოვა.

გარდა ამისა, NHL-ში პირველი ქულები დააგროვეს თინეიჯერებმა - **მეტ დუშენმა** და **რაიან ო'რაილიმ**. „კოლორადოს“ ახალი დამრიგებელი **ჯო საკო**, სხვა მწვრთნელებისგან განსხვავებით, არ ერიდება ბრძოლაში ახალბედების შეშვებას და მათ 10-12 წუთ სათამაშო დროს აძლევს, თუმცა სხვა არჩევანი არც გააჩნია. მოკლედ, „კოლორადოს“ 2001-02 წლების სეზონის შემდეგ ასეთი წარმატებული სტარტი არ ჰქონია.

### კვირის მოთამაშე

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ ოფიციალურად კვირის საუკეთესო მოთამაშედ „ვაშინგტონის“ ლიდერი **ალექსანდრ ოვეჩკინი** დაასახელა, მაგრამ ბევრი მიმომხილველი რუს ფორვარდს „კოლორადოს“ მეკარე **კრეიგ ანდერსონს** ამჯობინებს. ამ გოლკიპერმა 29 წლის ასაკში მიიღო მიიღო შანსი გამხდარიყო NHL-ის კლუბის ძირითადი მეკარე და როგორც ჩანს, კრეიგი ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებს. სეზონის გახსნის მატჩში მან 40 დარტყმა მოიგერია „სან ხოსესგან“ (5:2), ორი დღის მერე კი „მშრალად“ შეინახა კარი „ვანკუვერთან“ შეხვედრაში (3:0).

*„ანდერსონს კარგად ვიცნობ. ადრე მის ნიჭს არ აფასებდნენ. კრეიგისთვის გოლის გატანა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ მას დარტყმის მომენტს არ დაანახვებ“*, - განაცხადა „ვანკუვერის“ სახელოვანმა მეკარე **რობერტო ლუონგომ**, რომელიც ჯერჯერობით ვერ აჩვენებს თავის საფირმო თამაშს.

### კვირის დებიუტი

2009 წლის დრაფტზე აყვანილი 30 იუნიორიდან მხოლოდ ხუთ ჰოკეისტს მიეცა NHL-ში დებიუტის საშუალება.

ამათგან, რა თქმა უნდა, ყველაზე პროდუქტიული დრაფტის პირველი ნომერი **ჯონ ტავარესი** იყო. „აილენდერსის“ ახალწვეულმა გოლიც გაიტანა და შედეგიანი პასიც შეასრულა. ტავარესს შეეძლო „პიტსბურგთან“ მატჩის (3:4) გმირი გამხდარიყო, მაგრამ მეორე პერიოდის შუაში **მარკ-ანდრე ფლერის** მოტყუება ვერ მოახერხა. მართალია, „კუნძულელებმა“ ვერ შეძლეს სტენლის თასის მფლობელის დამარცხება, მაგრამ „პინგვინებს“ ბევრი თავსატეხი მაინც გაუჩინეს.

### კვირის ჩხუბი

ჩემპიონატში პირველი ჩხუბის ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებიათ. „ტორონტოსა“ და „მონრეალის“ მატჩში **კოლტონ ორი** და **ჟორჟ ლარაკი** უკვე მეორე წუთზე ჩაებნენ ხელჩართულ ბრძოლაში. „ტაფგაები“ 15 წამის განმავლობაში უშენდნენ ერთმანეთს მუშტებს, შემდეგ კი ლარაკმა ძიუდოს ილეთით ყინულზე დააგდო მოწინააღმდეგე. ასე რომ, „კანადიენსი“ არც ისე დაუცველი ჩანს ამ სეზონში, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა.



ლარაკისა და ორის ჩხუბი

### კვირის რიცხვი

„ნიუ ჯერსი დევილზის“ მეკარე **მარტინ ბროდო** აგრძელებს ლეგენდარულ **პატრიკ რუას** რეკორდებზე ნადირობას. „ფილადელფიასთან“ მატჩი (2:5) მეათასე იყო მისთვის ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. თუ ბროდო ტრავმებს აიცილებს თავიდან, უკვე სეზონის შუაში შეძლებს რუას მიღწევის (1029 მატჩი) გაუმჯობესებას. მაგრამ როგორც ჩანს, მოსალოდნელ რეკორდზე ფიქრმა ვეტერანს თავგზა აუბნია; რადგან „ფილადელფიას“ ხუთივე გოლისას გამოცდილ მეკარეს თავისი გუნდის გადარჩენა შეეძლო.

**ტორონტო-ოტავა 1:2**

0:0, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 შ. დონოვანი-1 (ი. რუუტუ-1, კელი-1), 0:2 ალფრედსონი-2 (ბულიტი), 1:2 სტაიანი-3 (ტ. კაბერლე-3, ბოშემენი-2).

**ფილადელფია-ვაშინგტონი 6:5 (ო)**

0:0, 4:3, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 მ. რიჩარდსი-3 (მ. კარლი-2, პრონგერი-3), 1:1 ოვეჩკინი-4 (ბრედლი-1, ბექსტრიომი-6), 2:1 კ. ტიმონენი-1 (მ. კარლი-3, საიმონ განიე-2), 2:2 ოვეჩკინი-5 (ბექსტრიომი-7), 2:3 სიომინი-3 (მ. გრინი-2, შ. მორისონი-1), 3:3 მ. რიჩარდსი-4 (მ. კარლი-4), 4:3 მ. რიჩარდსი-5 (მ. კარლი-5), 4:4 სიომინი-4 (ბექსტრიომი-8, ოვეჩკინი-4), 4:5 ბ. მორისონი-2 (ბრედლი-2, ლეიჩი-3), 5:5 ჰარტნელი-1 (ქობურნი-1, კ. ტიმონენი-2), 6:5 ბრიერი-1 (კ. ტიმონენი-3, ჯ. კარტერი-1).

**კაროლინა-ტამპა ბეი 2:1 (ბ)**

1:0, 0:1, 0:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ი. იოკინენი-1 (პიტკანენი-1, კ. უორდი-1), 1:1 მელოუნი-1 (სტემკოსი-2, სენტ ლუისი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** სამსონოვი (კაროლინა), ტ. რუუტუ (კაროლინა).

**კალგარი-მონრეალი 4:3**

1:2, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ნისტრიომი-1 (სიოსტრიომი-2, ს. კრონვალი-1), 1:1 გომესი-1 (კამალერი-3), 1:2 ლატენდრესი-1 (ლაპიერი-1, მარა-2), 2:2 ნისტრიომი-2 (პარდი-1), 3:2 იგინლა-1 (ო. იოკინენი-2, ფანოფი-1), 3:3 პლეკანეცი-1 (მარა-3, მოენი-1), 4:3 ს. კრონვალი-1 (პარდი-2).

**მინესოტა-ანაჰაიმი 4:3 (ო)**

0:0, 0:3, 3:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ლუპული-1 (რაიან უიტნი-1, ვიშნიევსკი-1), 0:2 არტიუხინი-1 (პერი-1, გეტცლაფი-2), 0:3 ს. კოივუ-1 (ვიშნიევსკი-2, რაიან უიტნი-2), 1:3 მ. კოივუ-1 (ჰავლატი-2, ბრუნეტი-1), 2:3 სიკორა-1 (ჰავლატი-3, ბელანჟე-1), 3:3 ბელანჟე-1 (ჰავლატი-4, ბერნსი-1), 4:3 ბრუნეტი-2 (ბელანჟე-2, კ. იონსონი-1),

**ედმონტონი-დალასი 5:4 (ბ)**

1:1, 2:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 კომრი-1 (კოლიანო-1, შმიდი-1), 1:1 მოროუ-1 (დელეი-1, ბენი-1), 1:2 ნილი-3 (ტურკო-1), 2:2 სემ განიე-2 (გრებეშკოვი-1, კოლიანო-2), 2:3 რობიდასი-1 (ბ. რიჩარდსი-2, მოროუ-1), 3:3 პენერი-2 (რ. ნილსონი-1), 3:4 მოროუ-2 (რიბეირო-1, ნისკანენი-1), 4:4 გრებეშკოვი-1 (ჰემსკი-1, გილბერტი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰემსკი (ედმონტონი).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 4:3**

1:0, 3:2, 0:1

**გოლები:** 1:0 სიმონდსი-1 (ჰანძუში-1, ფროლოვი-1), 2:0 რ. სმიტი-1 (დ. ბრაუნი-2, კოპიტარი-2), 3:0 ჯ. ჯონსონი-1 (ჰანძუში-2, ჰაროლდი-1), 4:0 კოპიტარი-2 (დაუტი-2, დრევისკი-1), 4:1 სეტოგუჩი-2 (ჯ. ტორნტონი-2, რ. ბლეიკი-1), 4:2 რ. ბლეიკი-1 (ჯ. ტორნტონი-3, ჰიტლი-3), 4:3 სეტოგუჩი-3 (ჰიტლი-4, დემერსი-2).

ოლიმპიზმი

# რიო შეურაცხყოფილია



რიო დე ჟანეიროს მთავრობის წევრები აღშფოთებას ვერ მალავენ ტოკიოს გუბერნატორის **სინტარო ისიჰარას** ბოლოდროინდელი გამონათქვამების გამო. შეგახსენებთ, რომ კოპენჰაგენში გამართული არჩევნების შემდეგ, იაპონელმა პოლიტიკოსმა ბრაზილიის დელეგაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრების მოსყიდვაში დაადანაშაულა. კერძოდ, გუბერნატორმა ეჭვი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ბრაზილიამ საფრანგეთისა და ზოგიერთი აფრიკული ქვეყნის ხმების სანაცვლოდ ფრანგული თვითმფრინავების შეძენაზე კონტრაქტს მოაწერა ხელს.

*„ეს განცხადებები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ დადგენილ წესებს ეწინააღმდეგება. რიო-დე-ჟანეირო 2016 წლის ოლიმპიადის მასპინძლად ხმების უმრავლესობით აირჩიეს. რიოს ტექნიკური პროექტები სოკ-ის სპეციალური კომისიის მიერ იქნა დამტკიცებული, ხოლო ელექტორატმა ბრაზილიის განაცხადში ოლიმპიური მოძრაობის ნათელი მომავლის კონტურები შეამჩნია“*, - წერია ბრაზილიური მხარის ოფიციალურ განცხადებაში.

■ ■ ■

ამასობაში, 2016 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად რიოჟე-ჟანეიროს არჩევამ და კენჭისყრაში ჩიკაგოს დამარცხებამ, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა იქონიოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბიუჯეტზე. როგორც ვარაუდობენ, ამერიკული ტელეკომპანიები შეამცირებენ თანხების რაოდენობას ტრანსლაციების უფლებების შესაძენად, არადა, სოკ-ის ბიუჯეტის ნახევარზე მეტი სწორედ ამ უფლებების გაყიდვით ივსება.

ამერიკამ 2016 წლის ოლიმპიადის ტრანსლაციებზე უფლებების შეძენა 2012 წლისთვის გადადო, სანამ ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია არ გამოსწორდება. როგორც ოლიმპიური კომიტეტის ფინანსური დირექტორი **რიჩარდ კარიონი** აცხადებს, არჩევნებში ჩიკაგოს გამარჯვება ორგანიზაციას დამატებით შემოსავალს მოუტანდა.

ამერიკის ტერიტორიაზე ბრაზილიური ოლიმპიადის ტრანსლირების უფლებაზე ტელეკომპანიები - NBC, ABC-ESPN და FOX იბრძოლებენ. NBC-მ უკვე გადაუხადა ოლიმპიურ კომიტეტს 2.2 მილიარდი დოლარი ვანკუვერის 2010 წლისა და ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადების ტრანსლირებისთვის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ლონდონმა დიდი კალათბურთი ნახა





ჯონსონის გამარჯვების ტყორცნა

ლამაზი სანახაობა შესთავაზეს ლონდონურ პუბლიკას „ჩიკაგო ბულზმა“ და „იუტა ჯაზმა“. ამ გუნდების საწვრთნელ შეხვედრაში ყველაფერი ბოლო წამზე გადაწყდა. „ხარების“ ახალბედა კალათბურთელმა **ჯეიმს ჯონსონმა** საფინალო სირენასთან ერთად ჩააგდო ბურთი და თავის გუნდს ერთი ქულით - 102:101 გაამარჯვებინა.

ამ საინტერესო თამაშს 19 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს. ადგილობრივი გულშემატკივრების ყურადღება ბრიტანელი **ლუოლ დენგისკენ** იყო მიპყრობილი. „ბულზის“ ფორვარდმა 18 ქულა დააგროვა, თუმცა მატჩის გმირი სულ სხვა კალათბურთელი გახდა.

„ჩიკაგო“ თითქმის მთელი მატჩი წინ იყო. მესამე მეოთხედში ევროპიდან NBA-ში დაბრუნებულმა **ჯანერო პარგომ** სამქულიანით ყველაზე დიდი სხვაობით - ცხრა ქულით დააწინაურა „ბულზი“, მაგრამ „იუტამ“ ბოლო მეოთხედში ხელთ იგდო ინიციატივა და ახლა უკვე „ხარები“ აღმოჩნდნენ მდევრის როლში. სწორედ ამ დროს აიღო თავის თავზე თამაში ჯონსონმა. მან ჯერ შესანიშნავი გარღვევით გაათანაბრა ანგარიში, ბოლოს კი თანაგუნდელი **დერიკ ბიერსის** აცილებული სამქულიანის შემდეგ მოხსნაზე იყოჩაღა და ბოლო წამზე გამარჯვების მომტანი ორქულიანი ჩააგდო.

დენგის მსგავსად ჯონსონმაც 18 ქულა დააგროვა, პარგომ კი 16 ქულის მოპოვება შეძლო. „იუტას“ რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ **პოლ მილსეპი** (18), **დერონ უილიამსი** და **უესლი მეტიუზი** (16-16 ქულა).

# კობი არსად წავა

თუ ამერიკულ პრესას დავუჯერებთ, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი **კობი ბრაიანტი** სულ მალე გააფორმებს ახალ კონტრაქტს თავის ამჟამინდელ კლუბ „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან“. ამის შესახებ კალიფორნიულ გუნდთან დაახლოებული ინკოგნიტო წყარო იტყობინება.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, კობი 2011 წლის ზაფხულამდე „ლეიკერსის“ საკუთრებაა. სავარაუდოდ, თვის ბოლოს ეს ხელშეკრულება კიდევ სამი წლით გაგრძელდება. ამ კონტრაქტის გაფორმების სანაცვლოდ, კობი დაახლოებით 90 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. თანხა ოდენობა მას შემდეგ დაზუსტდება, რაც ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია სახელფასო ბიუჯეტის ახალ ლიმიტს დააწესებს.

„ლეიკერსის“ მცველი შვებულების შემდეგ ჟურნალისტებს შეხვდა და განუცხადა მათ, რომ არდადეგების შემდეგ თავს შესანიშნავად გრძნობს.

*„ძალიან კარგად დავისვენე. ასეთი ჯანმრთელი და ძლიერი კარგა ხანია არ ვყოფილვარ. ახლა მხოლოდ ახალი სეზონის დაწყებას ველი. თამაში მომენატრა“,* - აცხადებს კობი.

# აივერსონი ტრავმირებულია





„მემფის გრიზლის“ ახალწვეულმა **ალენ აივერსონმა** ფეხის ტრავმა მიიღო და ამის გამო რამდენიმე საწვრთნელი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. 34 წლის კალათბურთელი, რომელმაც „გრიზლისთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, დღეს გაივლის სამედიცინო შემოწმებას, რის შემდეგაც გაირკვევა ვეტერანის მოედანზე დაბრუნების ზუსტი თარიღი, - წერს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი.

„მემფისის“ მთავარი მწვრთნელი **ლიონელ ჰოლინზი** აცხადებს, რომ აივერსონის ტრავმის ხარისხი შეშფოთების საფუძველს არ იძლევა: *„მოვლენები არ უნდა დავაჩქაროთ. აივერსონი დაახლოებით ერთი კვირით გამოგვაკლდა, ასე რომ, საშიში არაფერი მომხდარა“.*

# სნაიპერი დანკანი

უცნაური ამბავი მოხდა „სან ანტონიო სპურსის“ ერთ-ერთ ვარჯიშზე. მორიგი წვრთნის დასრულების შემდეგ კალათბურთელებმა სამქულიანების კონკურსი მოაწყვეს. გამარჯვებული დაახლოებით იმ პრინციპით გამოვლინდა, რომელიც „ყველა ვარსკვლავის უქმეებზე“ არსებობს. „სპურსის“ მოთამაშეებს 45 წამში 12 სროლა უნდა შეესრულებინათ. უცნაურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ კონკურსი „სან ანტონიოს“ ფორვარდ-ცენტრმა **ტიმ დანკანმა** მოიგო, რომელმაც 5 ტყორცნა გამოიყენა.

*„მოგება არც ისე რთული იყო, რადგან დანკანს ოთხი ზუსტი ტყორცნაც ჰყოფნიდა გამარჯვების მოსაპოვებლად. რვა რომ დასჭირვებოდა, ალბათ, უფრო გაუჭირდებოდა პირველობა. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენი ცენტრის გამარჯვება აღფრთოვანებას იწვევს“,* - განაცხადა „სპურსის“ ახალწვეულმა **რიჩარდ ჯეფერსონმა**.

# უეიდი თურქეთზე ფიქრობს

„მაიამი ჰიტის“ ლიდერი **დუეინ უეიდი** აცხადებს, რომ ჯერ ვერ დაადასტურებს თავის მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც გაისად თურქეთში უნდა გაიმართოს. მცველის სიტყვებით, ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას სეზონის დასრულების შემდეგ მიიღებს. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე იგივე აზრი გამოთქვა შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელმა, „კლივლენდ კავალიერზის“ ფორვარდმა **ლებრონ ჯეიმსმა**. ეს მოთამაშეები მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტები გახდებიან.

*„ჯერჯერობით მაინც მაქვს გარკვეული ეჭვი მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის თაობაზე,* - ამბობს უეიდი ESPN-თან კომენტარში, - *რა თქმა უნდა, ნაკრებში თამაში მინდა, მაგრამ ჯერ სეზონის დასრულებას უნდა დაველოდო. მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტ, რა გავაკეთო ზაფხულში. ადრე თავისუფალი აგენტის სტატუსი არასოდეს მქონია. ასე რომ, თუ კონტრაქტს დროულად არ გავაფორმებ, ამან შეიძლება ბევრი თავსატეხი გამიჩინოს. გაგონილი მაქვს, თუ რა დამღლელია ეს პროცედურა“.*

NBA-ის ვარსკვლავებიდან ჯერჯერობით **კარმელო ენტონია** ერთადერთი, ვინც ნაკრებში თამაში დაადასტურა.

■ ■ ■

ცნობილი ლიტველი გამთამაშებელი **შარუნას იასიკიავიჩუსი** დარწმუნებულია, რომ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია სწორედ ლიტვის ნაკრებს გამოუყოფს ოთხიდან ერთ-ერთ უაილდ-ქარდს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად. თავად კალათბურთელმა პოლონეთში წლევანდელი ევრობასკეტი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, ლიტველებმა კი კონტინენტის პირველობაზე მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს და მეოთხედფინალშიც ვერ მოხვდნენ.

*„გადახედეთ ლიტვაში საკალათბურთო ტრადიციებს და იმ წარმატებებს, რომელსაც ჩვენი სუვერენული ისტორიის განმავლობაში მივაღწიეთ. 1992 წლიდან მოყოლებული ხუთ ოლიმპიადაზე მივიღეთ მონაწილეობა და ყოველთვის ოთხეულში შევდიოდით, სამჯერ კი პოდიუმზე ავედით. გარდა ამისა, ოქროსა და ვერცხლის მედლები მოვიგეთ ევროპის ჩემპიონატებზე.*

*იყო რამდენიმე წარუმატებელი წელიც, მაგრამ ელიტაში მუდმივად ვიმყოფებოდით. ამიტომაც ჩემით აზრით, დიდი უსამართლობა იქნება, თუ თურქეთში თამაშის საშუალებას არ მოგვცემენ“,* - ამბობს იასიკიავიჩუსი ლიტვის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ამ ეტაპზე მსოფლიოს ჩემპიონატის 24 ფინალისტიდან ოცია ცნობილი. ოთხი ვაკანტური საგზურის მფლობელს სწორედ FIBA გამოავლენს. ეს მოხდება დეკემბერში საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს სხდომაზე.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ბრაზილია-ურუგვაი | 3:1 |
| ვენესუელა-საემიროები | 1:2 |
| გერმანია-ნიგერია | 3:2 |
| **ევრო 2010** | |
| **UNDER 19** | |
| გერმანია-ლუქსემბურგი | 3:0 |
| თურქეთი-მოლდოვა | 1:0 |
| ისლანდია-ბოსნია | 0:1 |
| ბულგარეთი-ჩ. ირლანდია | 1:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| ლაგუნი-ალკორკონი | 1:2 |
| პუერტოლიანო-სანტ ანდრეუ | 2:1 |
| სალამანკა-კარტახენა | 2:0 |
| ატლეტიკო-პოლი ეხიდო | 0:0 პენ. 5:4 |
| კორდობა-ვალეკანო | 0:0 დ.დ. 0:1 |
| ხირონა-სელტა | 1:3 |
| ერკულესი-უესკა | 2:0 |
| მარბელია-ალიკანტე | 1:1 დ.დ. 2:1 |
| მერიდა-ალკოიანო | 1:3 |
| ონტინიენ.-კულტურალი | 0:0 პენ. 3:5 |
| რეკრეატივო-ლას პალმასი | 2:1 |
| **ბელგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მონსი-დენდერი | 1:1 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| პრშიბრამი-ბანიკი | 2:0 |
| უივანიცე-იაბლონეცი | 3:6 |
| ჰრადეცი-ტეპლიცე | 1:2 |
| ბოჰემიანსი-ლიბერეცი | 1:2 |
| კლადნო-პლზენი | 0:3 |

| ლიტვა | |
|---|---|
| ტელედემა-სუდუვა | 0:4 |
| **არგენტინა** | |
| ტიგრე-ურაკანი | 2:2 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ოლიმპია-ტრიკალა | 57:82 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-ბარისი | 6:3 |
| **ფინეთი** | |
| ტაპარა-კერპეტი | 3:6 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. პეკინი** | |
| ბენეტო-ჩილიჩი | 2:6, 6:2, 2:6 |
| დავიდენკო-კოლშრაიბერი | 6:1, 6:0 |
| ვერდასკო-ფერერო | 7:5, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-ტროიცკი | 6:3, 6:0 |
| **ATP. ტოკიო** | |
| ბელუჩი-იუჟნი | 2:6, 3:6 |
| ა. ბეკი-შუტლერი | 6:3, 4:6, 7:5 |
| შტეპანეკი-გულბისი | 4:6, 4:6 |
| მონაკო-გარსია ლოპესი | 5:0 უარი |
| გასკე-პეტცშნერი | 6:3, 6:2 |
| ცონგა-ზვერევი | 6:4, 6:3 |
| ვავრინკა-გრეული | 6:3, 6:2 |
| მონფილსი-ჩიუდინელი | 7:6, 6:3 |
| **WTA. პეკინი** | |
| ვოზნიაკი-პავლიუჩენკოვა | 4:6, 4:6 |
| კუზნეცოვა-ა. ბონდარენკო | 6:3, 4:6, 6:0 |
| შარაპოვა-პენგი | 6:2, 6:4 |
| დემენტიევა-ნა ლი | 6:2, 6:0 |

## TV პროგრამა

**8 ოქტომბერი. ხუთშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კიოლნი.
08:56 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
09:24 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
09:52 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-პარმა.
11:38 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.
12:35 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. დოჰა. კატარი.
15:40 სპორტული სამყარო.
16:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
17:55 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:05 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
19:08 ფეხბურთი. FootBrazil.
19:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
19:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ლივერპული.
21:40 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:50 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-იუვენტუსი.
23:35 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
00:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:13 ფეხბურთი. ევროგის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. შახტარი-პარტიზანი.
02:01 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ანაჰაიმი (LIVE).
05:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კიოლნი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

07:00 Libero. ანალიტიკური პროგრამა.
08:05 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
09:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰამბურგი.
11:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:40 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
13:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ვაშინგტონი.
14:55 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ბაიერნი-იუვენტუსი.
16:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა, ფინალი. ბანგკოკი.
18:50 საჰაერო რბოლები. Red Bull 2009. აბუ დაბი, საემიროები.
19:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ჰამბურგი.
21:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
21:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ტოტენჰემი.
23:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:40 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-პალმეირასი.
03:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ტაილანდის ღია პირველობა. ფინალი. ბანგკოკი.
05:35 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტურის მიმოხილვა.
06:35 კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:35 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
10:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
11:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. პეკინი, ჩინეთი (LIVE).
16:45 სნუკერი. გრან-პრი. 1/8 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
19:45 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
20:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/8 ფინალი. გერმანია-ნიგერია. ეგვიპტე.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:10 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/8 ფინალი. გერმანია-ნიგერია. ეგვიპტე.
22:00 სნუკერი. გრან-პრი. 1/8 ფინალი. გლაზგო, შოტლანდია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.
01:15 რესტლინგი.
02:45 სანაოსნო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. იტალია.
03:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ეგვიპტე.

## ფორმულა 1

# კიმი რედ ბულსაც უნდა

როგორც გერმანული გამოცემა „შპორტ ბილდი“ იტყობინება, „ფერარის“ პილოტ **კიმი რაიკონენზე** მხოლოდ „მაკლარენი“ და „ტოიოტა“ არ აცხადებენ პრეტენზიას. გერმანელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ფინელი ავტომრბოლის მენეჯერებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ „რედ ბულის“ ხელმძღვანელები, თუმცა ამ გუნდს უკვე დადასტურებული კონტრაქტები აქვს გერმანელ **სებასტიან ფეტელთან** და ავსტრალიელ **მარკ უებერთან**.

რაიკონენის მენეჯერმა სტივ რობერსტონმა ჟურნალისტებს მიანიშნა, რომ „რედ ბულის“ ვარიანტს აქვს არსებობის უფლება.

*„ჩვენ ისეთ გუნდებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, რომლებსაც, როგორც ყველას ჰგონია, ვაკანსიები არ გააჩნია“,* - აღნიშნა რობერტსონმა. სხვათა შორის, ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან მხოლოდ „რედ ბულსა“ და „ფერარის“ აქვთ საგაისოდ დაკომპლექტებული შემადგენლობები.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

გოლფი



# პირველი მილიარდერი

ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტი, 33 წლის **ტაიგერ ვუდსი** პირველი სპორტსმენია ისტორიაში, ვინც მილიარდერი გახდა.

ვუდსმა ეს ქონება სხვადასხვა გზით შეაგროვა: სპონსორული კონტრაქტებით (მარტო „ნაიკი" უხდის მას წელიწადში 100 მილიონ დოლარს), ტურნირებზე მოპოვებული საპრიზო თანხებით, სხვადასხვა ბონუსითა და პრემიით, საჩვენებელი გამოსვლების სანაცვლოდ მიღებული ჰონორარებითა და გოლფის მოედნების დიზაინის შექმნაში შეტანილი წვლილით (თითო ასეთი აქციისთვის მას 10 მილიონ დოლარს უხდიან).

აღსანიშნავია, რომ ჟურნალ Forbes-ის ექსპერტთა პროგნოზებით, ვუდსი უკვე მომავალ წელს გახდება პირველი სპორტსმენი, რომელიც მილიარდ დოლარს უშუალოდ სპორტული მიღწევების ხარჯზე გამოიმუშავებს.

ველოსპორტი

# ლენსი და ლუდი



ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** სარეკლამო კონტრაქტი გააფორმა ლუდის მწარმოებელ უმსხვილეს კომპანია Anheuser-Busch InBev-თან. მხარეებს შორის სამწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა და ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი ლუდის ერთ-ერთი მარკის - Michelob Ultra-ს რეკლამაზე იზრუნებს. ამ მიზნით ჩაიწერება ორი ვიდეორგოლი ველომრბოლის მონაწილეობით.

კონტრაქტის ფინანსური დეტალები ჯერჯერობით უცნობია. სავარაუდოდ, უფრო დაწვრილებით ამ თანამშრომლობის შესახებ დღეს გახდება ცნობილი. ჟურნალისტებმა არც ის იციან, გაუწევს თუ არა Anheuser-Busch InBev სპონსორობას ლენსის ახალ ველოსაჯინიბოს.

ლუდსახარში კომპანიის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ არმსტრონგზე არჩევანი შემთხვევით არ გაკეთებულა. Anheuser-Busch InBev-ის პროდუქცია იმ მომხმარებელზეა გათვლილი, რომელიც ცხოვრების აქტიურ წესს მისდევს და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავს.




კრივი

# ათასი დოლარი ნოკდაუნისთვის



**მენი პაკიაოს** სპარინგპარტნიორები ათას დოლარს მიიღებენ იმ შემთხვევაში, თუ საწვრთნელი შეხვედრების დროს ნოკდაუნში ჩააგდებენ სახელგანთქმულ მოკრივეს. ეს იდეა ფილიპინელის მწვრთნელ **ფრედი როუჩს** ეკუთვნის, რომელსაც უნდა, რომ პაკიაოს სპარინგები მაქსიმალურად დაამსგავსოს რეალურ ორთაბრძოლებს.

როგორც ცნობილია, ფილიპინელი ამჟამად პუერტორიკოელ **მიგელ კოტოსთან** შესახვედრად ემზადება. ეს ბრძოლა 2009 წლის 14 ნოემბერს ლას ვეგასში გაიმართება. ჩხუბი სატიტულო გახლავთ - კოტომ უნდა დაიცვას 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBO-ის საჩემპიონო ქამარი.

ამჟამად პაკიაოს სპარინგპარტნიორები არიან **შონ პორტერი** და **ურბანო ანტილიონი**, თუმცა მათ მალე უნდა შეუერთდეს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ლუის კასტილიო**. როუჩმა ჟურნალისტებს გამოუტყდა, რომ ბოლო სპარინგებში მენის იოლი ცხოვრება არ ჰქონია: მან რამდენიმე მძიმე დარტყმა მიიღო, მაგრამ გაძლო და რინგზე არ დაცემულა.

# ჰოპკინსი ორ დეკემბერს იჩხუბებს



საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი **ბერნარდ ჰოპკინსი** 2 დეკემბერს 29 წლის მექსიკელ **ენრიკე ორნელასს** შეხვდება. ეს ბრძოლა ჰოპკინსის მშობლიურ ქალაქ ფილადელფიაში გაიმართება და და 44 წლის მოკრივისთვის ეს იქნება მზადების ბოლო ეტაპი მატჩ-რევანშისთვის, რომელშიც ის ოთხ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ **როი ჯონსს** უნდა დაუპირისპირდეს. სხვათა შორის ჯონსსაც 2 დეკემბერს უწევს ჩხუბი - ის ავსტრალიაში ადგილობრივ მოკრივეს **დენი გრინს** შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ორმა ექსჩემპიონმა მათი პირველი შეხვედრიდან 16 წლის თავზე მატჩრევანშის გამართვა გადაწყვიტა. გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, ბრძოლა 2010 წლის პირველ კვარტალში გაიმართება, ოღონდ აუცილებელი პირობაა ის, რომ ჰოპკინსმაც და ჯონსმაც 2 დეკემბერს დანიშნული ბრძოლები უნდა მოიგონ.

■ ■ ■

დეკემბერში კიდევ ერთი საინტერესო ჩხუბი უნდა გაიმართოს. პირველ მჩატე წონაში (59 კილოგრამამდე) WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, მექსიკელი **უმბერტო სოტო** ვენესუელელ **მიგელ აკოსტას** შეხვდება. ეს იქნება სატიტულო ბრძოლა - მოკრივეები გაითამაშებენ მჩატე წონაში (61.2 კგ) WBA-ის ვაკანტურ ტიტულს. ჩხუბის გამართვის სავარაუდო თარიღია 19 დეკემბერი. მოკრივეებს მექსიკის ქალაქი კანკუნი უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად სოტოს 14 ნოემბერს ლას ვეგასში უნდა ებრძოლა WBC-ის ტიტულისთვის - (მჩატე წონა) მეორე ვენესუელელ **ედვინ ვალეროსთან**, მაგრამ ეს ჩხუბი გაუქმდა, რადგან ვალეროს ამერიკის ვიზა არ მისცეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

